ეროვნული ბიბლიოთეკა

ლელო

გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

24 მარტი **ხუთშაბათი** 2011

№068 (13365) ფასი 60 თეთრი



# ქართული სპორტის ოლიმპიურმა დედოფალმა მეშვიდე ოლიმპიადა გაინაღდა

10





# ჯანო არ იქნება

2

# ტატიშვილი მეორე წრეშია



წუხელ მაიამიში საქართველოს პირველმა ჩოგანმა **ანა ტატიშვილმა** (125) სამსეტიან ორთაბრძოლაში ბელარუსი **ოლგა გოვორცოვა** (87) დაამარცხა - 6:3, 5:7, 6:3 და მეორე წრეში გავიდა, სადაც მისი მეტოქე 27-ე ნომრად განთესილი ესპანელი **მარია მარტინეს სანჩესი** იქნება. შეგახსენებთ, რომ ტურნირის საპრიზო ფონდი 4,5 მილიონი დოლარია.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ნაკრები

ხორვატიასთან მატჩამდე

# კალაძე ალბათ, ჯანო გამოირიცხა

## თემურ ქეცბაია: გაიქეცით და გაიხსენით!

გუშინ ეროვნულმა ნაკრებმა ეროვნულ სტადიონზე კიდევ ერთხელ ივარჯიშა. დავიწყოთ ყველაზე მნიშვნელოვანი ამბებით: რამდენიმედღიან გაურკვევლობას წერტილი დაესვა - სამწუხაროდ, **ჯანო ანანიძე** ხორვატიასთან საქართველოს ეროვნულ ნაკრებს ვერ დაეხმარება. ეს ფეხბურთის ფედერაციის პრესატაშე **ლაშა დვალიშვილმა** გვითხრა. შეკრებაზე ჩამოსულმა ანანიძემ ვარჯიში ვერ მოახერხა.

მოსკოვის "სპარტაკისა" და ჩვენი ნაკრების პლეიმეიკერი რუსეთის პრემიერლიგის პირველ ტურში "როსტოვთან" საგარეო მატჩის დროს დაშავდა - კოჭის მყესი გაუწყდა. მართალია, არავის უთქვამს, მაგრამ იყო ეჭვი, რომ მოსკოვის "სპარტაკს" ფეხბურთელის გამოშვება არ სურდა. ამის საფუძველს კი გუნდის ვებგვერდზე გავრცელებული აბსურდული ინფორმაცია ქმნიდა - კოჭის მყესი გაუწყდა და "აიაქსთან" ევროპის ლიგის მატჩს 99 პროცენტით გამოტოვებსო. ამ დროს კოჭის მყესის გაწყვეტის დროს ფეხბურთელის თამაში ერთი პროცენტითაც გამორიცხულია.

შეგახსენებთ, რომ ტრავმის გამო ვერც დნეპროპეტროვსკის "დნიპროს" მარჯვენა მცველი **უჩა ლობჟანიძე** ითამაშებს. ეროვნულ ნაკრებს ხორვატიასთან ცენტრალური მცველი **მალხაზ ასათიანიც** ვერ დაეხმარება, რომელიც დეკემბრის შემდეგ უგუნდოდაა და ინდივიდუალურად ვარჯიშობს. ასე რომ, ნაკრების მთავარ მწვრთნელ **თემურ ქეცბაიას** უკანა ხაზში პრობლემები მოეძალა.

სამაგიეროდ, საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ 26 მარტს ეროვნულ ნაკრებს მოედანზე კვლავ **კახა კალაძე** გაიყვანს. კახამ "ჯენოაში" სერია A-ს ბოლო ტურის შეხვედრა კუნთის დაჭიმვის გამო გამოტოვა. თუმცა გუშინ კალაძემ ეროვნულ ნაკრებში სრული დატვირთვით ივარჯიშა და ორკარაშიც მონაწილეობდა.

*"კუნთი ოდნავ მაწუხებს, მაგრამ თავს უკეთ ვგრძნობ. სრული დატვირთვით დღეს პირველად ვივარჯიშე. ჯერ გარკვეული არ არის, ვითამაშებ თუ არა, მაგრამ ამის იმედი მაქვს"* - გვითხრა კალაძემ.

ანანიძეს თუ არ ჩავთვლით, გუშინ საღამოს ეროვნულმა ნაკრებმა სრული შემადგენლობით ივარჯიშა. მოსკოვის "სპარტაკის" ნახევარმცველის ნაცვლად, ქეცბაიამ შეკრებაზე თბილისის „დინამოს" ნახევარმცველი **ალექსანდრე კოშკაძე** გამოიძახა. კოშკაძე ნაკრების ბაზაზე გუშინ დილით გამოცხადდა, საღამოს კი ეროვნულ სტადიონზე ივარჯიშა. ფედერაციის პრესსამსახურის ცნობით, „დინამოს" ნახევარმცველი ისრაელში წამსვლელ ფეხბურთელთა შორისაც მოიაზრება.

ვარჯიშის შემდეგ ქეცბაიამ ფეხბურთელები A და B გუნდებად გაყო და ორკარა ათამაშა. ვფიქრობ, ამ შემადგენლობიდან მეტ-ნაკლებად გამოიკვეთა, საქართველოს ნაკრები ხორვატიასთან რა შემადგენლობით ითამაშებს - ცხადია, პირობითად მთავარ გუნდს პირობითად სათადარიგოებიდან კობიაშვილი დაემატება.

A: რევიშვილი - სალუქვაძე, ხუბუტია, ამისულაშვილი, კალაძე - ხიზანიშვილი, დაუშვილი - გელაშვილი, იაშვილი, გოგუა - დვალიშვილი.

B: ლორია - ალადაშვილი, კაშია, ხიდეშელი, კვირკველია - კანკავა, კობიაშვილი - გურული, მოდებაძე, მარცვალაძე - სირაძე.

ალსანიშნავია, რომ 23 ფეხბურთელი თამაშობდა, ანუ ერთი ზედმეტი იყო. ნეიტრალურ, მწვანე ფორმაში გამოწყობილი კოშკაძე შეტევებში ორივე გუნდს ეხმარებოდა. ამასობაში მეკარე **როინ კვასხვაძეს მამუკა აბუსერიძე** ავარჯიშებდა.

*"ამხელა ზონა თავისუფალია და გაიხსენით, წინ გაიქეცით, ვილაც გამოგეკიდებათ და ზონა გათავისუფლდება"* - მოუწოდებდა ქეცბაია ფეხბურთელებს.

ორკარა კი A-ს გამარჯვებით - 1:0 დასრულდა. მეორე ტაიმის დასაწყისში (ტაიმი ჩვეულებრივზე ბევრად ხანმოკლე იყო) **ნიკა გელაშვილის** ფლანგური ჩაწოდება გიორგი ლორიას კართან უმეთვალყურეოდ დარჩენილმა **ალექსანდრე იაშვილმა** ზუსტი დარტყმით დაასრულა.



ალექსანდრე კოშკაძე



კახა კალაძე



## დავით სირაძე: ხორვატიას ძლიერი მცველები ჰყავს

**საქართველოს ნაკრების თავდამსხმელი დავით სირაძე ხორვატიასთან მატჩისთვის ემზადება. ცხადია, საშინაო შეხვედრაში გულშემატკივარს თავდამსხმელების ეიმედება: ლადო დვალიშვილი და ალექსანდრე იაშვილი კლუბებში საკმაოდ შედეგიანად თამაშობენ, ნალჩიკის "სპარტაკის" ფორვარდი სირაძე კი ნაკრებში მნიშვნელოვანი გოლების ბოლო წუთებზე გატანას დაეჩვია.**

**ამასწინანდელ ინტერვიუში დათომ გვითხრა, რომ თამაშამდე მეტოქეთა მცველებზე ინფორმაციებს ეცნობოდა. ვფიქრობ, საინტერესო უნდა იყოს, რას ფიქრობს 26 მარტის მატჩზე "ბოლო წუთის" კაცი.**

**- ხორვატიის ნაკრების მცველთა თამაში თუ შეისწავლე?**

- ჯერ არც ვიცით, მოედანზე ვინ გამოვა, მაგრამ ამას დიდი მნიშვნელობა არც აქვს. ძლიერი მეტოქეა და ძლიერი მცველებიც ჰყავს. მათზე და მთლიანად ნაკრებზე წარმოდგენა ისედაც მქონდა, რადგან ხორვატთა თამაშები ბევრჯერ მინახავს.

**- მათ შორის რომელ მცველს გამოარჩევდი?**

- შიმუნიჩი დაცვაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს. ფლანგებზეც ძლიერები ჰყავთ. საერთოდ, ყველა რგოლში კარგად დაკომპლექტებული ნაკრებია.

**- რუსეთის პრემიერლიგის ორ ტურში ნალჩიკის "სპარტაკში" მხოლოდ ერთხელ გათამაშეს და ისიც შეცვლაზე. მიზეზი რა იყო?**

- სომხეთის ნაკრებთან კუნთი რომ დავიჭიმე, ამის გამო მთელი ერთი კვირა გამიცდა და საკონტროლო შეხვედრებიც გამოვტოვე. მერე ჩემპიონატიც დაიწყო და ვერ ვითამაშე, "სპარტაკმა" კი პირველ ტურში მოიგო. ასეთ დროს მოგებულ შემადგენლობას არ ცვლიან და მწვრთნელის მესმის. მეორე ტურში ეშტრეკოვმა შეცვლაზე მათამაშა, თუმცა, ვიცი, რომ მენდობა და მჯერა, შემდეგ ტურებში ძირითადში დამაყენებს. ახლა კარგად ვარ, კუნთი აღარ მაწუხებს და ფორმაში შევდივარ.

**- ხორვატიის ძლიერ ნაკრებს ბევრი გრანდი გაუმწარებია. გულახდილად თქვი, ასეთი მეტოქის არ გეშინია?**

- ნაღდად არ მეშინია. პირიქით, მეც და სხვებიც ძალიან მონდომებულები ვართ, გულშემატკივარი რომ გავახაროთ. მიზნის მიღწევაში სავსე სტადიონი დაგვეხმარება და, იმედია, ხალხი მოვა.

**- ჩვენც გვაქვს იმედი, რომ გაიტან და ამ სიამოვნებას ბოლო წუთისთვის არ "შეინახავ".**

- ჯერ ისიც არ ვიცი, ვითამაშებ თუ არა. წინასწარ არავინ იცის, რა მოხდება, ხორვატია მსოფლიოს საუკეთესო გუნდების ათეულშია, მაგრამ იმედი მაინც გვაქვს. ისე, ბოლო წუთზე რომ გავიტანო, ცუდი იქნება?

U21

ავსტრიის საერთაშორისო ტურნირი

# პირველი მატჩი ისრაელთან წავაგეთ

## ის ლემონჯავა, რომელმაც ბევრი იარა თუ ცოტა...

**საქართველო-ისრაელი 0:2**

**საქართველო: ზარქუა - კაკუბავა, კობახიძე (46. კანდელაკი), ხოჭოლავა, ი. კვეკვესკირი (46. ოთარაშვილი) - ძალამიძე (46. თარხნიშვილი), ნ. კვეკვესკირი (46. ლემონჯავა), ოქრიაშვილი (46. აფაქიძე) - ჭანტურია (46. შარაშენიძე), შეყილაძე (46. თექთურმანიძე), ქობალია (46. ილურიძე).**

საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები უკვე მესამე დღეა, ავსტრიის ქალაქ კლაგენფურტთან ახლოს მდებარე დაბა ბლაიბერგში იმყოფება. გუშინ **ოთარ გაბელიას** გაწვრთნილებმა საერთაშორისო ოთხთა ტურნირ "ალპე ადრიაზე" პირველი შეხვედრა ისრაელის ახალგაზრდულ ნაკრებთან გამართეს.

გაბელიამ მეტოქეს სამი თავდამსხმელი დაუპირისპირა. როგორც გუნდის მენეჯერმა **ლევან რამიშვილმა** გვაცნობა, ანგარიში მეორე ტაიმის 52-ე წუთზე ისრაელის ნაკრების ფეხბურთელმა **ტემაჰ ზიონმა** გახსნა, 62-ე წუთზე კი **ზამირ ვესმა** უპირატესობა გაზარდა - 2:0. 70-ე წუთზე არბიტრმა მოედნიდან ჩვენი ცენტრალური მცველი **დავით ხოჭოლავა** გააძევა, მაგრამ კაცნაკლულ ქართველებს მეტი აღარ გაუშვიათ.

ჩვენს ნაკრებს მატჩისწინა საღამოს შეუერთდა მოლდოვური „ოლიმპიას" ნახევარმცველი **დავით კაკულია**, მაგრამ გუნდთან ერთად ვერ ივარჯიშა და გაბელიამ ისრაელთან ამიტომ არ ათამაშა.

წინასწარ გამოცხადებულ სიას დაემატა **აპოლონ ლემონჯავა**, რომელზეც იანვარში ვწერდით. 19 წლის ლემონჯავა თავდამსხმელია, 6 წლიდან მოსკოვის "სპარტაკის" სკოლაში ვარჯიშობდა, შარშან კი "ფეიენოორდის" დუბლშემადგენლობაში 20 მატჩში 15 გოლი გაიტანა. ჰოლანდიური კლუბიდან სასამართლო გარჩევების შედეგად წასულმა ფეხბურთელმა ნახევარი ევროპა მოიარა და ერთ წელიწადში გასინჯეს "პარტიზანში", "შალკეში", "ატალანტაში", "ბორდოში", "ვიტესში", "მარსელში", "ალანიაში". იტალიურ ინტერნეტ-პორტალ "კალჩო ლაინზე" 2010 წლის 19 აგვისტოთი დათარიღებული ინფომაციაა, ბერგამოს "ატალანტას" ლემონჯავას აყვანა სურს და სავიზო პრობლემებს აგვარებსო - ეტყობა, ვერ მოაგვარეს. ბოლოს აპოლონი უგუნდოდ იყო და ინდივიდუალურად ვარჯიშობდა.

ლემონჯავა რუსებთან ინტერვიუში კი ამბობდა, რუსეთის ნაკრებში თამაშზე ვოცნებობო, მაგრამ საბოლოოდ საქართველოს ახალგაზრდულის ფორმა მოირგო.

ტურნირის მეორე შეხვედრაში რუმინეთმა ალბანეთი 1:0 დაამარცხა.

გვერდი მოამზადა
**მერაბ მამულაშვილმა**



ოთარ გაბელია

მთავარი რედაქტორი **თენგიზ გაჩეჩილაძე**

მთავარი რედაქტორის მოადგილეები: **გია თვალაბეიშვილი, ნიკოლოზ ნეფარიძე**; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში**; ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი.**

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).**

დამფუძნებელი და გამომცემელი **შპს გამომცემლობა ლელო**

გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 383-384. ელექტრონული ფოსტა lelo@palitra.ge

მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: 42 32 73, 899 55 48 97 (მთ. რედაქტორი); ფაქსი: +995. 32 38 08 63; ელფოსტა: leloltd@gmail.com; ინდექსი 66435 INDEX. რეკლამა: 37 78 07

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

ეროვნული ბიბლიოთეკა

● მეტოქე

# თავი ქართველებმა იმტვრიონ

## ხორვატებმა ფავორიტობა შეიფერეს



ნიკოლა იურჩევიჩი

ხორვატიის ეროვნული ნაკრები თბილისს ხვალ, დღის 3 საათზე ჩარტერული ავიარეისით ესტუმრება. საქართველოში გამომგზავრებამდე **სლავენ ბილიჩის** გუნდი ზაგრებში ვარჯიშობს. ბილიჩს თითქმის ყველა გამოძახებული ფეხბურთელი ჯანზე ჰყავს, გამონაკლისია მხოლოდ **ედუარდო**, რომელიც ინდივიდუალური პროგრამით ემზადება და ჯერ არ გარკვეულა, შეძლებს თუ არა საქართველოს ნაკრებთან თამაშს. დონეცკის "შახტარის" ფორვარდი საუკეთესო შემთხვევაში, ალბათ, შეცვლაზე თუ ითამაშებს. იდეალური არც კიდევ ერთი თავდამსხმელის, **ნიკიცა იელავიჩის** მდგომარეობა იყო, მაგრამ მან სრული დატვირთვით წვრთნა უკვე განაახლა.

ხორვატთა გუშინდელმა პრესკონფერენციამ ბილიჩის გარეშე ჩაიარა. მედიის წინაშე მისი ასისტენტი **ნიკოლა იურჩევიჩი** და ორი ფეხბურთელი, "სევილიას" პლეიმეიკერი **ივან რაკიტიჩი** და დნეპროპეტროვსკის "დნიპროს" მარცხენა მცველი **ივან სტრინიჩი** წარდგნენ.

პრესკონფერენციამ ათიოდე წუთს გასტანა და ძირითადად იურჩევიჩმა ილაპარაკა. *"ყველაფერი რიგზეა, გუნდში იდეალური განწყობაა და თბილისში მოსაგებად მივდივართ. ამ მატჩის მნიშვნელობა ყველას ძალიან კარგად გვესმის და ბიჭებს განსაკუთრებული მოტივირება არ სჭირდებათ"*, - თქვა მან.

კითხვაზე, რას დაუპირისპირებთ საქართველოს ნაკრების ტაქტიკასო, იურჩევიჩმა მიუგო, დაე, ქართველებმა ეძებონ ჩვენი განეიტრალების გზებიო...

ხორვატიულ პრესაში ნაკრების ერთ-ერთი გამორჩეული ფეხბურთელისა და მიმდინარე შესარჩევ ციკლში გუნდის საუკეთესო ბომბარდირის (4 გოლი) **ნიკო კრანჩარის** კომენტარიცაა გამოქვეყნებული.

*"საქართველოს ნაკრები სულაც არ არის იოლად დასამარცხებელი გუნდი, ამის გაკეთება განსაკუთრებით ძნელი თბილისში იქნება, მაგრამ კარგად ვიცი, რომ ამ მატჩში სამი ქულის მოპოვების ძალა შეგვწევს ერთი მარტივი მიზეზის გამო – ჩვენ საქართველოზე უკეთესი გუნდი გვყავს. ცხადია, ამას მოედანზე დამტკიცება სჭირდება. თბილისში გამარჯვებით ევროპის ჩემპიონატის ფინალური ეტაპისკენ დიდ ნაბიჯს გადავდგამთ"*, - ამბობს კრანჩარი.

საქართველოს ნაკრებისგან განსხვავებით, ხორვატია მარტში მხოლოდ ერთ შესარჩევ მატჩს ჩაატარებს, მაგრამ 29 მარტს უქმად არ იქნება – საფრანგეთში ჩავა და "სამფეროვნებს" ამხანაგურად გაეჯიბრება.

სლავენ ბილიჩისთვის თბილისური მატჩი ამჟამინდელ პოსტზე 50-ე იქნება. იგი ხორვატიის ნაკრებს 2006 წლიდან წვრთნის და შთამბეჭდავი სტატისტიკაც აქვს – განვლილი 49 შეხვედრიდან ხორვატებმა 35 მოიგეს, 10-ჯერ ფრედ ითამაშეს და მხოლოდ 4-ჯერ დამარცხდნენ.

ხორვატიის ფეხბურთის ფედერაციის ოფიციალურ ვებგვერდზე მიმდინარეობს გამოკითხვა, სადაც გულშემატკივრები ბილიჩის ოთხწელიწადნახევრიან მუშაობას აფასებენ. გამოკითხვაში უკვე ათასამდე ადამიანმა მიიღო მონაწილეობა და მათი 37 პროცენტი ბილიჩს 5-იანით აფასებს, 41 პროცენტი კი – 4-იანით. მხოლოდ 13 პროცენტი მიიჩნევს, რომ მისი გუნდი საშუალო დონეზე თამაშობს, უკმაყოფილოთა რიცხვი კი 9 პროცენტს არ აჭარბებს. შეგახსენებთ, ბილიჩის ხელმძღვანელობით ხორვატიის ნაკრები ევრო-2008-ზე მეოთხედფინალამდე მივიდა, ხოლო 2010 წლის მუნდიალზე გასვლა ვერ შეძლო.

**ლევან ჯანეზაშვილი**



ხორვატთა მთავარ ვარსკვლავ ლუკა მოდრიჩს (მარცხნივ) ლეგენდარულ იოჰან კრუიფს მხოლოდ გარეგნობით როდი ადარებენ...

● ბანაჩენი

# დემეტრაძეს 6 წელი მიუსაჯეს



გიორგი დემეტრაძე (მარცხნივ)

გუშინ თბილისის საქალაქო სასამართლომ **გიორგი დემეტრაძეს** 6-წლიანი პატიმრობა მიუსაჯა. მასთან ერთად დაკავებულ **გაგნიძეს** 8 წელი შეეფარდა, **ფეიქრიშვილს** კი - 6. ამ უკანასკნელს 6 წლიდან 4 პირობითად ჩაეთვლება და დამატებითი სასჯელის სახით დაეკისრა 30 000 ლარის გადახდა. დემეტრაძის დამცველებმა კი საპროცესო შეთანხმებაზე უარი მიიღეს. შეგახსენებთ, საქართველოს ნაკრების ყოფილ თავდამსხმელს ნაკრების კაპიტანი **კახა კალაძე** თავდებში უდგებოდა.

საინფორმაციო სააგენტო "პირველმა" დემეტრაძის ადვოკატის **მარიკა ფხალაძის** კომენტარი გაავრცელა. იგი სასამართლოს განაჩენს არაობიექტურს უწოდებს და ამბობს, რომ ბრალდების მხარეს რეალური მტკიცებულება არ გააჩნდა. ფხალაძე განაჩენის გასაჩივრებას აპირებს.

შეგახსენებთ, დემეტრაძე რამდენიმე პირთან ერთად გასული წლის 9 ივლისს ქურდული ტრადიციების მიმდევრობის ბრალდებით დააკავეს. მასთან ერთად ბრალდებული ორი პირის, **ვატო ყიფიანისა** და **კახა მისირელის** საქმე ცალკე წარმოებად გამოიყო და მათ მიმართ განაჩენი ჯერ არ გამოუტანიათ.

**ლევან ჯანეზაშვილი**

● დებიუტანტი



**საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრებისა და ბოლნისის „სიონის" მეკარე დავით ლეგაშვილს უმაღლეს ლიგაში დებიუტი ჰქონდა - თბილისის "დინამოსთან" მოედნიდან გაძევებული მინდია ბობლიაშვილი შეცვალა და ორი გაშვებული გოლის მიუხედავად, ურიგოდ არ გამოიყურებოდა. ძირითად შემადგენლობაში კი პირველად შემდეგ ტურში ზესტაფონში ათამაშეს და 18 წლის მეკარემ მთავარი მწვრთნელის ხვიჩა ქასრაშვილის ქება დაიმსახურა, ლეგაშვილმა თუ ასე გააგრძელა, სერიოზული დონის მეკარე დადგებაო. ქომაგმა დათო გიორგი დევდარიანის 17-წლამდელთა ნაკრებიდან გაიცნო. ის ახლა 18 წლისაა და, ვფიქრობ, ამიტომაც ღირს მისი გამორჩევა - ჩვენს ჩემპიონატში ხომ კვალიფიციური მეკარეების სიმცირეა და ნიჭიერი ბიჭის გამოჩენა ყველას გვახარებს.**

# დამთხვევით, ოღონდ არა შემთხვევით

## დავით ლეგაშვილს დიდებში გამოსვლა არ გაუჭირდა, ცოტა კარიდან გამოსვლა გაუჭირდა

**.- უმაღლეს ლიგაში მოულოდნელი დებიუტი გქონდა. "სიონის" განაცხადში როგორ მოხვდი, მეორე მეკარე ხომ მირზა მერლანია?**

- ყველაფერი ერთმანეთს დაემთხვა: „დინამოსთან" მატჩამდე მირზა მერლანი დაშავდა და განაცხადში ამიტომ შემიყვანეს. მერე მინდია ბობლიაშვილი გააძევეს და მოედანზე გასვლამ მე მომიწია.

**- ზესტაფონში კარის მშრალად შენახვა გამოცდილ მეკარესაც გაუჭირდებოდა.**

- მიხარია, რომ მწვრთნელს იმედი გავუმართლე. თანაც "ზესტაფონს" მოგება ძალიან უნდოდა. კარგია, რომ სადებიუტო შეხვედრები ჩვენი ჩემპიონატის ლიდერებთან ვითამაშე, ახლა კიდევ ერთ ლიდერს - რუსთავის "ოლიმპს" ვხვდებით.

**- დებიუტით კმაყოფილი დარჩი?**

- ორ შეხვედრაში ორი გოლი კი გავუშვი, მაგრამ "დინამოსთან" პირველი გოლი პენალტით გამიტანეს. არადა, კუთხე გამოვიცანი და აღებაც შეიძლებოდა.

**- ძლიერ გუნდებთან თამაშმა, ალბათ, აგანერვიულა.**

- ვნერვიულობდი მხოლოდ მოედანზე გასვლისას, მაინც გამოუცდელი ვიყავი, მაგრამ მერე გადამიარა.

**- საერთოდ, "სიონში" როგორ მოხვდი?**

- დანიიდან ჩამოსული უგუნდოდ ვიყავი და გიორგი დევდარიანმა ბოლნისის დუბლებში მიმიწვია. დევდარიანთან ნაკრებშიც ვთამაშობ და მიწვევა გამიხარდა, მასთან ვარჯიში ყოველთვის მსიამოვნებდა. სხვათა შორის, "სიონში" საკმაოდ კარგი სავარჯიშო პირობებია.

**- დიდებში თამაშისას ყველაზე მეტად რა გაგიჭირდა?**

- გამოსვლებზე თამაში. დუბლებში ბევრად იოლია, თუნდაც ჩემი ასაკის ევროპულ ნაკრებებთან, მაგრამ გამოცდილი ფეხბურთელების წინააღმდეგ ბევრი სირთულე შემექმნა. მაგალითად, "ზესტაფონთან" რამდენჯერმე დამბლოკეს და გამოსვლაში ხელს მიშლიდნენ, რაც ჩემი ასაკის გუნდებში არ მახსენდება. უმაღლეს ლიგაში უფრო გამოცდილი და ჯანიანი ფეხბურთელები თამაშობენ და, რა თქმა უნდა, მათი შეჩერება უფრო რთულია. ერთ ეპიზოდში "ზესტაფონის" თავდამსხმელს ცუდად შევეჯახე და წავიქეცი. ეგონათ, დრო გამყავდა, არადა, წამოდგომა გამიჭირდა. ახლა უკვე მეცოდინება, რა სირთულეები და მოთხოვნებია.

**- დანიური "ორჰუსიდან" შენი გამოშვების ამბავი ასე აგვიხსნეს: დანიელი მეკარის კონკურენტი იყო და ამიტომ არ დაიტოვესო. წასვლამდე თუ იცოდი, დანიის ასაკობრივი ნაკრების მეკარის კონკურენტი რომ უნდა ყოფილიყავი?**

- ისე ვიცოდი, რომ მტოვებდნენ და სახელობითი ხელთათმანიც გადმომცეს წარწერით "ლეგაშვილი, ჯორჯია". მერე რა მოხდა, ზუსტად არც ვიცი. მითხრეს, ოთხი ქართველი ეზედმეტათო. გული იმაზე დამწყდა, რომ კონკურენტს პრაღის "სლავიაშიც" ვჯობდი და "ორჰუსშიც", მაგრამ ცხოვრება ამით არ მთავრდება, იმედია, ევროპულ კლუბში მაინც მოვხვდები. ოქტომბერში თურქეთში 19-წლამდელთა ნაკრებს შესარჩევი ჯგუფის თამაშები აქვს. მანამდე კარგად მოვემზადები, ნაკრებში რომ მოვხვდე და იქნებ ვინმემ შემნიშნოს.

**მერაბ მამულაშვილი**

BG Bet Guru
http://bet.goli.ge
სრულიად უფასოდ !!!

ხარ აზარტული და გიყვარს ფეხბურთი ?
გამოიცანი თამაშების შედეგები და მოიგე !

- თითოეულ ჩემპიონატზე თვეში 100 ლარი
- Top 5 - ყოველკვირეული გათამაშება - საპრიზო ფონდი 250 ლარი!
- სეზონის ბოლოს 3000 ლარი, ან 'ელ კლასიკოზე' დასასწრები 2 ბილეთი!

● ზესტაფონი

## ორი ზესტაფონის ლაზარეთში

ზესტაფონის ორმა ფეხბურთელმა ოპერაცია გაიკეთა. **ზურაბ მენთეშაშვილსა** და **გოგი ფიფიას** საზარდული აწუხებდათ და ამ პრობლემას მიხედეს. მათი რეაბილიტაციის პროცესი მოკლე ხანში დასრულდება და მიმდინარე სეზონში მოედანზე გასვლა ორივეს შეეძლება.

სხვა საქმეა, კიდევ ერთი მიზეზის გამო მიეცემა თუ არა მენთეშაშვილს ამის საშუალება. პრობლემა, რომელიც თითქოს არ იყო ძნელად მოსაგვარებე-



ზურაბ მენთეშაშვილი

ლი, კვლავაც ჰაერშია გამოკიდებული – ფიფადან საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაში ჯერაც არ მისულა ის დოკუმენტი, რომელიც მენთეშაშვილს ჩვენი ჩემპიონატისა და თასის მატჩებში მონაწილეობის უფლებას მისცემს. შეგახსენებთ, საქართველოს ეროვნული ნაკრების ყოფილი წევრი "ზესტაფონს" წლის დასაწყისში შეუერთდა, მაგრამ მის შემადგენლობაში ოფიციალური შეხვედრა ჯერაც არ ჩაუტარებია.

რაც შეეხება ფიფიას, იგი ბოლო დროს "ზესტაფონის" განაცხადში სწორედ ამ ტრავმის გამო არ გამოჩენილა.

## კოვერჩანოს კარი ჩვენებისთვისაც გაიღება

ქართველი მწვრთნელები სხვადასხვა უცხოურ სემინარს ცოდნისა და გამოცდილების გასაღრმავებლად სისტემატურად ესწრებიან. მალე (29 მარტი-2 აპრილი) მორიგი ამგვარი ვიზიტი ელით. უეფას მიერ ორგანიზებული პროგრამის, Study Group Scheme-ის ფარგლებში კოვერჩანოში მდებარე იტალიის ნაკრების ბაზას **გაიოზ დარსაძის** ხელმძღვანელობით ქართველ სპეციალისტთა 11-კაციანი დელეგაცია ეწვევა. ამ მწვრთნელთა უმრავლესობა ბავშვთა ფეხბურთში საქმიანობს. კოვერჩანოში გაემგზავრებიან საქართველოს 16 და 14-წლამდელთა ნაკრებების მთავარი მწვრთნელებიც – **გელა შეყილაძე** და **გოჩა ტყებუჩავა**. სემინარის თემაც ამ კონტინგენტის შესაფერისი იქნება – განიხილავენ "გრასრუტსის" პროგრამას, რომელიც ბავშვთა ფეხბურთს ეძღვნება.

იტალიაში ქართველებთან ერთად სომეხი და ანდორელი მწვრთნელებიც არიან მიწვეულნი, რომლებიც ჩვენებს საკუთარ ცოდნა-გამოცდილებას გაუზიარებენ. ცნობისათვის, "თანაჯგუფელები" შემთხვევითი შერჩევის პრინციპით დაგვიდგინეს, თორემ სხვა დროს მათზე გაცილებით ძლიერი საფეხბურთო ქვეყნების წარგზავნილებთანაც გვქონია საქმე.

ქართველი მწვრთნელების კოვერჩანოში მივლინების თაოსანი საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაა, გზისა და ცხოვრების ხარჯს კი უეფა გაიღებს.

**ლევან ჯანეზაშვილი**

● იუბილე — ზაურ კალოევი 80

# მაღალი ბურთების მეფე



ქართული ფეხბურთის ისტორიაში ერთ-ერთ გამორჩეულ თავდამსხმელსა და უბადლო გოლეადორს **ზაურ კალოევს** დღეს 80 წელი შეუსრულდებოდა...

...სიცოცხლეშივე ლეგენდები დადიოდა ამ მართლაც გამორჩეული ნიჭის მქონე ფეხბურთელზე; ეგ კი არა, დღესაც ბევრი მიიჩნევს, რომ ზაურ კალოევს არა მხოლოდ საქართველოში ,საერთოდ მსოფლიოს მასშტაბით არ ჰყავდა კონკურენტი თავით თამაშში. ქართული ფეხბურთის ისტორიაში ერთ-ერთ ყველაზე შედეგიან თავდამსხმელს მართლაც ჩინებული კარიერა ჰქონდა და არაერთი ინდივიდუალური თუ გუნდური ჯილდოც მოუგია.

ზაურ კალოევი 1931 წლის 24 მარტს დაიბადა, ფეხბურთის თამაში თბილისის 35-ე სკოლაში დაიწყო. 1950-52 წლებში თბილისის „სპარტაკში" ასპარეზობდა, 1953 წლიდან კი თბილისის „დინამოშია" და ქართული ფეხბურთის ორ გამორჩეულ თაობასთან ერთად მოუწია თამაშმა: ჯერ, **ავთანდილ ღოღობერიძის, ვლადიმერ მარღანიას, ვლადიმერ ელოშვილისა** და **ავთანდილ ჭკუასელის** მხარდამხარ ასპარეზობდა, მერე კი **გივი ჩოხელის, სერგო კოტრიკაძის, შოთა იამანიძის, ვლადიმერ ბარქაიას, გიორგი სიჭინავას, მურთაზ ხურცილავას, ილია დათუნაშვილის, სლავა მეტრეველისა** და **მიხეილ მესხის** მართლაც ვარსკვლავთკრებულს უმშვენებდა მხარს.

თბილისის „დინამოს" შემადგენლობაში ზაურ კალოევი საკავშირო ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორი (1953 წელს) იყო და ორჯერ (1959, 1962 წლებში) ბრინჯაოს მედალი მოიპოვა. „დინამოს" მაისურით საკავშირო ჩემპიონატში 203 მატჩი ჩაატარა და 95 გოლი გაიტანა, თასზე 15 შეხვედრაში — 13 გოლი, ხოლო საერთაშორისო მატჩებში კი მართლაც ფანტასტიკური მაჩვენებელი ჰქონდა: 61 შეხვედრაში 56 გოლი! სხვათა შორის, ქართული ფეხბურთის ისტორიაში საერთაშორისო მატჩებში „დინამოს" საუკეთესო ბომბარდირი სწორედ ზაურ კალოევი გახლავთ; ყველა ტურნირებზე (ჩემპიონატი, თასი, საერთაშორისო მატჩები) გატანილი გოლებით კი მეორე მაჩვენებელი (164) აქვს და მხოლოდ და მხოლოდ **რამაზ შენგელიას** ჩამორჩება. სამაგიეროდ, ერთ მატჩში საშუალო შედეგიანობის პროცენტით (0,59) ზაურ კალოევი ინარჩუნებს პირველობას.



1995 წელი. მერაბ ჟორდანია აჯილდოებს ზაურ კალოევს

... გარკვეულ მიზეზთა გამო, 1957 და 1958 წლებში ზაურ კალოევს „დინამოდან" წასვლამ მოუწია და ის ორი სეზონი მოსკოვის „ლოკომოტივში" გაატარა, რომლის შემადგენლობაშიც საკავშირო თასი მოიპოვა. 1959 წლიდან **ანდრო ჟორდანიას** დიდი მონდომებით კალოევი თბილისში, „დინამოში" დააბრუნეს და ზედიზედ ოთხი სეზონის განმავლობაში ჩვენი უპირველესი გუნდის საუკეთესო ბომბარდირიც ხდებოდა. ეგ კი არა, ზედიზედ ორჯერ, 1959 და 1960 წლებში საკავშირო ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირისათვის განკუთვნილ პრიზსაც დაეუფლა: პირველად, 22 მატჩში 16 გოლი გაიტანა, მეორედ, 23 შეხვედრაში — 20 გოლი. საბჭოთა კავშირის ოლიმპიური ნაკრების შემადგენლობაში მონაწილეობდა 1960 წლის ოლიმპიადის შესარჩევ ტურნირში; 1960 წლის ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე საბჭოთა კავშირის ნაკრების შემადგენლობაში იყო, მაგრამ გივი ჩოხელის, სლავა მეტრეველისა და მიხეილ მესხისგან განსხვავებით, პარიზში თამაშმა არ მოუწია. საფეხბურთო კარიერა 1964 წელს დაასრულა, — „დინამოსთვის" საჩემპიონო სეზონში, ამის შემდეგ გარკვეული პერიოდი მწვრთნელად მუშაობდა. გარდაიცვალა 1998 წელს...

ზემოთ, ზაურ კალოევის პარტნიორები ვახსენეთ და ამ მართლაც გამორჩეული გოლეადორის გახსენება გასული საუკუნის 60-იანი წლების „დინამოს" ასევე გამორჩეულ ვარსკვლავებს, **მურთაზ ხურცილავას, სერგო კოტრიკაძესა** და **ილია დათუნაშვილს** ვთხოვეთ.



**მურთაზ ხურცილავა:** „ზაურიზე მხოლოდ და მხოლოდ კარგი მახსენდება; ჯერ ერთი, ბრწყინვალე პიროვნება გახლდათ და მართლაც ძალიან ძლიერი თავდამსხმელი იყო. აი, კლასიკურ ცენტრფორვარდს რომ ეძახიან, ისეთი, და ვისაც ზაურის თავით თამაში უნახავს, ერთ რამეში უნდა დამეთანხმოს: მხოლოდ ჩვენთან კი არა, ანალოგი მსოფლიო ფეხბურთში არ მოეძებნებოდა! სისწრაფეც ჰქონდა, ტექნიკაც, ფეხითაც ძლიერად თამაშობდა, მაგრამ თავით ისეთი გოლები გაჰქონდა, უნდა დამდგარიყავი და ცქერით დამტკბარიყავი; კარგად მახსოვს, 1962 წელს, მოსკოვში, გადაჭედილ „ლუჟნიკებზე" ჩვენმა „დინამომ" იქაურ „სპარტაკს" 2:0 რომ მოუგო; ორივე გოლი მიხეილ მესხის გადაცემით ზაურ კალოევმა თავით გაიტანა და იმდენად ლამაზად და ეფექტურად შეასრულა ორივეჯერ, მსგავსი არასდროს მინახავს! ეგ კიდევ არაფერი: ორივე გოლის მერე გადაჭედილი „ლუჟნიკები" ფეხზე წამოუდგა ზაურ კალოევს და ტაში დაუკრა! მერწმუნეთ, ასეთი რამ არც მანამდე და არც მერე მოსკოვში არასდროს მომხდარა...

...თავით თამაში ხელოვნებამდე ჰყავდა აყვანილი, - თითქოს, მომენტს ელოდებაო, ჰაერში ახტომისას ცოტას შეყოვნდებოდახოლმე და აი, ამ პაუზით უგებდა კიდეც ფაქტობრივად ყველა ორთაბრძოლას მეტოქეთა მცველ-მეკარეებს; ყოველივე ამას, რაღა თქმა უნდა, თანდაყოლილი ნიჭის გარეშე ვერ მიაღწევდა, მაგრამ შრომაც არანაკლებ უყვარდა: ვარჯიშის მერეც რჩებოდა და თავით თამაშს წვენდა. აღარაფერს ვამბობ ზაურის და შოთა იამანიძის ზღაპრულ კომბინაციებზე: ერთმანეთში... 30-მეტრიან „კედელს" რომ გაითამაშებდნენ-ხოლმე, აი, ეს მართლაც სასწაული იყო...

...ჩვენს დროს ერთმანეთში „სხვა" დამოკიდებულება და პატივისცემა იყო; ჩემზე უფროსი გახლდათ და მუდამ მამის სახელით მივმართავდი, თუმცა თვითონ უფროს-უმცროსობას არავის აგრძნობინებდა და ყველას მიმართ უდიდესი პატივისცემითა და სითბოთი იყო განმსჭვალული"...



**სერგო კოტრიკაძე:** „ზაური არაჩვეულებრივი პიროვნება გახლდათ, — მისგან პატარა წყენაც კი არავის ახსოვს. როგორც ფეხბურთელზე კი ახალი რა უნდა ვთქვა: თავით ვინმეს ასე ეთამაშოს, მსგავსს ვერავის ვიხსენებ და საერთოდაც, ამ კომპონენტში ზაური მართლაც განუმეორებელი და შეუდარებელი გახლდათ. თანაც, მხოლოდ თავით გოლის გატანას არ ვგულისხმობ: საჰაერო ორთაბრძოლებში, ფაქტობრივად, უკონკურენტო იყო. ერთ ნახვად ღირდა ზაურ კალოევისა და შოთა იამანიძის გათამაშებული კომბინაციები; აღარაფერს ვამბობ მიხეილ მესხისა და სლავა მეტრეველის ფლანგურ ჩაწოდებებზე, თითქმის უმრავლეს შემთხვევაში ზაურის ზუსტი და ლამაზი თავური დარტყმით რომ მთავრდებოდა ხოლმე; იცით, ვის ვადარებდი ყოველთვის? ყველა ქართველმა სპორტის მოყვარულმა იცის „პტიცა" ვინც იყო — **ვლადიმერ უგრეხელიძე,** 60-იანი წლების ჩვენი კალათბურთის ერთ-ერთი ვარსკვლავი ჰაერში რომ ახტებოდა, პაუზას აკეთებდა ხოლმე და მერე ისე გზავნიდა ბურთს კალათში. აი, ასეთი იყო ზაურიც — ჰაერში რომ აფრინდებოდა, მეტოქეთათვის ამოუხსნელ პაუზას დაიჭერდა და მერე, თავით ბურთს ზუსტად გზავნიდა მოწინააღმდეგის კარში. კარგად მახსოვს, სწორედ ასეთი გოლი გაუტანა **ვლადიმერ მასლაჩენკოს,** — ეს უკანასკნელი ვერაფრით გარკვეულიყო, თუ როგორ შეძლო ჰაერში „შეჩერებულმა" ზაურ კალოევმა ზუსტი თავური დარტყმის შესრულება. იმდროინდელი პოპულარული რადიოკომენტატორი **ვადიმ სინიავსკიც** ყოველთვის აღტაცებული იყო კალოევის დიდოსტატური თამაშით და საერთოდაც, არც ის იყო შემთხვევითი ფაქტი, როცა 1960 წლის ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე საბჭოთა კავშირის ნაკრებთან ერთად გაემგზავრა. სამწუხაროდ, ზაურს იქ თამაშმა არ მოუწია — **ვიქტორ პონედელნიკის** სახით საკმაოდ სერიოზული კონკურენტი ჰყავდა, თუმცა თვითონ ნაკრებში მოხვედრის ფაქტიც იმ დროს ძალიან ბევრს ნიშნავდა. ნურავის ეგონება, რომ მაშინდელი საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი დაბალი დონის გათამაშება იყო, — პირიქით, ფაქტობრივად, 15 ქვეყნის ნაკრებების შეჯიბრებაში კაცი ორჯერ რომ საუკეთესო ბომბარდირი გახდებოდა, ესე იგი, მართლაც ძალიან მაღალი კლასის ფეხბურთელი უნდა ყოფილიყო. სწორედ ასეთი გახლდათ ზაურ კალოევი — არაჩვეულებრივი პიროვნება და ბრწყინვალე ფეხბურთელი...



**ილია დათუნაშვილი:** „ზაური ტიპური ცენტრფორვარდი იყო, აი, კლასიკურ ცხრა ნომრებს რომ ეძახიან; თავით ისე თამაშობდა, არც მანამდე და არც მის მერე მსგავსი არავინ მინახავს; ფეხითაც ძლიერად ურტყამდა და ნამდვილად არ არის შემთხვევითი, რომ თბილისის „დინამოს" ისტორიაში ყველა დროის ერთ-ერთ საუკეთესო ბომბარდირად მიიჩნევა. მართლაც დიდი ფეხბურთელი გახლდათ, მაგრამ პიროვნული თვისებებითაც ისე იყო დაჯილდოებული, ყველას მიმართ სიკეთესა და სითბოს რომ გამოხატავდა. სამწუხაროდ, რამდენიც გნებავთ, იმდენი მაგალითია, როცა უდიდეს სპორტსმენს ხასიათი... არ უვარგა და ადამიანებთან ურთიერთობაშიც ყოველდღიურად მოიკოჭლებს; საბედნიეროდ, ზაური ამ მხრივ სასიამოვნო გამონაკლისი გახლდათ და ვინ უნდა მისულიყო თხოვნით, რომ არ დახმარებოდა. მართლაც დიდი ფეხბურთელი იყო, მაგრამ მედიდურობა არავისთვის უგრძნობინებია: ჩემზე ექვსი წლით უფროსი გახლდათ, მაგრამ ასაკში სხვაობას ჩვენი ურთიერთობისათვის ხელი არ შეუშლია. იცით, რომ ორი წელი მოსკოვის „ლოკომოტივში" თამაშობდა და 1959 წლის დასაწყისში „დინამოში", ვინ მოთვლის მერამდენედ მობრუნებულმა **ანდრო ჟორდანიამ** კვლავაც თბილისში დააბრუნა; მანამდე ჟორდანიას ხელმძღვანელობით ქუთაისის „ტორპედოში" ვთამაშობდი და 1959 წელს მეც „დინამოში" გადმომიყვანეს — აი, ასე დაიწყო ჩემი და ზაურის ურთიერთობა. თბილისში დაბრუნების შემდეგ კი ზაური ისე ათამაშდა, მისი შემჩერებელი არავინ იყო — აბა, ეხუმრებით ზედიზედ ორჯერ საბჭოთა კავშირის ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირობას? ან, როგორ ფიქრობთ, შემთხვევით შეარქმევდნენ ფეხბურთელს „მაღალი ბურთების მეფეს", — აი, სწორედ ასეთი ეპითეტით მოიხსენიებდა მაშინდელი ქართული თუ საკავშირო პრესა ზაურ კალოევს. მაგრამ, ისიც უნდა ვაღიაროთ, რომ ისე როგორც იმდროინდელი „დინამოს" რამდენიმე ფეხბურთელი, ზაურიც არაერთხელ გახდა მაშინდელი საბჭოური შოვინიზმის მსხვერპლი. აბა, სხვა რა სახელი უნდა ვუწოდოთ იმ ფაქტს, რომ ასეთი დონის ცენტრფორვარდს საბჭოთა კავშირის ნაკრებში მხოლოდ სამი მატჩი ჰქონდა ჩატარებული. თუმცა, რატომ გვიკვირს: მიხეილ მესხი მსოფლიოს სიმბოლურ ნაკრებში გამოიძახეს, სამაგიეროდ, საბჭოთა კავშირის ნაკრებში მას... ჰუსაინოვი „ამჯობინეს"! აი, ასე ხდებოდა ზაურისა და სხვა ქართველი ფეხბურთელების შემთხვევაშიც: ათი კი არა, სხვებზე „ოცდაათი თავით" მაღლა უნდა ყოფილიყავი, საკავშირო ნაკრებში ადგილი რომ დაგემკვიდრებინა"...

**გია ტუხაშვილი**



ეროვნული ბიბლიოთეკა

პაატა ბურჯალიანი

## სტუდლიგა: პრეზენტაცია ნილისყრით

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში საქართველოს საუნივერსიტეტო ფეხბურთის ლიგის პრეზენტაცია და წილისყრა გაიმართა.

საუნივერსიტეტო ლიგის პრეზიდენტად პროფესიული ფეხბურთის ლიგის გენერალური მდივანი **პაატა ბურჯალიანი** აირჩიეს, რომელიც მრავალი პროექტის ავტორი გახლავთ. მას სჯერა, რომ ახალი წამოწყებაც წარმატებული იქნება.

*„ჩვენ შევიძინეთ ძლიერი პარტნიორები, რომლებიც ამ უმნიშვნელოვანეს პროექტს გვერდში დაუდგნენ. ეს გვაიმედებს, რომ სტუდლიგა მაღალი დონის ტურნირი იქნება.*

*ამ პროექტის განხორციელება 2008 წელს შოთა ბაქრაძეს, დიმიტრი ბოკერიასა და ირაკლი ნაკაიძეს სურდათ, მაგრამ რუსეთის აგრესიამ და ეკონომიკურმა კრიზისმა ხელი შეუშალა.*

*ახლა კი ეს შესაძლებელი გახდა უმაღლესი სასწავლებლების, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს, ოლიმპიური კომიტეტისა და განათლების სამინისტროს თანადგომით.*

*საუნივერსიტეტო ლიგაში მონაწილეობის სურვილი ათმა უმაღლესმა სასწავლებელმა გამოთქვა, ცხრა თბილისურთან ერთად გუნდს გორის სახელმწიფო უნივერსიტეტიც გამოიყვანს. სექტემბრიდან ტურნირი რესპუბლიკურ მასშტაბს შეიძენს და მინი-მოედნიდან დიდ მოედანზე გადავალთ, რადგან ჩამოსაყალიბებელია საუნივერსიტეტო ნაკრები, რომელიც საერთაშორისო ტურნირებზე გაემგზავრება.*

*დამზადებულია და მალე ამოქმედდება ჩვენი ოფიციალური ვებგვერდი, სადაც მატჩების შედეგებს ონლაინ რეჟიმში გაეცნობით.*

*ტურნირის პარალელურად, სტუდენტები მის გაშუქებაშიც ჩაერთვებიან. მადლობა მინდა გადავუხადო კავკასიის უნივერსიტეტის ხელმძღვანელ კახა შენგელიას, რომლის დახმარებითაც ფეხბურთით დაინტერესებული ჟურნალისტიკის ფაკულტეტის სტუდენტები ტურნირის მიმოხილვას მოამზადებენ, რომელიც ყოველ ოთხშაბათს GMG-ის ეთერში გავა. პირველი გადაცემა კი უკვე შემდეგ ოთხშაბათს დაიგეგმა"* - თქვა ბურჯალიანმა.

**სანდრო კვიტაშვილი,** ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი: *"სტუდენტური საფეხბურთო ლიგის დაარსება სერიოზული ნაბიჯია და მიღებული ფორმაა ბევრ ქვეყანაში, განსაკუთრებით ამერიკაში. სტუდენტური სპორტის მასობრიობა ქვეყანაში სპორტის საერთო დონესაც განაპირობებს. პროექტით გათვალისწინებული ერთ-ერთი საინტერესო იდეა გუნდებში ექიმებად სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტების მიწვევაა, რომლითაც ისინი პრაქტიკულ გამოცდილებას მიიღებენ. დარწმუნებული ვარ, ტურნირი მაყურებელს დააინტერესებს. გაოცებული დავრჩი, როდესაც სპორტის სასახლეში სტუდენტურ საკალათბურთო ტურნირზე მაყურებლის ტევა არ იყო - ამდენ ხალხს ყოფილ საკავშირო ჩემპიონატში მონაწილე თბილისის "დინამოს" კალათბურთელები თუ კრებდნენ".*

პრეზენტაციის შემდეგ სტუდლიგის წილისყრა გაიმართა. ტურნირის პირველი ეტაპი 3 აპრილს დაიწყება და 5 ივნისს დამთავრდება. ოთხი საუკეთესო ბრძოლას 12 ივნისს პლეი ოფში განაგრძობს, გამარჯვებულს კი 19 ივნისს დანიშნული ფინალი გამოავლენს.

**მერაბ მამულაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინგლისის ნაკრები



# მათთვის, ვისაც პრეტენზია აქვს

ვერა და ვერ ჩაცხრა ინგლისში მღელვარება ნაკრების სამკლავურის გამო. ახლა **ჯონ ტერიმ** გამოაცხადა კოვბოისავით, თუ თანაგუნდელებიდან რომელიმეს ჩემი კაპიტნობის ამბავი არ მოსწონს მოვიდეს და პირში მითხრასო. მას მერე, რაც ინგლისელთა იტალიელმა თავკაცმა **ფაბიო კაპელომ** კვლავ შეცვალა კაპიტანი — სამკლავური გაუფრთხილებლად ჩამოართვა **რიო ფერდინანდს** და ტერის დაუბრუნა — „ჩელსის" მცველი პირველად წარდგა ჟურნალისტების წინაშე. შეგახსენებთ, რომ თანაგუნდელ **უეინ ბრიჯის** ცოლთან რომანის გამო ის კაპიტნობიდან 13 თვის წინ გადააყენეს.

პრესკონფერენციაზე აშკარად გამოჩნდა, რომ ტერი მის წინააღმდეგ აგორებულ კამპანიას განიცდის და გაღიზიანებულია. ცენტრალურმა მცველმა თქვა, რომ ზურგს უკან მოქმედებას სჯობს, ვისაც მისი კაპიტნობა არ ეპიტნავება მივიდეს და ამის შესახებ პირში უთხრას.

ტერის კვლავ კაპიტნად დანიშვნის ამბავი კაპელომ ჰერტფორდშირში, კერძოდ, სოფელ ლონდონ კოლნიში მდებარე სანაკრებო ბაზაზე გამოუცხადა ფეხბურთელებს. მან დააზუსტა, რომ ეს ის შემთხვევაა, როდესაც ფერდინანდისა და **სტივენ ჯერარდის** გამოჯანმრთელება ვერაფერს შეცვლის. სამკლავური ამიერიდან ყოველ შეხვედრაში ტერის ეკეთება. და როგორც თავად ტერიმ თქვა, ამ კრებაზე საწინააღმდეგო არავის არაფერი უთქვამს.

*„პირველი ვარჯიშის წინ მწვრთნელმა შეგვკრიბა და გამოაცხადა, რომ ამიერიდან კაპიტანი ისევ მე ვიქნები. გამოცხადების შემდეგ მან იკითხა, ვინმეს რამე ხომ არ აქვს სათქმელი. ხმა არავის ამოუღია. არც ჩემთვის უთქვამს ვინმეს რამე და არც კაპელოსთვის.*

*თუ ვინმეს მაინც აქვს რაიმე პრობლემა, ძალიან კარგი იქნება თუ მოვა და პირადად დამელაპარაკება. არაფერი გამიკვირდება. ყველა კლუბში არიან ფეხბურთელები, რომელთაც ერთმანეთთან ურთიერთობა უჭირთ. ეს ჩვეულებრივი ამბავია, ასეთია ცხოვრება. და მაინც, მიჯობს თუ ვინმეს რამე უნდა, პირდაპირ მითხრას, ვიდრე ჭორებს აჰყვეს ან ტელევიზიით ნათქვამი დაიჯეროს ჩემთან გადამოწმების გარეშე. ხშირად ხალხს ტყუილად ჰგონია, რომ მათ რაღაც იციან".*

ტერიმ დაადასტურა, რომ ფერდინანდისგან მხარდაჭერის მესიჯი მიიღო. მოგეხსენებათ, მანჩესტერელ ვეტერანს კაპელოს გადაწყვეტილება მისთვის სამკლავურის ჩამორთმევის შესახებ ძალიან ეწყინა. კულუარულად ცნობილია, რომ მწვრთნელის საქციელი არც სხვა ფეხბურთელებს მოეწონათ. კიდევ, ტერიმ თქვა, რომ მას კაპელოს 13 თვის წინანდელი გადაწყვეტილება მიაჩნია შეცდომად, თუმცა ისიც დასძინა, რომ ასაკთან ერთად სიბრძნეც მოემატა და ცდილობს მოედანსა და მის მიღმა შეცდომები აღარ დაუშვას.

კიდევ, ინგლისის ნაკრების ბანაკიდან გამოვიდა ხმა, რომ ფაბიო კაპელო **ენდი ქეროლის** ჯანმრთელობითა და ფიზიკური მომზადებით არის ძალიან კმაყოფილი. როგორც ჩანს, შაბათს უელსელებს ის და **უეინ რუნი** წყვილად შეუტევენ.

**სკოტ პარკერი** მამის გარდაცვალების გამო ვარჯიშებიდან გაათავისუფლეს.

მწვრთნელი

# მოურინიო: ინგლისი მიყვარს და მორჩა!

**ჟოზე მოურინიომ** ლონდონის „გროსვინორ ოტელში" დაადასტურა ის, რასაც ინგლისური ტაბლოიდები და კერძოდ გაზეთი „სანი" დაახლოებით ათი დღის წინ იტყობინებოდა - ინგლისში აპირებს დაბრუნებას. ბრიტანეთში საგანგებო საფეხბურთო-საქველმოქმედო საღამოში მონაწილეობისთვის გახლდათ ჩასული. *„ინგლისი ძალიან მენატრება და ჩემი შემდეგი სამსახურიც ამ ქვეყანაში იქნება. აქ საქმეები დამრჩა დასამთავრებელი* — თქვა მან ისევ და ისევ „სანის" კორესპონდენტთან შეხვედრისას — *ვფიქრობ, არც ინგლისელები არიან უარზე, მე რომ დავბრუნდე. ჩემი კარიერის ყველაზე სასიამოვნო წუთები სწორედ პრემიერლიგაში გავატარე".*

ეს პირველი შემთხვევა არ არის, როდესაც მოურინიო ინგლისს მწვრთნელისთვის განსაკუთრებულ ადგილად აცხადებს. „რეალის" თავკაცი, რომელიც „ჩელსიდან" 2007 წლის შემოდგომაზე გაუშვეს და მას მერე ინგლისში აღარ უმუშავია ამბობს, რომ პრემიერლიგაში ეფექტურ დაბრუნებას აპირებს. სავარაუდოდ, ის ისევ „ჩელსიში" მივა, თუმცა ხმებს რა დალევს: ამბობენ, რომ მასთან თანამშრომლობით მანჩესტერის ორივე გუნდი და „ტოტენჰემ ჰოთსპური" არიან დაინტერესებული.

48 წლის მოურინიომ თქვა: *„ის დრო, რომელიც „ჩელსიში" გავატარე საუცხოო იყო ჩემთვის, როგორც სპეციალისტისთვის და როგორც მეოჯახე კაცისთვის. მე და ჩემი ოჯახის წევრებმა ინგლისში ცხოვრებას გემო გავუგეთ და ჩავატანეთ. აქ უამრავი მეგობარი გვყავს, რომლებთანაც ურთიერთობას ვინარჩუნებთ და ჩამოვდივართ ხოლმე.*

*რაც შეეხება საფეხბურთო მხარეს, ინგლისში ყველაფერი მოგებული მაქვს და მხოლოდ რომელიმე ინგლისური ჯილდოს მოსაპოვებლად ჩამოსვლას არ ვგეგმავ. მე ჩემს აგენტებს ვუხსნი, რაც მინდა და ჩემი ცხოვრების პროექტისთვის ვემზადები. დღეს, კონტრაქტით „რეალთან" კიდევ სამი წელიწადი მაკავშირებს. „რეალი" მსოფლიოს უდიადესი კლუბია, მაგრამ, იმავდროულად, ურთულესი კლუბიც გახლავთ. მადრიდელებმა სხვადასხვა დროს სამჯერ მომმართეს, „რეალს" რომ ჩავდგომოდი სათავეში და მესამედ უარი ველარ ვუთხარი. ასევე უნდა წავსულიყავი იტალიაში. ეს ჩემთვის იყო მნიშვნელოვანი. როგორც მწვრთნელს, მინდოდა სერია A-ში აუცილებლად მომესინჯა ძალა. ყველასგან მესმოდა, რომ იტალია ტაქტიკის ქვეყანა და სახლია, ასე რომ, ამ ქვეყანაში აუცილებლად უნდა გამეტარებინა რაღაც დრო.*

*მაგრამ იტალია ინგლისი არ არის. ინგლისი სხვაა. იტალიელები, ესპანელები, პორტუგალიელები მეკითხებიან, რატომ მიყვარს ინგლისი ასე გამორჩევით და მე ვერ ვპასუხობ. მიყვარს და მორჩა. მინდა ჩემს საქმეში, ჩემს ფეხბურთში ბედნიერი ვიყო".*

ამასობაში კი „ჩელსის" **ფრენკ არნესენის** წასვლის შემდეგ შეიძლება **გუს ჰიდინკი** დაუბრუნდეს — როგორც მიხვდით მწვრთნელად კი არა, საფეხბურთო საქმეთა დირექტორად. „ლურჯებმა" ჰოლანდიელს ამავე წინადადებით ნოემბერშიც მიმართეს, მაგრამ მან მაშინ უარი მიიღეს. დღეს კი,



როდესაც ჰიდინკის თურქეთის ნაკრებიდან წამოსვლაზე დაიწყო ლაპარაკი, ვითარება შეიცვალა. დავაზუსტოთ: 26 და 29 მარტს თურქებს ევრო 2012-ის შესარჩევში ავსტრიასა და ბელგიასთან უწევთ შეხვედრა. თუ ეს თამაშები მათთვის სასურველი ანგარიშით არ დამთავრდება და გუნდი ფინალურ ეტაპზე მოხვედრის შანსს დაკარგავს, ჰიდინკი შესაძლოა ამ ქვეყნიდან წავიდეს.

„ყველა ღონეს ვხმარობ, რათა თურქეთის ნაკრები გაძლიერდეს, მაგრამ თუ ვერ შევძელი, ფეხბურთის ასოციაციის პრეზიდენტს ვთხოვ, რომ სამსახურიდან გამიშვას" — თქვა ჰიდინკმა.

ასტონ ვილა



ჟერარ ულიე

# მკაცრი რეჟიმის კლუბი

**ჟერარ ულიე** რისკზე წავიდა, ის „ასტონ ვილაში" ქცევის წესებს ამკაცრებს. რისკი რატომ ვახსენეთ? იმიტომ, რომ ულიეს ამ ბირმინგემულ კლუბში ისედაც ვერ აქვს საქმე კარგად — გუნდი გასავარდნთა ზონასთან არის ახლოს. მე-14 ადგილი მეოცისგან ერთი შეხედვით შორს კი არის, მაგრამ თუ ქულებს დავთვლით, ვაგლახ... „ვილა" ბოლოდან მესამეს მხოლოდ ერთი ქულით უსწრებს. შესაბამისად, ფანების დიდი ნაწილი ფრანგის სამსახურიდან გაშვებას ითხოვს. და აი, ასეთ დროს მწვრთნელმა გადაწყვიტა პროფესიონალ ფეხბურთელთა ასოციაციის მიერ დამტკიცებულ საკლუბო წესებში რამდენიმე პუნქტი შეცვალოს.

ულიეს ასეთ გადაწყვეტილებას წინ „ვილას" ორი ფეხბურთელის **ჯეიმს კოლინზისა** და **რიჩარდ დანის** დასჯა უძღოდა. მათ, სპასალონში დიდი ლოთობა მოაწყვეს და მთვრალებმა მწვრთნელებზე ცუდად ილაპარაკეს, რისთვისაც კლუბმა ორი კვირის ხელფასი დაუქვითა.

მაინც რა აკრძალვები შემოაქვს ფრანგს? ოფიციალურად ამის შესახებ არაფერი გამოუცხადებიათ, მაგრამ ტაბლოიდებმა შეიტყვეს, რომ ერთ-ერთი გასახდელში მობილურით ლაპარაკს ეხება. დანარჩენი ცვლილებები უფრო ზოგადიაო, ამბობენ კლუბის თანამშრომლები.

არადა 63 წლის ჟერარ ულიეს მდგომარეობა მართლაც სასწრაფოდ აქვს გამოსასწორებელი. რაც „ვილას" სათავეში ეს სპეციალისტი ჩაუდგა გუნდმა 25-დან მხოლოდ ხუთი თამაშის მოგება მოახერხა. თუმცა, ამის მიუხედავად, ულიეს რამდენიმე დღის წინ კლუბის აღმასრულებელმა შეფმა **პოლ ფოლკნერმა** დაუჭირა მხარი. მან განაცხადა, რომ მწვრთნელის მოხსნით „ასტონ ვილა" ვერაფერს მოიგებს.

რასაკვირველია, არის სხვა მოსაზრებაც. ბევრი ამტკიცებს, რომ შინაგანაწესის გამკაცრება გუნდში მხოლოდ უარესობას გამოიწვევს და გაცილებით აჯობებდა ყურადღება დარჩენილ შეხვედრებში მოგების ხერხებზე გაემახვილებინათ. კლუბის პრესმდივანმა თქვა:

*„მწვრთნელმა წესების სტანდარტულ წიგნში ცვლილებები შეიტანა. ეს ყოფაქცევის ახალი კოდექსი არ არის, რამდენიმე ცვლილებაა, რომელთა შესახებ ფეხბურთელებს უკვე შეატყობინეს".*

საინტერესოა, რომ დასჯილი კოლინზი და დანი ბოლო ხანს დაშავებულებიც იყვნენ, თუმცა ბოლო ტურის წინ გავრცელდა ინფორმაცია, რომ ორივე გამოჯანმრთელდა. ამის მიუხედავად, ულიემ არც ერთი ათამაშა და არც მეორე. კოლინზმა, რომელიც შაბათს უელსის ნაკრების მაისურით ევროპის ჩემპიონატის შესარჩევში ინგლისს დაუპირისპირდება, განაცხადა:

*„ჩემს თამაშზე ლაპარაკიც ვერ იქნებოდა, რადგან ფიზიკურად არ ვიყავი მზად. სამაგიეროდ, რამდენიმე დღის განმავლობაში დიდი დატვირთვით ვივარჯიშე რასაც ახლა ნაკრების ბანაკში გატარებული ერთი კვირაც დაემატება და იმედი მაქვს, რომ მოედანს დავუბრუნდები. მთელი ეს ისტორია, რასაკვირველია, კარგი არ იყო. ისეთი რამ გადამხდა, რაც ნამდვილად არ მინდოდა, რომ გადამხდენოდა. პრემიერლიგის ჩემპიონატი სანაკრებო თამაშმა ერთი კვირით რომ გაწყვიტა ძალიან კარგია. ახლა ყურადღების ცენტრში აღარ ვართ. დღეს ერთადერთი რამ მაინტერესებს, ინგლისელების დამარცხება და უელსის ნაკრებისთვის სამი ქულის მოპოვება".*

მეკარე

# რატომ არ დგას ჩეხი არსენალის კარში?

„ჩელსის" მეკარე **პეტრ ჩეხი** თქვა, რომ დღეს ის შეიძლებოდა „არსენალის" კარში მდგარიყო, მაგრამ ეს თავად „მეთოფეებმა" არ ინდომეს. საქმე ის გახლავთ, რომ ჩეხი „არსენალმა" ჯერ კიდევ მაშინ გასინჯა, როდესაც ის პრაღის „სპარტაში" თამაშობდა. „სპარტადან" გოლკიპერი 2002 წელს ფრანგულ „რენში" გადავიდა და მხოლოდ ამის მერე, 2004-ში მოხვდა „ჩელსიში" სადაც, მოგეხსენებათ, დამკვიდრდა კიდეც.

ერთი სიტყვით, **არსენ ვენგერის** სკაუტები ცხრა-ათი წლის წინ ვერ მიხვდნენ, რომ მათ წინ დიდი მომავლის მქონე მეკარე იდგა და... დღეს „არსენალი" სასაცილო დღეშია — ყოფილ მეკარეს,



გერმანელ **იენს ლემანს** „ენისიდან დაბრუნება" სთხოვა. ლემანს 41 წლისაა.

28 წლის ჩეხმა კი თქვა: *„სანამ „რენში" გადავიდოდი „არსენალმა" გამსინჯა, მაგრამ ლონდონში ვერ დავრჩი. მაშინ ჩემთვის ინგლისში მუშაობის უფლება ძნელი მოსაპოვებელი იყო, თუმცა მიზეზი მარტო ეს არ ყოფილა. ბოლო წამს, ადამიანმა, რომელიც მაშინ „არსენალის" სკაუტებს ხელმძღვანელობდა ჩემი გაშვება გადაწყვიტა. მას არ ეგონა, რომ ჩემგან კარგი მეკარე დადგებოდა. მოკლედ, მაშინ ჩემი პრემიერლიგაში გადასვლა ჩაიშალა".*

მაგრამ გავიდა წლები და „არსენალს" ადრინდელი გადაწყვეტილება სანანებელი გაუხდა, რადგან პეტრ ჩეხი საუცხოო გოლკიპერი გახდა და თან სწორედ პრემიერლიგაში. ის უკვე წლებია „მეთოფეთა" კონკურენტ „ჩელსის" კარს იცავს. გასულ შაბათსაც, „ლურჯებისა" და „მანჩესტერ სიტის" შეხვედრაში მან საიმედოდ ითამაშა და „სტემფორდ ბრიჯის" მაყურებელს ოვაცია გამოსტაცა.

ჩეხი ამბობს: *„მაინც ვფიქრობ, რომ ამ სეზონში ერთნაირად ვთამაშობდით მაშინაც, როდესაც 5:0-ებს ვიგებდით და მაშინაც, როდესაც ვაგებდით და ფრეზე უკეთესს ვერაფერს ვახერხებდით. საბედნიეროდ, ბოლოხანს ისევ გამარჯვებებზე გადავედით. თან, ვფიქრობ, დაცვაც გაგვიძლიერდა.*

*ამ ეტაპზე კიდევ გვაქვს „მანჩესტერ იუნაიტედის" დაწევის შანსი, თუმცა, ჩვენი წარმატება სხვა გუნდების შედეგებზეა დამოკიდებული. „იუნაიტედმა" ქულების დაკარგვა თუ დაიწყო ჩვენი შანსი გაიზრდება და მაინც, „ჩელსის" კალიბრის გუნდისთვის ყველაფერზე მნიშვნელოვანი მომავალი სეზონის ჩემპიონთა ლიგაში მონაწილეობაა. ერთი სიტყვით, მთავარია მოვიგოთ, მოვიგოთ და მოვიგოთ. „სიტისთან" შეხვედრა, მაგალითად ექვს ქულად ფასობდა. კალენდარიც ძალიან საინტერესო გაზაფხულს გვპირდება. წინ დიდი მატჩები გველის".*

გვერდი მოამზადა
ილია **ბაბუნაშვილმა**

ლაციო

# ერნანესზე დიდი მოთხოვნაა

## ლოტიტოს იაკვინტა მოუნდა

სერია A-ს მიმდინარე გათამაშების ერთ-ერთი აღმოჩენა უდავოდ რომის „ლაციო“ გახლავთ და ეს მიუხედავად იმისა, რომ ჩემპიონთა ლიგის ზონიდან „უდინეზემ“ ჩამოაჩოჩა. თავად ის ფაქტი, რომ „ბიანკოჩელესტე“ ოთხეულში მოსახვედრად იბრძვის, გუნდის გულშემატკივრებისთვის უკვე სასიამოვნო მოულოდნელობაა, რადგან ბოლო წლებში მსგავსი წარმატებებით ვერ დაიკვეხნიან. კლუბის პრეზიდენტი **კლაუდიო ლოტიტო** გაძლიერებაზე აქედანვე ფიქრობს და ზაფხულის სატრანსფერო პერიოდში რამდენიმე მაღალი კლასის ფეხბურთელის გადაბირებას შეეცდება. იტალიური პრესის მიერ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, სენიორ კლაუდიოს ძალიან უნდა „იუვენტუსიდან“ **ვინჩენცო იაკვინტა** გადაიყვანოს. ბოლო დროს, ეს უკანასკნელი ტრავმებმა გატანჯეს, თუმცა როდესაც ჯანმრთელია, მაინც ხვდება პიემონტური გუნდის ძირითად შემადგენლობაში - შესაბამისად, წასვლაზე უჭირავს თვალი. ამასთან, ერთხელ განაცხადა კიდეც, გარემოს გამოცვლაზე უარს არ ვიტყოდიო. სწორედ ამის შემდეგ გააქტიურდა ლოტიტო და თუ ავტორიტეტულ გამოცემას დავუჯერებთ, გარკვეული ნაბიჯები უკვე გადადგა კიდეც. იტალიელ ჟურნალისტთა მტკიცებით, ტურინელები არ არიან უარს, რომ იაკვინტას შეელიონ, მაგრამ რა პოზიციას დაიჭერს თავად ფეხბურთელი, ძნელი სათქმელია. გარემოს გამოცვლა რომ უნდა, გასაგებია, მაგრამ „ლაციოს“ ვარიანტი რამდენად მოხიბლავს, ეგ კიდევ ცალკე ამბავია. ვნახოთ, ალბათ უახლოეს დღეებში პოზიციას საჯაროდ დააფიქსირებს.

„ლაციოს“ პრეზიდენტს ფეხბურთელთა შენარჩუნებაზეც მოუწევს ზრუნვა, რადგან გუნდის ასეთმა წარმატებულმა ასპარეზობამ, არაერთ მოთამაშეზე გაზარდა მოთხოვნა. ერთ-ერთ ასეთთაგანია **ერნანესი**, რომელიც შესანიშნავად ასპარეზობს და შედეგად, მისით ბრაზილიის ეროვნული ნაკრების თავკაციც კი დაინტერესდა. სამხრეთამერიკელის გადაბირებას „მილანი“ შეეცდება, რომელსაც შუახაზში გადაბერებული ფეხბურთელები ჰყავს და გაძლიერებას ლამობს. ერნანესის თქმით, „ლაციოში“ ბედნიერია და მხოლოდ იმ შემთხვევაში დატოვებს გუნდს, თუ საოცნებო წინადადება მიიღო: *„გავიგე, რომ „მილანის“ მესვეურებს აქვთ ინტერესი, მაგრამ საქმე ამაზე შორს არ წასულა. პრინციპში, ზაფხულის სატრანსფერო პერიოდამდე ჯერ კიდევ დიდი დროა დარჩენილი და გამიკვირდება კიდეც, ოფიციალური შეთავაზება ასე ნაადრევად რომ გაკეთდეს. ნებისმიერ შემთხვევაში, სასიამოვნოა, რომ შენით ასეთი დიდი კლუბია დაინტერესებული. ამჟამად, მხოლოდ „ბიანკოცელესტეში“ ასპარეზობაზე ვარ კონცენტრირებული და მსურს, გუნდმა ჩემპიონთა ლიგის საგზური მოიპოვოს. ასეთ შემთხვევაში, ჩემი რომიდან აბარგების შანსი კიდევ უფრო შემცირდება. ევროპის უპრესტიჟულეს ტურნირში ასპარეზობა ჩემი დიდი ხნის ოცნებაა და მიზანთან საკმაოდ ახლოს ვარ. მართალია, კონკურენტები ძალიან ძლიერი გვყავს, მაგრამ დათმობას არც ჩვენ ვაპირებთ. „უდინეზეს“ პროგრესი თვალში საცემია, ფრიულელთა მისამართით კარგის მეტი არაფერი მეთქმის, მაგრამ ვფიქრობ, რომ ლიგაში ასპარეზობის უფლებას „ლაციო“ მოიპოვებს“.*



**ლაშა წიკლაური**

მილანი

# საოცარი ამბავი მილანელოდან

## ინძაგი დერბისთვის ემზადება

შოკისმომგვრელი ინფორმაცია გაავრცელა „კორიერე დელო სპორტმა“, რომლის მიხედვითაც დიდია შანსი, სერია A-ს მომდევნო ტურში გასამართ მილანურ დერბიში **ფილიპო ინძაგიმ** იასპარეზოს. დიახ, ფეხბურთელი, რომელსაც სეზონის ბოლომდე უწინასწარმეტყველეს უქმობა, საოცრად სწრაფად გამოჯანმრთელდა და მსუბუქად ვარჯიშიც დაიწყო. მართალია, სრული დატვირთვით წვრთნებში ჩართვა მისთვის ჯერ კიდევ აკრძალულია, მაგრამ დერბიმდე წესით ყველაფერი უნდა მოგვარდეს. მეორე საკითხია, რამდენად მიეცემა პიპოს თამაშის საშუალება, ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, დიდი ხანია, რაც საყვარელ საქმეს ჩამოშორებული გახლავთ, ოპტიმალური ფორმისგან შორსაა და შესაბამისად, ასეთი მნიშვნელოვანი პაექრობით ფეხბურთში დაბრუნება შესაძლოა არც იყოს მიზანშეწონილი. ამას **მასიმილიანო ალეგრი** გადაწყვეტს, ექიმები კი თავის სათქმელს ამბობენ: სულ მალე, ინძაგი სრულიად ჯანმრთელი იქნება.



ინძაგი ბრუნდება

სანაკრებო მატჩებით გამოწვეულმა პაუზამ „მილანს“ ნამდვილად სულზე მოუსწრო - ამ შემთხვევაში უკვე „გაძეტა დელო სპორტი“ ავრცელებს ინფორმაციას და გვაუწყებს, რომ გუნდის კიდევ ორი უმნიშვნელოვანესი ფეხბურთელი ადგას გამოჯანმრთელების გზას - საუბარია **ანდრეა პირლოსა** და კაპიტან **მასიმო ამბროზინიზე**. მათ გარეშე, „როსონერის“ შუახაზი აშკარად შესუსტებული იყო, რამაც განსაკუთრებით ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალური პაექრობების შედეგებზე იქონია გავლენა. თუ ავტორიტეტულ გამოცემას ვენდობით, მილანურ დერბიმდე პირლოც ჩადგება მწყობრში და ამბროზინიც. ბუნებრივია, ეს ყველაფერი ჩვენზე ადრე მასიმილიანო ალეგრიმ გაიგო და პრესასთან შემდეგი კომენტარი გააკეთა:

*„ტრავმირებული ფეხბურთელები გვიბრუნდებიან და ლაზარეთი ცარიელდება, რაც ძალიან მახარებს. სეზონის დასკვნით ეტაპზე ვართ, თითოეული თამაში ფინალის ტოლფასია და ნებისმიერი ფეხბურთელი ჩვენთვის უმნიშვნელოვანესია. მით უმეტეს, როდესაც ისეთ გამოცდილ და საჭირო მოთამაშეებზეა ლაპარაკი, როგორებიც ანდრეა პირლო და მასიმო ამბროზინი არიან. რაც შეეხება დერბისთვის მზადებას, საინტერესოს და განსაკუთრებულს ვერაფერს გეტყვით - ფეხბურთელთა ნაწილი სანაკრებო შეკრებებზე გავუშვით და შეთხელებული შემადგენლობით ვაგრძელებთ ვარჯიშებს. მთავარია, ჯანმრთელად დაგვიბრუნდნენ მოთამაშეები და სეზონის ერთ-ერთ უმთავრეს პაექრობას მინიმალური დანაკლისით შევხვდეთ“.*

**ლაშა წიკლაური**

სამპდორია

# პალომბო თავს იმხნევებს



ანჯელო პალომბო

„სამპდორიას“ სავალალო მდგომარეობის შესახებ იტალიურ სპორტულ პრესაში ძალიან ხშირად იწერება, რაც ნამდვილად არ გვიკვირს. გენუელებმა მიჯრით წააგეს შეხვედრები სერია A-ში და სატურნირო ცხრილის ფსკერზე დაეშვნენ. გუნდს, რომელსაც სეზონის წინ ჩემპიონთა ლიგის საგზურის მოპოვება ჰქონდა მიზნად დასახული, გადარჩენისთვის უწევს ბრძოლა. გასულ ტურში, „სამპამ“ საკუთარ მოედანზე წააგო „პარმასთან“ და გასავარდნ ზონასთან მხოლოდ სამი ქულა აშორებს. ეს ყველაფერი იმ სატრანსფერო პოლიტიკამ გამოიწვია, რომელსაც კლუბის მესვეურები ბოლო პერიოდში ატარებენ: ჯერ იყო და **ანტონიო კასანო** მოკვეთეს გუნდიდან, შემდეგ კი **ჯამპაოლო პაცინი** გაუშვეს „ინტერში“ და ფაქტობრივად, თავდამსხმელის გარეშე დარჩნენ. მდგომარეობა მართლაც რთულია და ეს კარგად ესმის გუნდის კაპიტან **ანჯელო პალომბოს** - ამად არის, რომ ყველანაირად ცდილობს თანაგუნდელების და მთავარი მწვრთნელის, **ალბერტო კავაზინის** გამხნევებას.

*„ძალიან მძიმე დროება გვიდგას, ბოლო მარცხის შემდეგ ფეხბურთელები შოკში იყვნენ და კარგა ხანი, ხმას არავინ იღებდა. მიუხედავად ამისა, ვცდილობთ დავივიწყოთ განვლილი ტურები და მომავალს ოპტიმისტურად შევხედოთ. ვგრძნობ, რომ შეგვწევს კრიზისიდან გამოსვლის ძალა და საამისოდ თავს არ დავზოგავთ. ერთი ხანობა, ცხრილის შუაგულში ვიყავით გაჭედილი და თითქოს თამაშის მოტივაცია დავკარგეთ, რამაც ასეთ რთულ ვითარებამდე მიგვიყვანა - დროა, გამოვფიზლდეთ, მით უმეტეს, გასავარდნ ზონას ერთი ფეხის ნაბიჯზე მივუახლოვდით და მოტივაციასთან დაკავშირებული პრობლემა, წესით, აღარ უნდა შეგვექმნას. სულ ძალით გავირთულეთ მდგომარეობა და ჩვენ თვითონვე უნდა დავძლიოთ რთული პერიოდი. მინდა მთავარი მწვრთნელი, ალბერტო კავაზინი გავამხნევო და ვუთხრა მას, რომ ყველაფერს ვილონებთ კრიზისის დასაძლევად“.*

**ლაშა წიკლაური**

ეროვნული ბიბლიოთეკა

კვირის შეფასება

### წაგების მიზეზი: დაღლილობა

„მანჩესტერ სიტის“ თავკაცი **რობერტო მანჩინი** თავისი გუნდის ლონდონის „ჩელსისთან“ წაგების (2:0) მიზეზებს „დეილი მეილთან“ ასე ხსნის: *„ეს მატჩი სატურნირო თვალსაზრისით უაღრესად მნიშვნელოვანი გახლდათ – ამიტომაც, თუნდაც ქულის მოპოვება ჩვენთვის კარგი იქნებოდა. ამ შეხვედრამდე სამი დღით ადრე ჩვენ კიევის „დინამოს“ ვეომეთ ევროპის ლიგაზე და დაღლილობის გამო ვერ ვითამაშეთ! ახლა პრემიერლიგაში რვა თამაშია გასამართი – ყველას მოგება უნდა ვცადოთ, რაშიც ხელს ისიც შეგვიწყობს, რომ ამ „მეორე ჩემპიონთა ლიგაზე“ აღარ გამოვდივართ“.*

### ფინალისთვის ფულსაც გადავიხდიო

გაზეთ „მარკასთვის“ მიცემულ ინტერვიუში მადრიდის „რეალის“ თავკაცმა **ჟოზე მოურინიომ** იმაზე ისაუბრა თუ ვინ სურს შეხვდეს ჩემპიონთა ლიგის ფინალში. „განსაკუთრებული“ ამბობს: *„ჩემპიონთა ლიგის ფინალში თამაში უდიდესი გრძნობა და ენთუზიაზმია. მე მსურს ფინალში მილანის „ინტერი“ შემხვდეს, რადგანაც იტალიელებთან ჩემი შესაძლებლობები მაქვს დასამტკიცებელი. მეორე გუნდი კი ლონდონის „ჩელსია“ - უბრალოდ მინდა, ლონდონელთა გუნდი კიდევ ერთხელ დავამარცხო და ამ გუნდებთან ფინალში ჯახისთვის ფულსაც კი გადავიხდი“.*

### უფასო ოცნება

ამა, ვინ წარმოიდგენდა იმას, რომ სერია A-ს პირველი ოთხი ტურის შემდეგ, როდესაც „უდინეზეს“ ოთხიდან ოთხი მარცხი ჰქონდა, ასე რომ წაიწევდა წინ. მაგრამ, როგორც ხედავთ, ფეხბურთში ყველაფერი ხდება. უდინელთა გუნდის ბრწყინვალე თამაშზე თავად კლუბის პრეზიდენტმა **ჯამპაოლო პოცომ** „გაძეტა დელო სპორტთან“ ასე ილაპარაკა: *„მართლაც ძნელად წარმოსადგენი იყო ყველასათვის ის, რომ სეზონის დასაწყისში კრიზისში მყოფი კლუბი ასეთ დიდ პროგრესს განიცდიდა და ჩემპიონთა ლიგის ზონაში მოხვედრაზე იოცნებებდა“.* კითხვაზე – იბრძოლებს თუ არა მისი გუნდი სკუდეტოსთვის, მან ასეთი პასუხი გასცა: *„სკუდეტო? – შეგვიძლია ვიოცნებოთ, რადგანაც ეს სრულიად უფასო და თავისუფალია“.*

### კვირის გმირი

ძნელი გამოსაცნობი არაა, რომ ამ „პრიზს“ ლონდონის „ჩელსის“ ბრაზილიელი ახალგაზრდა ცენტრალური მცველი **დავიდ ლუიზი** იმსახურებს. ეს ბრაზილიელი ახალგაზრდა იმდენად მნიშვნელოვანი და შესანიშნავი შენაძენია „არისტოკრატთათვის“, რომ მისი არყოლის შემთხვევაში, „ლურჯებს“ ფონს გასვლა გაუჭირდებოდათ. ლუიზმა კი ორ მანჩესტერულ კლუბს - „სიტის“ და „იუნაიტედს“ გაუტანა გოლები და დაცვაში ხომ საიმედოდ და გაუვალი კედელივით დგას.

### კვირის სიმბოლური

(4-4-2): **ხავი ვარასი** (სევილია) – **დორინ გოიანი** (პალერმო), **დავიდ ლუიზი, ჯონ ტერი** (ორივე ჩელსი), **მიხალ კადლეცი** (ლევერკუზენი) – **მილოშ კრასიჩი** (იუვენტუსი), **ჩარლი ადამი** (ბლექპული), **დე გუზმანი** (მალიორკა), **ელჯერო ელია** (ჰამბურგი) – **ლუის სუარესი** (ლივერპული), **ფრანჩესკო ტოტი** (რომა).

### კვირის კურიოზი

„ჩეზენასა“ და „იუვენტუსის“ მატჩში, რომელიც 2:2 დამთავრდა, ძალიან სახალისო და კურიოზული რამ მოხდა: როდესაც ანგარიში 0:1 გახლდათ „ბიანკონერის“ სასარგებლოდ, **ალბერტო ჯაკერინი** ერთი-ერთზე აღმოჩნდა **ჯანლუიჯი ბუფონთან**, ძელს გაარტყა ბურთი – დამატებაზე კი მან 2 მეტრიდან (!) ვერ მოახერხა ცარიელი კარის დალაშქვრა.

### კვირის მოვლენა

ლონდონის „არსენალის“ სამეკარეო კრიზისმა „კვირის მოვლენის“ განხორციელება განიზრახა. კერძოდ, საქმე შემდეგშია: მოგეხსენებათ, **არსენ ვენგერის** გუნდს ორი მეკარე (**ლუკაშ ფაბიანსკი** და **ვოიცეხ შჩესნი**) დამტვრეული ჰყავს, ხოლო ერთი კი – „ჰალ სიტიში“ განათხოვრებული (ვიტო მანონე). და, სწორედ ამიტომ 41 წლის გერმანელმა კიპერმა **იენს ლემანმა** გადაწყვიტა, „მეთოფეებს“ დახმარებოდა, რომელმაც ხელთათმანები ლურსმანზე წინა სეზონის დასრულებისთანავე ჩამოჰკიდა. შეგახსენებთ: იენსი „შტუტგარტის“ ღირსებას იცავდა.

**გიორგი ფულარიანი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

იტალიის ნაკრები

# იტალიას ემუქრებიან



ზლატკო ზაჰოვიჩი დიდ გულზეა

მსოფლიოს ექსჩემპიონთა წინააღმდეგ თამაშამდე უკრაინას რამდენიმე დღე დარჩა. ნაკრების თავკაცმა **იური კალიტვინცევმა** ჟურნალისტთა ინტერესის დასაკმაყოფილებლად სპეციალური პრესკონფერენცია მოიწვია, სადაც დიდი დრო დაუთმო მისი გუნდის გარშემო შექმნილ ვითარებაზე ლაპარაკს. ჩვენ მის ნააზრევს, ბუნებრივია, შემოკლებით შემოგთავაზებთ.

- შეკრებაზე განსხვავებული სახის დაზიანებებით გამოცხადნენ როტანი, ჩიგრინსკი და დევიჩი. მაღალი ტემპერატურა აქვს ოშიპკოს. დარჩებიან თუ არა ისინი შეკრებაზე, ამაზე პასუხის გაცემა ნაკრების ექიმს შეუძლია. ჩვენ მათ უახლოესი საათების განმავლობაში დავაკვირდებით. იმედია, ყველაფერი კარგად იქნება. არ გამოვრიცხავ, შემადგენლობაში გადაადგილებებს მივმართო. ამჟამად ჩვენი უმთავრესი ამოცანაა ბიჭები ფსიქოლოგიურად სათანადოდ განვაწყოთ. ისინი ხომ დატვირთული საკლუბო ბატალიების შემდეგ შეიკრიბნენ. შეკრების განმავლობაში არანაირი სპარინგმატჩი არ იგეგმება. დაგეგმილია მხოლოდ სავარჯიშო პროცესი და ერთი სრულფასოვანი ორმხრივი თამაში შეკრებაზე მყოფ ფეხბურთელებს შორის.

ჩვენ ნამდვილად გვაქვს იმის დრო, რომ იტალიის ნაკრების თამაშის სრულფასოვანი ანალიზი ჩავატაროთ. დავხვეწოთ კომბინაციები და მოვემზადოთ შესაბამისად. იმ ფეხბურთელებს, რომლებიც შარშან ნაკრების ძირითად შემადგენლობაში ვერ ხვდებოდნენ, მოვუწოდებ, მაქსიმალურად თავდადებით იმუშაონ, რათა საერთოდ გუნდს მიღმა არ დარჩნენ. არანაირი სასელექციო მუშაობა აღარ იწარმოებს. შანსს ყველას მივცემთ, მაგრამ სელექციის დრო დასრულდა. უმნიშვნელოვანესი ამოცანაა, რაც შეიძლება მალე შევკრათ გუნდის ხერხემალი, რათა, ვთქვათ, ხვალ და ზეგ მინდორზე ერთად გასულმა ბიჭებმა ერთმანეთის მანევრები ზეპირად იცოდნენ. ვიმეორებ, გუნდში სერიოზულ ცვლილებებს ამიერიდან ნუღარ ელით.

დარწმუნებული ვარ, რომ იტალიასთან შეხვედრაში ტრიბუნები გაივსება. ასე რომ, თუ გსურთ სტადიონზე მოხვედრა, ეცადეთ, რაც შეიძლება სწრაფად იზრუნოთ ბილეთების შეძენაზე.

იტალიის ნაკრებთან სათამაშოდვე ემზადება სლოვენიის ეროვნული გუნდი. სლოვენიური და მსოფლიო ფეხბურთის ვარსკვლავმა **ზლატკო ზაჰოვიჩმა** აბსოლუტურად დარწმუნებულმა განაცხადა, რომ იტალია აუცილებლად წააგებს 2012 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ შეხვედრას. *„ჩვენ თავისუფლად მოვუგებთ იტალიას. მეტსაც გეტყვით, სლოვენიას უდიდესი უპირატესობა ექნება ამ შეხვედრაში. თქვენ რა, ფიქრობთ, რომ მე ზედმეტი მომდის? არა, ასე ნამდვილად არ არის. მიყვარს და პატივს ვცემ იტალიურ ფეხბურთს, თუმცა უნდა ვაღიაროთ, რომ მას ამჟამად თავზე საყრელად აქვს პრობლემები. ტონს ამჟამად იტალიაში ლეგიონერები იძლევიან და ეს ნაკრებისთვის ძალიან ცუდია. ჩეზარე პრანდელის ძლიერ სპეციალისტად მივიჩნევ, მაგრამ მას გუნდში სულ 2-3 უმაღლესი კლასის ფეხბურთელი ჰყავს. ადრე „აძურას“ შემადგენლობაში პაოლო მალდინი და რობერტო ბაჯო ერთად თამაშობდნენ, დღეს კიდევ აპენინებზე ანდრეა რანოკიათი არიან აღფრთოვანებულნი. მართალია, ის ჩვენთან ვერ იქნება, მაგრამ რომც ყოფილიყო, იმდენად ნელია, ეჭვი მაქვს, ჩვენი ნაკრებისთვის პრობლემები შეექმნა,“* - განაცხადა ოდესღაც სკანდალებით სახელგანთქმულმა ფეხბურთელმა.

**ლევან ბიბილაშვილი**

ჰოლანდიის ნაკრები

# ტრადიციული ნარინჯისფერი ეპიდემია

ჯერ კიდევ გუშინწინ გახდა ცნობილი, რომ უნგრეთთან შესარჩევი რაუნდის შეხვედრაში ჰოლანდიის ნაკრებს **კლაას-იან ჰუნტელაარის** გარეშე მოუწევდა ფონს გასვლა. „შალკეს“ თავდამსხმელს მუხლის ტკივილი ტანჯავს. ექიმები მას მინდორზე გასვლის უფლებას უახლოეს დღეებში ნამდვილად ვერ მისცემენ. **ბერტ ვან მარვიიკს** მის მაგივრად ძირითად შემადგენლობაში, სავარაუდოდ, **რუუდ ვან ნისტელროის** გამწესება მოუწევს. თუმცა პრესა სხვა კანდიდატურებსაც ასახელებს. გუშინ ვან მარვიიკმა კიდევ ერთი ცუდი ამბავი შეიტყო - „მილანის“ ვარჯიშზე **მარკ ვან ბომელი** დაშავდა და ნაკრებს ისიც დააკლდება.

რახან ლაპარაკი ტრავმირებულ ფეხბურთელებზე ჩამოვარდა, შეგახსენებთ, რომ სწორედ ამ მიზეზის გამო ვან მარვიიკის განკარგულებაში არ იყვნენ **არიენ რობენი, თეო იანსენი, ჰედვიგეს მადურო.** ახლა მათ ჰუნტელაარი და ვან ბომელიც დაემატნენ. აქვე გეტყვით, რომ ოფიციალურად ფეხბურთიდან სწორედ უნგრეთთან მატჩის წინ გააცილებენ დამსახურებულ ვეტერანს, 38 წლის **ჯოვანი ვან ბრონკჰორსტს.** შეგახსენებთ, რომ მის ანგარიშზე 106 სანაკრებო შეხვედრაა.

ჰოლანდიური პრესა სიამოვნებით აღნიშნავს, რომ რუუდ ვან ნისტელროი ბოლო თვეების განმავლობაში პირველად ნახეს გაღიმებული. მას ჯერ ტრავმები აწუხებდა, ამას ემატებოდა ის, რომ „ჰამბურგში“ საქმეები მთლად ისე არ წაუვიდა, თავად რომ სურდა. **არმინ ფეე** თუნდაც ჯანმრთელს მინდორზე გასვლის საშუალებას იშვიათად აძლევდა. პირადი კრიზისის გარდა გუნდიც საშინელ ფორმაში იყო... მოკლედ, ყველანაირი საფუძველი ჰქონდა ცუდ ხასიათზე ყოფნისთვის. ბუნდესლიგის ბოლო ტურში (კიოლნთან 6:2) კი ყველაფერი შეიცვალა. ის ისევ მოხვდა სასტარტო შემადგენლობაში და მართალია გოლი არ გაუტანია, მაგრამ გუნდის ტრიუმფში თავისი წილი დაიდო. ტრიბუნებმა ის და მისი თანაგუნდელები ტაშით გააცილეს. **მიხაილ იონინგმა** ჩრდილოელებს თითქოს ახალი სული შთაბერაო, დაწერა გერმანულმა პრესამ. ფეხბურთელი კი აცხადებს, რომ მართალია მას თითქმის გადაწყვეტილი ჰქონდა ბუნდესლიგის დატოვება, მაგრამ ახალ მთავარ მწვრთნელთან საუბარმა მასში სულ სხვა განწყობას დაუდო სათავე და შესაძლებელია, კლუბთან ახალი კონტრაქტის გაფორმებაზე იფიქროს.

**ლევან ბიბილაშვილი**



რუუდ ვან ნისტელროი (მარცხნივ) ერიკ პიტერსის წინააღმდეგ

ესპანეთის ნაკრები

# ჩავის იუბილე

„ბარსელონასა“ და ესპანეთის ნაკრების ნახევარმცველი **ჩავი ერნანდესი** უბედნიერესია იმით, რომ მალე ის ეროვნულ გუნდში მეასე შეხვედრას გამართავს. *„რა თქმა უნდა, ამაზე გაჩერებას არ ვაპირებ,* - ამბობს ჩავი. - *მინდა, რაც შეიძლება დიდხანს ვითამაშო ნაკრებში. მე ვაღმერთებ სპორტის ამ სახეობას და მისი ერთგული დავრჩები ბოლომდე. ნაკრებში ძალიან ბევრ რამეს მივაღწიე, მოვიგე მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატები. ვაპირებ კიდევ ბევრი ტიტული მოვიგო და გულშემატკივრებს კიდევ ზღვა სიხარული მივანიჭო“.*

ესპანურ სპორტულ ვებგვერდთან ინტერვიუში „ატლეტიკისა“ და „ფურია როხას“ თავდამსხმელმა **ფერნანდო ლორენტემ** თანაგუნდელ ჩავიზე აღმატებით ხარისხში ილაპარაკა. აი, რა განაცხადა მან: *„ჩავი ესპანეთის ყველა დროის უდიდესი ფეხბურთელია. ის უბრალოდ დიდებულია. კლუბშიც და ნაკრებშიც მან ყველაფერი მოიგო, რისი მოგებაც კი საერთოდ შეიძლებოდა. მისი თამაშის ყურება ერთი სიამოვნებაა, ხოლო მისი მოძრაობების გამეორებას წლების დაუღალავი ვარჯიში სჭირდება“.*

**ლევან ბიბილაშვილი**

ამბები

# ბიელსა ერკულესში?

მოგეხსენებათ, „ჰერკულესის“ მთავარი მწვრთნელის პოსტი მას შემდეგ ვაკანტურია, რაც 20 მარტს ვალენსიური კლუბის ხელმძღვანელობამ ცუდი შედეგებისთვის **ესტებან ვიგო** მოხსნა. ბოლო წვეთი იყო შინ, ალეკანტეში 0:4 გამანადგურებელი მარცხი არცთუ ძლიერ „ოსასუნასთან“. ვიგომ „ერკულესში“ პრიმერული კარიერა 29 თამაშში 26 ქულით (თუმცა ამათში „ბარსელონასთან“ „ნოუ კამპზე“ მოპოვებული სამი ქულაცაა) და ბოლო ადგილით დაასრულა.

ვიგოსგან განსხვავებით, „ერკულესს“ სიტუაციის გამოსწორების შანსი კიდევ რჩება - ჩემპიონატის დასრულებამდე 9 ტური რჩება, თუმცა ამისთვის ახალი მწვრთნელია საჭირო. გუშინ ესპანური მედია ერთხმად იუწყებოდა, რომ ესტებან ვიგოს შემცვლელი, სავარაუდოდ, არგენტინელი **მარსელო ბიელსა** იქნება.

„ელ მუნდო დეპორტივო“ ამტკიცებს, რომ ბიელსას მისვლა „ერკულესში“ თითქმის გადაწყვეტილი ამბავია. 55 წლის არგენტინელი, რომელსაც „ლოკოს“ და „გიჟს“ უწოდებენ, არგენტინისა (1998-2004 წლები) და ჩილეს (2007-2011) ხელმძღვანელობდა. სხვათა შორის, ბიელსას ესპანური პრიმერას გუნდის გაწვრთნის გამოცდილება აქვს, ოღონდ ეს დიდი ხნის წინათ იყო და დიდხანს არ გაგრძელებულა. 1998 წელს ის „ესპანიოლს“ ხელმძღვანელობდა, როცა არგენტინის ეროვნული ნაკრების თავკაცობა შესთავაზეს, ბიელსამაც დაჰკრა ფეხი და გაიქცა ბარსელონადან.

# როსი ბარსას სურს

„ვილიარეალის“ იტალიელი ბომბარდირი **ჯუზეპე როსი**, რომელსაც წლევანდელ სეზონში ჩემპიონატში 15 გოლი აქვს გატანილი, „ბარსელონას“ სურს - ამის შესახებ წერს კატალონიური გაზეთი „სპორტი“. „ბლაუგრანა“ ახალი სეზონისთვის ახალ ფორვარდს დაიმატებს და **ხოსეპ გვარდიოლას** სურს, ის ახალი სწორედ როსი იყოს. როსის აგენტი **ანდრეა პასტორელო** ამბობს, რომ ძალიან ძნელია უარით გაისტუმრო „ბარსა“, თუმცა იქვე დასძენს, რომ ჯერჯერობით კატალონიური გრანდის ინტერესი როსის მიმართ არც ისე სერიოზულია: *„ასეთ წინადადებაზე ჭკუათმყოფელი ფეხბურთელი ვერ იტყვის, მაგრამ ჯერ მხოლოდ ჭორებია ირგვლივ, დაველოდოთ მოვლენების განვითარებას“,* - განაცხადა პასტორელომ რადიო „მანიასთან“ საუბარში.

# ატლეტიკო თურქეთისკენ იყურება

„ელ მუნდო დეპორტივოს“ ცნობით, მადრიდის „ატლეტიკოს“ თურქული „ბეშიქთაშის“ ორი ფეხბურთელის შეძენა სურს. ესენია, **რიკარდო ქვარეჟმა** და **ბობო.** „ლოს კოლჩონეროსს“ არცთუ კარგი სეზონი აქვს, გუნდი მხოლოდ მე-8 ადგილზეა. სეზონის ბოლოს კი „ატლეტიკოში“ ბევრი რამ და ვინ შეიცვლება. ქვარეჟმა პორტუგალიის ნაკრების 27 წლის შემტევი ნახევარმცველია, ის „ბეშიქთაშის“ ნამდვილი ლიდერია. 26 წლის ბობო კი გუნდის ბომბარდირია.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

# დი ვაიომ კონტრაქტი გაახანგრძლივა

„ბოლონიის“ ლიდერმა **მარკო დი ვაიომ** კლუბთან ახალი კონტრაქტი გააფორმა, - გვამცნობს „გაძეტა დელო სპორტი“. ხელშეკრულებას 34 წლის ფეხბურთელთან ახალი პირობებით მოეწერა ხელი. მიუხედავად იმისა, რომ მარკო შესანიშნავ ფორმაშია, იტალიის ნაკრების ყოფილი ფორვარდი ანაზღაურების 20%-ით შემცირებას დათანხმდა. მან ანგარიში გაუწია იმას, რომ კლუბი მძიმე ფინანსურ მდგომარეობაში იმყოფება. იტალიური პრესა უკვე რა ხანია ვარაუდობს, რომ კარიერის დასრულების შემდეგ „ბოლონია“ ფეხბურთელს კლუბის სტრუქტურაში დაასაქმებს.

# ბენდტნერი ნაკრებს დააკლდება

დანიის ნაკრებისა და „არსენალის“ თავდამსხმელმა **ნიკლას ბენდტნერმა** ეროვნული გუნდის შეკრებაზე კოჭის ტრავმა მიიღო და ნორვეგიასთან შესარჩევი ციკლის შეხვედრას გამოტოვებს. დაზიანების ხარისხი ჯერჯერობით დადგენილი არ არის. სრულფასოვანი გამოკვლევა მან დღეს უნდა გაიაროს. აღნიშნული ინფორმაცია ვებგვერდმა გოლ.კომმა გაავრცელა.

# ინციდენტი პორტუგალიაში

პორტუგალიაში სერიოზული ინციდენტი გადახდა თავს „ბენფიკას“ პრეზიდენტ **ლუიშ ფილიპე ვიეირას.** მართალია, სერიოზულად არავინ დაშავებულა, მაგრამ მხოლოდ შემთხვევითობის წყალობით. ორშაბათს „ბენფიკამ“ „პასუშ ფერეირას“ 5:1 მოუგო და შინ ბრუნდებოდა. პრეზიდენტი პირადი მანქანით გუნდის ავტობუსს უკან მიჰყვებოდა. ის იყო, ავტომობილს ხიდის ქვეშ უნდა გაევლო, რომ დამნაშავეებმა ქვებით სავსე ტომარა მანქანას მაღლიდან ესროლეს და წინა საქარე შუშას მოახვედრეს. ვიეირამ და მისი პირადმა მძღოლმა მცირე დაზიანებები მიიღეს. მსროლელებმა კი ადგილიდან მიმალვა მოასწრეს.

# ინვესტორი ლუჩესკუზე ოცნებობს

„პარი სენ-ჟერმენის“ ხელმძღვანელებმა ყატარელ ინვესტორებთან შეთანხმებას მიაღწიეს. არაბები კლუბში სოლიდური თანხის ჩადებაზე არიან ყაბულს. ამისთვის ისინი მხოლოდ ფორმალობების მოგვარებას უცდიან. ამ დღეებში მათზე კლუბის აქციათა სოლიდური წილი გადაფორმდება. კლუბის მომავალმა თანამესაკუთრეებმა უკვე წამოაყენეს ერთი საინტერესო იდეა. აშკარაა, რომ გუნდი წლების განმავლობაში ვერ ახერხებს კრიზისიდან გამოსვლას და საჩემპიონო რბოლაში ბოლომდე დარჩენას. შესაბამისად, არაბები ფიქრობენ, რომ აუცილებელია მაღალი კვალიფიკაციის მწვრთნელის მონახვა. მათ ასეთად რუმინელი **მირჩა ლუჩესკუ** მიაჩნიათ. გეტყვით, რომ სენიორ მირჩა „შახტარში“ 2004 წლიდან მუშაობს და მასთან ერთად უეფას თასის მოგება შეძლო.

# რუსეთი ანიუკოვის გარეშე

რუსეთის ნაკრებმა შეკრება დაიწყო და პირველი ვარჯიში მას გუშინ მოსკოვის დროით 14:30 საათზე „ლოკომოტივის“ სტადიონის ბალახისსაფრიან სათადარიგო მინდორზე ჰქონდა. **დიკ ადვოკაატის** გუნდი 26 მარტს ერევანში სომხეთის ნაკრებთან დაპირისპირებისთვის ემზადება. ჰოლანდიელმა სპეციალისტმა სულ შეკრებაზე 23 ფეხბურთელს უხმო. მათგან შეკრებაზე 22 გამოცხადდა. გუნდს საპატიო მიზეზით მხოლოდ „ზენიტის“ კაპიტანი **ალექსანდრ ანიუკოვი** აკლია. მას ხელი აქვს მოტეხილი. თუმცა ესეც რომ არა, სომხებთან მატჩში დისკვალიფიკაციის გამო ის მაინც ვერ ითამაშებდა.

**ლევან ბიბილაშვილი**

ბაიერნი

# რეკორდმაისტერის გეგმები: ჯერ დონი, მერე?

## მიუნხენელთა პრიორიტეტი დაცვის ხაზის გაძლიერებაა




ჯერ ოფიციალურად არ დადასტურებულა, რომ მიუნხენის „ბაიერნს" ზაფხულიდან **იუპ ჰაინკესი** გაწვრთნის, მაგრამ ყველაფერი იმაზე მიუთითებს, რომ **ლუის ვან გაალს**, რომლის წასვლა უკვე გადაწყვეტილი ამბავია, სწორედ „დონ იუპი" შეცვლის, რომელმაც „ლევერკუზენის" ხელმძღვანელებს ახალი კონტრაქტის გაფორმებაზე უარი უთხრა. ფაქტია, რომ „ბაიერნის" მენეჯერ **ული ჰიონესსა** და ჰაინკესს შორის მოლაპარაკებები მიმდინარეობს, რაც თვითონ ჰიონესმა დაადასტურა. საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ იუპი მიუნხენში მარტო არ წავა - თან წაიყვანს ასისტენტ **პეტერ ჰერმანს** და ნახევარმცველ **არტურო ვიდალსაც**.

*„მიუნხენური კლუბის შეფებს არ გავაწბილებ. მე ჩემი პრინციპები მაქვს. ჯერ „ლევერკუზენთან" მინდოდა ურთიერთობის გარკვევა და მას მერე, რაც ყველაფერი გავარკვიე, მიუნხენელებთან მართლაც დავამყარე კონტაქტი,"* - აცხადებს ჰაინკესი, რომელსაც „ლევერკუზენში" ფრაიბურგის დამრიგებელი **რობინ დუტი** შეცვლის.

საინტერესოა, მაინც როდის გამოაცხადებენ ჰაინკესი და მიუნხენელები იმას, რომ „ბაიერნს" „დონ იუპი" უნდა ჩაუდგეს სათავეში? ექსპერტების გარკვეული ნაწილი ვარაუდობს, რომ ყველაფერი დიდი ხნის გადაწყვეტილია, უბრალოდ, მხარეებს ჰაინკესის „ბაიერნში" დანიშვნის ოფიციალურად დადასტურება 17 აპრილამდე არ სურთ. საქმე იმაშია, რომ 17 აპრილს „ბაიერნი" სწორედ „ლევერკუზენს" ეთამაშება და დიდი შანსია, ეს იყოს გადამწყვეტი მატჩი ჩემპიონთა ლიგის საგზურისთვის ბრძოლაში. შესაბამისად, მხარეებს მანამდე არაფრის გახმაურება არ სურთ, რადგან თუ ყველას ეცოდინება, რომ ჰაინკესი რეკორდმაისტერში მიდის, შესაძლოა, ზემოთ ხსენებულ მატჩს ჩრდილი მიადგეს.

მიუხედავად ამისა, ჰაინკესისა და „ბაიერნის" თანამშრომლობის შესახებ ყოველდღიურად ახალი დეტალები ირკვევა. „ზუდდოიჩე ცაითუნგის" ცნობით, „დონ იუპი" მიუნხენში ასისტენტ **პეტერ ჰერმანის** წაყვანას გეგმავს. ორშაბათს გავრცელდა ცნობები იმის შესახებ, რომ ჰაინკესის ასისტენტი ბავარიელთა ძველი ნაცნობი **მიხაელ ჰენკე** გახდებოდა, მაგრამ ამ დღეებში გაირკვა, რომ ჰაინკესს ჰენკესთან მუშაობა არ სურს და „ბაიერნში" ჰერმანის წაყვანა უნდა.

### სანიოლი ბაიერნის შეფ-სკაუტად?

ორიოდე კვირის წინაც ვწერდით, რომ მიუნხენელებს „ლევერკუზენიდან" არა მარტო ჰაინკესის, არამედ ნახევარმცველ **არტურო ვიდალის** გადაბირებაც უნდათ. ჩილელმა ფეხბურთელმა უდიდესი პროგრესი სწორედ ჰაინკესის ხელში განიცადა და ფაქტია, „დონ იუპს" მიუნხენში დიდი სიამოვნებით გაჰყვება. საინტერესოა ისიც, რომ „ლევერკუზენის" ხელმძღვანელებს ახალ კონტრაქტზე ვიდალმაც უარი უთხრა, არსებულ ხელშეკრულებას კი ვადა 2012 წლამდე აქვს.

არტურო ვიდალმა ამ სეზონში თავი ძალიან კარგად წარმოაჩინა თუ მიუნხენურ გრანდში გადავა, ნამდვილად შეუძლია, რომ რეკორდმაისტერის ნახევარდაცვაში **მარკ ვან ბომელის** წასვლით გამოწვეული სიცარიელე შეავსოს.

ჩვენი გერმანელი კოლეგები იმასაც იტყობინებიან, რომ დიდი შანსია, მიუნხენში **ვილი სანიოლიც** დაბრუნდეს, ოღონდ, რა თქმა უნდა, არა ფეხბურთელის (ფრანგმა დიდი ხანია, აქტიური სპორტული კარიერა დაამთავრა), არამედ შეფ-სკაუტის რანგში. შეგახსენებთ, რომ ვილი სანიოლი „ბაიერნში" 2000-დან 2009 წლამდე თამაშობდა. მისი შეფ-სკაუტად დანიშვნის იდეა რეკორდმაისტერის მენეჯერ **კრისტიან ნერლინგერს** გაუჩნდა.

### კლოზე უკმაყოფილოა!

**მიროსლავ კლოზე** მიუნხენში თავს კარგად რომ აღარ გრძნობს, ეს ცნობილი ამბავია. ამ კვირის დასაწყისში კი გერმანიის ნაკრების თავდამსხმელმა კიდევ ერთხელ აღნიშნა, რომ სათადარიგოთა სკამზე ჯდომით ძალიან უკმაყოფილოა. *„ვან გაალი რომ მიდის, ეს ბევრს არაფერს ცვლის. თუ ძირითად შემადგენლობაში თამაშის გარანტიას ვერ მომცემენ, მიუნხენიდან წავალ. ფაქტი ერთია: კიდევ ერთ ასეთ სეზონს ველარ ავიტან,* - აცხადებს 32 წლის მირო „შპორტ ბილდისთვის" მიცემულ ინტერვიუში და იქვე დასძენს, - *მიუხედავად იმისა, რომ უკმაყოფილო ვარ, ჯერ მოლაპარაკებები არც ერთ სხვა კლუბთან არ გამიმართავს. პრესაში დაიწერა, თითქოს არაერთ კლუბთან მაქვს მოლაპარაკებები. ჟურნალისტების აზრით, ხან „ჰოფენჰაიმში" ვარ, ხან მადრიდში და ხანაც დორტმუნდში, სადაც ჩემი შვილები უკვე სკოლაში ყოფილან ჩაწერილები, მაგრამ ეს ყველაფერი ტყუილია.*

### მიუნხენში მცველის ძებნა დაიწყეს

ორი აზრი არ არსებობს, ჰაინკესის უპირველესი მიზანი დაცვის ხაზის გაძლიერება იქნება, რადგან მიუნხენურ გრანდს ყველაზე მეტად სწორედ დაცვაში უჭირს. გერმანულ პრესაში უკვე ვრცელდება ინფორმაციები იმის შესახებ, თუ რომელ უკანახაზელებს მოიაზრებენ მიუნხენელები „ბაიერნის" დაცვის ბურჯად მომავალი სეზონისთვის.

„ბაიერნში" გადასვლის ერთ-ერთი უპირველესი კანდიდატი „ნიუკასლის" 25 წლის მცველი **ხოსე ენრიკე სანჩესია**, რომლის ბედი „ბაიერნს" პირველად ესპანურმა გაზეთმა „მარკამ" დაუკავშირა. ჩვენი ესპანელი კოლეგები წერენ, „ბაიერნი" სანჩესით, რომელიც ადრე „ვალენსიაში" თამაშობდა, სერიოზულადაა დაინტერესებულიო. მას „ნიუკასლთან" კონტრაქტი 2012 წლამდე აქვს გაფორმებული და მისი ფასი დაახლოებით 6 მილიონი ევროა. „ბაიერნისთვის" კარგი ისაა, რომ სანჩესს, რომელიც მარცხენა მცველია, „ნიუკასლიდან" წასვლა უნდა.

დაცვის ცენტრისთვის კი, მიუნხენელთა ერთ-ერთი უმთავრესი სამიზნე „ჩელსის" 28 წლის ბრაზილიელი მცველი **ალექსია**. 1.89 მეტრი სიმაღლის უკანახაზელს მიუნხენელები დიდი ხანია, აკვირდებიან. ალექსი ფეხბურთის თამაშის სტილით ძალიან ჰგავს **ლუსიოს**, რომელიც წლების მანძილზე რეკორდმაისტერის წამყვანი მცველი იყო, ახლა კი მილანის „ინტერის" ფეხბურთელია. ალექსის შემთხვევაში, მიუნხენელთათვის კარგი ისაა, რომ ბრაზილიელი „ჩელსიში" არც ისე ბედნიერია. ამ სეზონში ლონდონელთა მთავარმა მწვრთნელმა **კარლო ანჩელოტიმ** ის პრემიერლიგაში მხოლოდ 11 შეხვედრაში ათამაშა, ჩემპიონთა ლიგაში კი მოედანზე სულაც მხოლოდ სამჯერ შეუშვა. ალექსი ტრავმირებული იყო და ახლახან გამოჯანმრთელდა. „ჩელსისთან" კონტრაქტი 2013 წლამდე აქვს გაფორმებული და მისი ფასი 16 მილიონი ევროა.



ფაბიო კოენტრაუ

სხვადასხვა ავსტრიული გამოცემების ინფორმაციით, მიუნხენელები „ჰანოვერის" ავსტრიელ მცველ **ემანუელ პოგატეცზეც** ფიქრობენ. 28 წლის, 1.91 მეტრი სიმაღლის უკანახაზელი, რომელიც ავსტრიის ნაკრებშიც თამაშობს, საკმაოდ გამოცდილი მცველია, თამაშობდა მოსკოვის „სპარტაკსა" და ინგლისურ „მიდლსბროში". თუმცა ექსპერტები არ არიან დარწმუნებულები იმაში, რომ პოგატეცს „ბაიერნის" დაცვის ბურჯობა შეუძლია. ფაქტი ისაა, რომ მას „ჰანოვერთან" ხელშეკრულება 2013 წლამდე აქვს გაფორმებული და 5 მილიონი ღირს.

„ბაიერნში" გადასვლის კანდიდატი ყოფილა „კატანიას" იტალიელ-არგენტინელი მცველი **მათიას სილვესტრიც**, რომელიც 26 წლისაა და მიმდინარე სეზონში საკმაოდ კარგად გამოიყურება. მართალია, ცენტრალური მცველის კვალობაზე არც ისე მაღალია (1.84 მეტრი), მაგრამ ორთაბრძოლების 80 პროცენტის მოგებას ახერხებს, რაც უკვე ყურადსაღები მაჩვენებელია. თუმცა „ბაიერნისთვის" სილვესტრის გადაბირება რისკი იქნება - არავინ იცის, გაამართლებს თუ არა იმედებს რეკორდმაისტერში. მისი ერთადერთი პლუსი ისაა, რომ „კატანიასთან" კონტრაქტი უმთავრდება, ახლის გაფორმებას არ აპირებს და „ბაიერნი" მას უფასოდ გადაიბირებდა.

ამ ფეხბურთელების გარდა, მიუნხენელები კიდევ რამდენიმე ისეთ მოთამაშეზე ფიქრობენ, რომლებიც დიდი ხანია, რეკორდმაისტერის სასურველ ფეხბურთელთა სიაში ფიგურირებენ: „აიაქსის" მარჯვენა მცველი **გრეგორი ვან დერ ვილი** (23 წლის, კონტრაქტი 2013 წლამდე, ფასი 10 მილიონი ევრო), „ჩელსის" მარჯვენა მცველი **ჟოზე ბოსინგვა** (28 წლის, კონტრაქტი უმთავრდება) და ლისაბონის „ბენფიკას" მარცხენა მცველი **ფაბიო კოენტრაუ** (23 წლის, კონტრაქტი 2016 წლამდე, ფასი 25 მილიონი ევრო).

პორტუგალიური გაზეთი „ა ბოლა" წერს, რომ კოენტრაუ მიუნხენელთა ერთ-ერთი უპირველესი სამიზნეა. შარშან „ბაიერნი" „ბენფიკას" კოენტრაუში 20 მილიონ ევროს სთავაზობდა, მაგრამ პორტუგალიურმა გრანდმა გარიგებაზე უარი თქვა. ლისაბონელები უნიჭიერეს მცველში, რომელიც მარცხენა გარემარბის პოზიციაზეც ძალიან კარგად გამოიყურება ხოლმე, 30 მილიონს ითხოვენ, მაგრამ დიდი შანსია, რომ 25 მილიონსაც დათანხმდნენ...

მოსალოდნელი ტრანსფერი



# 24 000 000 ადლერში?

## მანჩესტერში რენეზე უკვე სერიოზულად ფიქრობენ

**რენე ადლერი** გერმანიის ნაკრებში გამოძახებული კი იყო (მეორე მეკარედ), მაგრამ ტრავმის გამო იძულებული გახდა, ბუნდესმწვრთნელ **იოახიმ ლიოვისთვის** უარი შეეთვალა - „ლევერკუზენის" 26 წლის კიპერი „შალკესთან" მატჩში (2:0 „ბაიერის" სასარგებლოდ) დაშავდა. „ბილდის" ჟურნალისტებმა გამოარკვიეს, რომ „ლევერკუზენისა" და „შალკეს" მატჩს „მანჩესტერ იუნაიტედის" მეკარეების მწვრთნელი **ერიკ სტეელე** ესწრებოდა - **სერ ალექს ფერგიუსონს** მისთვის ადლერზე და „შალკეს" მეკარე მანუელ ნოიერზე (რომელიც გერმანიის ნაკრების პირველი მეკარეა) დაკვირვება დაუვალებია.

ნოიერიცა და ადლერიც „მანჩესტერში" გადასვლის კანდიდატებად მიიჩნევიან და „ბილდის" ინფორმაციით, „იუნაიტედი" „ლევერკუზენის" მეკარეს ანიჭებს უპირატესობას. ტრანსფერის განხორციელებას ხელს უწყობს ადლერის ხელშეკრულება, რომელსაც ვადა 2012 წლამდე აქვს და რომელშიც ჩადებულია პუნქტი, რომლის მიხედვითაც, რენეს 2011 წლის ზაფხულში თავის საყვარელ კლუბში გადასვლა 24 მილიონ ევროდ შეუძლია. ადლერის საყვარელი გუნდი კი „მანჩესტერია". რატომ? რენეს არაერთხელ უთქვამს, ბავშვობაში ჩემი საყვარელი მეკარე **პეტერ შმაიხელი** იყო, რის გამოც ყოველთვის „მანჩესტერს" ვქომაგობდიო.

„ლევერკუზენის" ხელმძღვანელებს კი ეს ამბავი, რა თქმა უნდა, არ მოსწონთ. *„არ მიკვირს, რომ ადლერს „მანჩესტერელები" აკვირდებიან, ის ხომ ევროპაში ერთ-ერთი საუკეთესო მეკარეა, მაგრამ ჩვენ რენესთან ახალი კონტრაქტის გაფორმება გვინდა. მისი გასხვისება ჩვენს გეგმებში არ შედის,"* - ეს „ბაიერის" სპორტული დირექტორის, **რუდი ფიოლერის** სიტყვებია.

გუნდის მენეჯერი **ვოლფგანგ ჰოლცჰოიზერი** კი პირდაპირ აღიარებს, რომ თუ „მანჩესტერ იუნაიტედი" სერიოზულად დაინტერესება და კონკრეტულ წინადადებაში გადაიზრდება, „ფარმაცევტებს" რენეს შენარჩუნება ძალიან გაუჭირდებათ.

*„ადლერთან პირველი მოლაპარაკებები გავმართეთ და ჯერჯერობით შეთანხმებისგან ძალიან შორს ვართ. „მანჩესტერი" კი მისი უსაყვარლესი კლუბია და კონტრაქტში მართლაც დევს პუნქტი, რომლის თანახმადაც, წელს ჩვენგან „იუნაიტედში" გადასვლა 24 მილიონი ევროს სანაცვლოდ შეუძლია. ასე რომ, თუ ინგლისური გრანდი შემოგვიტევს, ჩვენ ფაქტობრივად უძლურები ვიქნებით, მაგრამ იმედი მაქვს, რომ ასე არ მოხდება,"* - ამბობს ჰოლცჰოიზერი.

ვოლფსბურგი

# მაგათმა ბურთები დააძრო!

## მგლები გაწამდნენ და ძველი დრო გაახსენდათ

როცა გუნდის მწვრთნელი **ფელიქს მაგათია**, ფეხბურთელებისთვის სულაც არაა აუცილებელი დიდი სიცხე იმისათვის, რომ გაოფლიანდნენ... „შტუტგარტთან" ბოლო წამებზე დაკარგული სამი ქულის შემდეგ (1:1), „დესპოტმა ფელიქსმა" გუშინდელ ვარჯიშზე „ვოლფსბურგში" პირველად დაამძიმა ვარჯიშები. გახურების შემდეგ, მაგათმა შეგირდები 45 წუთის განმავლობაში თავისი სავიზიტო ბარათით, „სამედიცინო ბურთებით" ავარჯიშა.

*„სამედიცინო ბურთების" დანახვა ძალიან არ გვესიამოვნა, რადგან ვიცოდით, რომ შავი დღე გველოდა, მაგრამ ისიც ვიცით, რომ ეს აუცილებელია. რომ არა ფელიქსის სახელგანთქმული „სამედიცინო ბურთები", 2009 წელს „ვოლფსბურგი" გერმანიის ჩემპიონი ვერ გახდებოდა,"* - ეს „მგლების" საყრდენი ნახევარმცველის, **ჟოსუეს** სიტყვებია, რომელიც მაგათმა დანიშვნისთანავე ძირითად შემადგენლობაში დააბრუნა.

ვარჯიშის შემდეგ კი, მაგათმა **რალფ რანგნიკს** შეუტია. როგორც იცით, ეს უკანასკნელი ფელიქსის წამოსვლის შემდეგ, „შალკეში" დანიშნეს და მან მაგათი გააკრიტიკა, გუნდში 30-ზე მეტი ფეხბურთელია, აქ სრული ქაოსი დამხვდაო. *„როცა გუნდში 30-ზე მეტი მოთამაშე გყავს, ვარჯიშის ნორმალურად ჩატარება შეუძლებელია,"* - ამბობდა რანგნიკი.

*„რალფი ხომ პროფესორია? დარწმუნებული ვარ, რამეს მოიფიქრებს,"* - იყო მაგათის ირონიული პასუხი.

გვერდი მოამზადა
**გოტფრიდ ლენცმა**



ფელიქს მაგათი ვოლფსბურგელების ტანჯვას შეუდგა

ეროვნული ბიბლიოთეკა

რეალი

ტრანსფერები, ანალიტიკა და სტატისტიკა

# როცა წიწილებს გაზაფხულზე ითვლიან

## სამეფო კლუბი - გავითვალოთ A-დან D-მდე და სად დაკარგა ჟოზემ +

ისევე როგორც დანარჩენ ევროპაში, ესპანურ ფეხბურთშიც სანაკრებო პაუზაა. შესანიშნავი დროა მცირე ანალიზისთვის, მით უფრო, რომ ჩემპიონატის დასრულებამდე ბევრიც არაფერი რჩება - სულ 9 ტური. დღევანდელი თემა მადრიდის „რეალი", მისი სატრანსფერო პოლიტიკაა, გაამართლა თუ არა „სამეფო კლუბის" ბოსების საზაფხულო საქმიანობამ.

როცა სატრანსფერო სეზონი იხსნება, ბევრი ელის მადრიდელთაგან შოკისმომგვრელ ტრანსფერებს და „რეალიც", როგორც წესი, არ ღალატობს საკუთარ პოლიტიკას - საზაფხულო ფანჯრის გახსნიდან დახურვამდე „სამეფო კლუბმა" 75 მილიონი ევრო გაიღო. ნებისმიერი სხვა კლუბის თავკაცს შეშურდებოდა ამ რიცხვის გაგონებაზე, მაგრამ ფლორენტინო პერესის მეორე ერა „რეალში" უფრო შთამბეჭდავად დაიწყო და „რეალმა" 2010 წლის ზაფხულში გაცილებით ნაკლები დახარჯა, ვიდრე წინა წელს. ის კი არა, პერესის „ხელმომჭირნეობამ" ჟოზე მოურინიო საჯაროდ აწუწუნა, რომელსაც ძალიან უნდოდა კიდევ ერთი ფორვარდის შეძენა.

მაშ ასე, კლუბმა დაიმატა: სერხიო კანალესი (რასინგი), რიკარდო კარვალიო (ჩელსი), ანხელ დი მარია (ბენფიკა), სამი ხედირა (შტუტგარტი), პედრო ლეონი (ხეტაფე), მესუთ იოზილი (ვერდერი) და ემანუელ ადებაიორი (სიტი, ზამთარში). „სამეფო კლუბი" დატოვეს: როისტონ დრენტემ (ერკულესი), გუტიმ (ბეშიქთაში), კრისტოფ მეტცელდერმა (შალკე), რაულმა (შალკე), რაფაელ ვან დერ ვაარტმა (ტოტენჰემი), მაჰამადუ დიარამ (მარსელი, ზამთარში) და მატეოსმა (აეკ, ზამთარში). მივიდა 7 და წავიდა ზუსტად ამდენი ფეხბურთელი. კინაღამ დაგვავიწყდა, რომ თვით ჟოზეც „რეალის" ახალწვეულია. მოდი, ვნახოთ ვინ გაამართლა და ვინ ვერა.

### კლასი A+



მესუთ იოზილი (გერმანია)
**22 წლის**
**15 მილიონი ევრო**
**მთელ სეზონში:**
**41 თამაში, 10 გოლი**

მთელ ევროპაში ერთ-ერთი საუკეთესო შენაძენი ზაფხულში, თუ საუკეთესო არა. არავის, არასოდეს შეჰპარვია ეჭვი იოზილის დიდ საფეხბურთო ნიჭში, მით უფრო, მუნდიალზე ნაჩვენები ბრწყინვალე ფეხბურთის შემდეგ, მაგრამ ბევრს მაინც არ ეგონა, რომ გერმანელი ასე უცებ და ასე კარგად შეეწყობოდა „სამეფო კლუბს". თუ არ ჩავთვლით საწყის ტურებს და „ნოუ შოუს" „ელ კლასიკოზე", იოზილმა ბრწყინვალედ ითამაშა თითქმის ყოველ ტურში. სეზონში (ყველა ოფიციალურ მატჩში) მან 10 გოლი გაიტანა და 15 საგოლე პასი მიითვალა. რაც მთავარია, გერმანელმა „სანტიაგო ბერნაბეუს" გული მოიგო, ამას კი მხოლოდ გოლებით და საგოლე პასებით ვერ შეძლებ.

### კლასი A



ანხელ დი მარია (არგენტინა)
**23 წლის**
**25 მილიონი**
**43 თამაში, 8 გოლი**

მასში 25 მილიონი გადაიხადეს, თუმცა თუკი დი მარია რეგულარულად ითამაშებს (და ასეცაა) არგენტინელის ფასი 36 მილიონ ევრომდე გაიზრდება. დი მარია „რეალის" ყველაზე ძვირი შენაძენია ამ სეზონში. მან მალევე გაამართლა და გულშემატკივართა ფავორიტი გახდა. სეზონში ანხელმა 8 გოლი გაიტანა და 18 საგოლე პასი გააკეთა, თან ჯერ ხომ ორი თვე დარჩა სეზონის დასრულებამდე. „ფიდეო" ბრწყინვალე სოლო-რეიდებს აწყობს, აკეთებს დიდებულ შორეულ პასებს. ყველას ახსოვს, დი მარიას მიერ თებერვალში **ქარიმ ბენზემას** მისამართით გაკეთებული საგოლე პასი, როცა ჯერ „ლევანტეს" სამ მცველს გასცდა.

### კლასი A



რიკარდო კარვალიო (პორტუგალია)
**32 წლის**
**8 მილიონი**
**37 თამაში, 3 გოლი**

როცა ზაფხულის მიწურულს მოურინიომ პერესს დაჩქარებული წესით პორტუგალიელი მცველი აყიდვინა (მანამდე **მაიკონის** ტრანსფერი ჩაეშალა), ბევრმა მიიჩნია, რომ „ჩელსიმ" იხეირა, „რეალს" კი 32 წლის ჩამოწერილი ფეხბურთელი შეხვდა, ამ ასაკისთვის მიუღებლად დიდი ფასით. და რა მივიღეთ? ახლა სერიოზულად არჩევენ, რომ „რიკი" ბოლო დეკადაში „რეალის" ყველაზე საუკეთესო შენაძენია ცენტრალურ მცველთა შორის. რიკარდო კარვალიო ჩინებულად „კითხულობს" თამაშს, ორთაბრძოლებში შესვლას მას ვერავინ ასწრებს, ძალზე გამოცდილია. ყველა ამ თვისებას ის ყოველ ტურში ავლენს, პლუს სეზონში სამი გოლიც გაიტანა.

### კლასი B



სამი ხედირა (გერმანია)
**23 წლის**
**12 მილიონი**
**35 თამაში**

იოზილის არ იყოს, ხედირაც იოლად მოერგო „რეალს", თუმცა, თქმა რად უნდა, იოზილივით ვერ ბრწყინავს და ეს ასეც უნდა ყოფილიყო - ხედირას კონკრეტული მიზნებით დაუძახეს „სამეფო კლუბში" და ის ამართლებს მოურინიოს იმედებს. კარგად უგებს მოედანზე **ჩაბი ალონსოს**, მოუგო კონკურენცია ორივე დიარასა და **გაგოს**. სხვათა შორის, ბოლოს ისე გაუშინაურდა „რეალს", რომ შეტევებშიც თამამად ერთვება და ბოლო ტურში დიდებული საგოლე პასიც მიითვალა.

### კლასი B-



ემანუელ ადებაიორი (ტოგო)
**27 წლის**
**იჯარა**
**12 თამაში, 3 გოლი**

ზამთარში ფლორენტინო პერესი დარწმუნდა, რომ გუნდში ახალი ფორვარდი საჭირო იყო - რომანტიკოსებს მადრიდში ისევ **რუდ ვან ნისტელროის** ხილვა სურდათ, საბოლოოდ კი მაღალი აფრიკელის იჯარით ჩამოყვანა მოხერხდა. ბევრს ახლაც მიაჩნია, რომ ადებაიორი გუნდს ვერ მოერგება და მისი თამაშის სტილი ლა ლიგაში თავის გამოჩენისთვის არ არის საუკეთესო, თუმცა ადებაიორი „რეალში" მხოლოდ ერთი მიზნით მიიყვანეს - გაიტანოს გოლები. ფეხბურთელისთვის, რომელიც თითქმის სულ სათადარიგოთა სკამიდან იწყებს, დაახლოებით 500 წუთში 3 გოლი, არცთუ ურიგო შედეგია.

### კლასი C-



პედრო ლეონი (ესპანეთი)
**24 წლის**
**10 მილიონი**
**13 თამაში, 2 გოლი**

„ხეტაფეში" ისეთი ბრწყინვალე სეზონი ჰქონდა, რომ „რეალის" ბოსებს წამითაც არ უყოყმანიათ - ახალგაზრდა გარემარბში 10 მილიონი ევრო გადაიხადეს და სიამოვნებით იფშვნეტდნენ ხელებს წინასწარ. მაგრამ სრული გულაცრუება ელოდათ - ვიცით, რომ, როცა ფლანგებზე **რონალდო** და დი მარია ნავარდობენ, პედრო ლეონს შანსი ნაკლებად აქვს, მაგრამ ფაქტია, როცა ეს შანსი მას მიეცა, თითქმის, ყოველთვის ცუდად ითამაშა. პრობლემები ჰქონდა მწვრთნელთანაც, „განსაკუთრებული" მას დაცვაში თამაშს უწუნებდა. ერთადერთი „ჰაილაითი" ამ სეზონში „მილანის" კარში გატანილი ძალზე საჭირო გოლი იყო ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ეტაპზე.

### კლასი D



სერხიო კანალესი (ესპანეთი)
**20 წლის**
**4,5 მილიონი**
**12 თამაში**

„ესპანური ფეხბურთის პრინცს" ეს სეზონი ისევ „რასინგში" უნდა ეთამაშა (იჯარით), თუმცა კლუბებს შორის შეთანხმების თანახმად, მას წინასასეზონო შეკრება „რეალში" უნდა გაევლო. იქ კი კანალესი ერთ-ერთი საუკეთესო იყო და მოურინიომაც გადაწყვიდა - კანალესს ამ სეზონშივე შეუძლია „რეალში" თამაში. ვისაც, სერხიოს შარშანდელი თამაში ახსოვს, დაგვეთანხმება, ამ გადაწყვეტილებით ესპანურმა ლიგამ (იმედია, მხოლოდ ერთი სეზონით) კაშკაშა ვარსკვლავი დაკარგა. ახალგაზრდა ვარსკვლავი ცოტა ტრავმებმა გაანამეს, ცოტა თავად ვერ მოიქცა კარგად მწვრთნელთან, იქით მისი უშუალო კონკურენტი (იოზილი) „დაფრინავდა" და სეზონიც თითქმის გაილია.

დაბოლოს, კლასი A - 48 წლის ჟოზე მოურინიო: A-ს პლუსი „ელ კლასიკოს" გამო აკლია...

## ქარიმ პირველმეგოლე

ბოლო ხანებში **ქარიმ ბენზემას** თამაში „რეალის" ფანებს ძალიან ახარებს. როგორც იქნა, ფრანგმა იპოვა თავისი ადგილი გუნდში და გოლების გატანაც რეგულარულად დაიწყო. ქარიმი მართლაც ძალზე საჭირო წევრია გუნდის, ამაზე კი სტატისტიკაც მეტყველებს - ცნობილია, რომ განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს პირველ გოლს, ფრანგმა კი ამ სეზონში 10-ჯერ გახსნა „სამეფო კლუბის" გოლთა ანგარიში. მან სულ სეზონში 21 გოლი გაიტანა და აქედან 10 გუნდისთვის პირველი იყო. პირველად ეს ბენზემამ ნოემბერში მოახერხა „აიაქსთან" ჩემპიონთა ლიგის მატჩში, ბოლოს კი ახლახან „ატლეტიკოსთან" დერბიში.

## და ცარიელი ბაზა

სანაკრებო პაუზამ „სამეფო კლუბის" ბაზა გაამეჩხერა. ის კი არა, თვით მოურინიომ იხელთა დრო და ინგლისში ჩავიდა. ჯამში, ეროვნულ ნაკრებებში „რეალის" 15 ფეხბურთელი გამოიძახეს: **კასილიასი, სერხიო რამოსი, არბელოა, ალბიოლი,** ჩაბი ალონსო (ესპანეთის ნაკრები), კანალესი (ესპანეთი უ-21), **მარსელო** (ბრაზილია), დი მარია, **გარაი** (არგენტინა), რონალდო, რიკარდო კარვალიო, **პეპე** (პორტუგალია), ბენზემა (საფრანგეთი) ხედირა და იოზილი (გერმანია). მოგეხსენებათ, ესპანური გუნდის საჩემპიონატო განაცხადში 24 ფეხბურთელი უნდა იყოს. და ვინ დარჩა? **დუდეკი, ადანი,** ლასანა, **კაკა, გრანერო,** პედრო ლეონი, გაგო, **იგუაინი** და ადებაიორი. ამათგან იგუაინი და კაკა ტრავმირებულნი არიან, დუდეკი 38 წლის იუბილეს ზეიმობს, დანარჩენებს კი თავიანთ ნაკრებებში არ იწვევენ.

გამოძახებულთა რიგებში კრიშტიანო რონალდოს მოხსენიება გეუცნაურებოდათ - საქმე იმაშია, რომ ბოლო დროს პორტუგალიის ფეხბურთის ფედერაციასა და „რეალს" შორის დაიძაბა ვითარება (ისევ და ისევ, რონალდოს გამო) და ლისაბონურ ოფისში მადრიდელებისა აღარ სჯერათ. რონალდო, პეპე და კარვალიო ჩავლენ პორტუგალიაში და მხოლოდ ადგილზე, ნაკრების ექიმები გადაწყვეტენ, მართლა აქვთ თუ არა ტრავმები კრიშტიანოსა და „რიკის". „რეალს" ლა ლიგის მომავალი მატჩი 2 აპრილს ელის ხიხონის „სპორტინგთან".

გვერდი მოამზადა
**ნიკოლოზ ნეფარიძემ**

## რეალი 2010/11. მიმდინარე სტატისტიკა

| ფეხბურთელი | ას. | ამპ. | წთ. | თ. | სტ. | გვ. | შვ. | გან. | გ. | ყვ. | 2 ყვ. | წ. |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1. კასილიასი | 29 | G | 2520 | 28 | 28 | 0 | 0 | 0 | 0 | 2 | 0 | 1 |
| 13. ადანი | 23 | G | 176 | 2 | 1 | 1 | 0 | 14 | 0 | 0 | 0 | 0 |
| 25. დუდეკი | 38 | G | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 15 | 0 | 0 | 0 | 0 |
| 12. მარსელო | 22 | D | 2340 | 27 | 27 | 0 | 4 | 0 | 2 | 6 | 0 | 0 |
| 2. რ. კარვალიო | 32 | D | 2249 | 26 | 25 | 1 | 2 | 1 | 3 | 9 | 1 | 0 |
| 4. ს. რამოსი | 24 | D | 2073 | 24 | 23 | 1 | 0 | 1 | 1 | 8 | 0 | 1 |
| 3. პეპე | 28 | D | 1606 | 18 | 18 | 0 | 1 | 1 | 1 | 7 | 1 | 0 |
| 17. არბელოა | 28 | D | 1312 | 19 | 14 | 5 | 1 | 13 | 0 | 4 | 1 | 0 |
| 18. ალბიოლი | 25 | D | 704 | 13 | 8 | 5 | 3 | 13 | 0 | 2 | 0 | 0 |
| 19. გარაი | 24 | D | 94 | 2 | 1 | 1 | 0 | 9 | 0 | 0 | 0 | 0 |
| 34. ხორხე | 21 | D | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 |
| 14. ჩ. ალონსო | 29 | M | 2217 | 27 | 24 | 3 | 1 | 4 | 0 | 10 | 0 | 0 |
| 23. იოზილი | 22 | M | 2149 | 29 | 26 | 3 | 20 | 3 | 6 | 2 | 0 | 0 |
| 22. დი მარია | 23 | M | 1967 | 29 | 25 | 4 | 15 | 4 | 6 | 4 | 0 | 0 |
| 24. ხედირა | 23 | M | 1656 | 23 | 18 | 5 | 4 | 6 | 0 | 7 | 0 | 0 |
| 10. ლ. დიარა | 26 | M | 1277 | 21 | 14 | 7 | 5 | 11 | 0 | 7 | 0 | 0 |
| 8. კაკა | 28 | M | 356 | 8 | 5 | 3 | 5 | 5 | 2 | 0 | 0 | 0 |
| 11. გრანერო | 23 | M | 349 | 12 | 3 | 9 | 3 | 21 | 1 | 4 | 0 | 0 |
| 16. კანალესი | 20 | M | 148 | 7 | 1 | 6 | 1 | 11 | 0 | 2 | 0 | 0 |
| 21. პ. ლეონი | 24 | M | 116 | 5 | 0 | 5 | 0 | 21 | 0 | 1 | 0 | 0 |
| 5. გაგო | 24 | M | 95 | 4 | 1 | 3 | 1 | 7 | 0 | 0 | 0 | 0 |
| 26. ხ. კარლოსი | 20 | M | 12 | 1 | 0 | 1 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 |
| 30. ალექსი | 18 | M | 0 | 1 | 0 | 1 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 |
| 7. რონალდო | 26 | A | 2412 | 27 | 27 | 0 | 1 | 0 | 27 | 2 | 0 | 0 |
| 9. ბენზემა | 23 | A | 1395 | 26 | 14 | 12 | 8 | 15 | 10 | 1 | 0 | 0 |
| 20. იგუაინი | 23 | A | 988 | 12 | 12 | 0 | 9 | 1 | 7 | 1 | 0 | 0 |
| 6. ადებაიორი | 27 | A | 479 | 9 | 4 | 5 | 1 | 5 | 2 | 0 | 0 | 0 |
| 29. მორატა | 18 | A | 1 | 1 | 0 | 1 | 0 | 5 | 0 | 0 | 0 | 0 |

*შენიშვნა: წთ - წუთი სეზონში; თ - თამაში; სტ - სასტარტოში; გვ - გავიდა; შვ - შევიდა; გან - განაცხადში იყო; გ - გოლი; ყვ - ყვითელი ბარათი; 2 ყვ - 2 ყვითელი ბარათი; წ - წითელი ბარათი.*

## საგოლე პასი

| საგოლე პასები | სულ | ვის (რამდენი) |
|---|---|---|
| დი მარია | 11 | 4 ბენზემა, 3 იგუაინი, 1 რონალდო, ადებაიორი, მარსელო, იოზილი |
| იოზილი | 10 | 8 რონალდო, 1 ადებაიორი, დი მარია |
| რონალდო | 7 | 3 იგუაინი, 2 რ. კარვალიო, 1 კაკა, მარსელო |
| ჩ. ალონსო | 5 | 2 რონალდო, 1 დი მარია, იოზილი, ბენზემა |
| მარსელო | 4 | 2 იოზილი, 1 დი მარია, ბენზემა |
| იგუაინი | 3 | 1 დი მარია, რონალდო, იოზილი |
| ბენზემა | 3 | 2 რონალდო, 1 გრანერო |
| ლ. დიარა | 2 | 1 ბენზემა, რონალდო |
| კაკა | 1 | 1 რონალდო |
| ხედირა | 1 | 1 ბენზემა |
| გრანერო | 1 | 1 ბენზემა |
| კანალესი | 1 | 1 რონალდო |
| არბელოა | 1 | 1 ბენზემა |

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტყვიის სროლა. პირველი ლიცენზია

# ლონდონის სათვალავი სიდნეიში გაიხსნა

### სალუქვაძე კვლავაც პირველი ლიცენზიანტია

ოლიმპიური ლიცენზიების სათვალავი გაიხსნა - საქართველომ ლონდონის თამაშების პირველი საგზური მოიპოვა. ტრადიციულად, ეს ისევ ტყვიის მსროლელმა **ნინო სალუქვაძემ** გააკეთა, რომელმაც გუშინ სიდნეიში მსოფლიოს თასის პირველივე ეტაპი მოიგო. ტროფეისა და ლიცენზიის გარდა, ამით ევროპის სამგზის, მსოფლიოსა და ოლიმპიურმა ჩემპიონმა შემოდგომაზე გასამართ მსოფლიოს თასის სუპერფინალში ასპარეზობის უფლებაც მიილო. შეგახსენებთ, რომ სალუქვაძე სუპერთასის 9-გზის მფლობელია, რითიც აბსოლუტური რეკორდსმენია, რადგან 3-ით უსწრებს სერბ და ჩინელ ოლიმპიურ ჩემპიონებს - **იასნა სეკარიჩსა** და **ტაო ლუნას**. შემოდგომაზე მას ამ რეკორდის გაუმჯობესების შანსი ეძლევა, მანამდე კი სიდნეური წარმატებით ოლიმპიადებში მონაწილეობის მხრივ მორიგი რეკორდი დაამყარა - ლონდონი მისთვის მეშვიდე თამაშები იქნება. საშინაო ასპარეზზე ამ მაჩვენებლით ნინო უკვე სამით უსწრებს სპორტში თავის კერპს, სამგზის ოლიმპიურ ჩემპიონს მძლეოსნობაში **ვიქტორ სანეევს**, საერთაშორისო არენაზე ტყვიის სროლაში კი დღესდღეობით პირველ ადგილზე გადავიდა, თუმცა მისი დაწევა სეკარიჩს შეუძლია. ამ დუეტის გარდა, მსროლელთაგან ექვს ოლიმპიადაზე ბერძენი **აგატა კასუომიც** გამოსულა, მაგრამ ათენის შემდეგ მან თავი დაანება სროლას. სეულის 1988 წლის თამაშებიდან მოყოლებული, სალუქვაძეს არც ერთი ოლიმპიადა არ გამოუტოვებია. ეგ კი არა, კარგა ხნის განმავლობაში ჩვენი ფედერაციისთვის ორი საგზურიც მოჰქონდა, ვიდრე ის წესი არ აიკრძალა.

სხვათა შორის, სალუქვაძის ამ რეკორდს და მეშვიდე თამაშებს სროლის საერთაშორისო ფედერაციის საიტმაც მიაქცია ყურადღება და არც იმის აღნიშვნა დავიწყებია, რომ რეკორდსმენი იმ ქვეყნიდანაა, რომელსაც 2008 წელს საომარი კონფლიქტი ჰქონდა რუსეთთან.

წლეულს სულ ხუთი სალიცენზიო შეჯიბრება გაიმართება - მსოფლიოს თასის ოთხი ეტაპი და ევროპის ჩემპიონატი სპორტული პისტოლეტიდან სროლაში. მსოფლიოს თასებზე, ადრინდელი ერთი საგზურის ნაცვლად, ლიცენზიას სამეული მიიღებს. ორმაგად სასიხარულოა, ჩვენებურმა სეზონის მთავარ სამიზნეს პირველივე ცდაზე რომ გაარტყა - ახლა მას საშუალება ექნება, მშვიდად მოემზადოს ლონდონის ოლიმპიადისთვის.

### გამოცდილებისა და კლასის უპირატესობა

სალუქვაძე თანაგუნდელ **ლევან ქადაგიძესა** და მესტენდურ **დავით ქვათაძესთან** ერთად 19 მარტს გაფრინდა ავსტრალიაში. აქედან გამომდინარე, აკლიმატიზაციისთვის არც ისე დიდი დრო ჰქონდა და საკვალიფიკაციო ეტაპი 385 ქულით ჩაამთავრა. მართალია, მან 1989 წელს ბელგრადში მსოფლიოს პირველობაც ასეთი მაჩვენებლით მოიგო, თუმცა ეს მაინც არაა მისი რეკორდი. შედარებისთვის - სეულის ოლიმპიადაზე ამავე დისტანციაზე 390 ქულა დააგროვა და საბოლოოდ ვერცხლი მოიპოვა. ამჯერად სიდნეიში ასე მაღალი შედეგები არ დაფიქსირებულა და ჩვენებურს მეორე მაჩვენებელი აღმოაჩნდა, თუმცა ფინალში მეხუთე ადგილით შევიდა. ამ რებუსის გასაღები შემდეგშია - მას 386-ქულიანთა კვარტეტმა გაუსწრო. ყველასათვის მოულოდნელად, იმ ოთხეულში საუკეთესო შედეგი ჩინელთა ახალბედა **სუნ ქის** აღმოაჩნდა და შესარჩევი ეტაპიც მანვე მოიგო. მას აქამდე ასეთი მასშტაბური წარმატებისთვის არასოდეს მიუღწევია, თუმცა კლასი და გამოცდილება ხომ მაინც სულ სხვაა და ამ დაუწერელ კანონს ქიც ემსხვერპლა. იმის მიუხედავად, რომ ჩინელები ლამის სამხედრო რეჟიმში ემზადებიან - ყაზარმებში ცხოვრობენ და დღეში რამდენჯერმე ვარჯიშობენ, ამ გამოუცდელმა მსროლელმა მისთვის უჩვეულო დატვირთვას მაინც ვერ გაუძლო. ოღონდ ვერ გეტყვით, ამის მიზეზი ფიზიკური მოუმზადებლობა იყო თუ - ფსიქოლოგიური, თუმცა საინტერესოა მისი გამოსვლის დიაგრამა - საკვალიფიკაციოს პირველივე სერიაში ქულათა მაქსიმუმი - 100 მიითვალა, მაგრამ მერე სერიიდან სერიამდე მოუკლო და ფინალში 7,3-მდეც კი დაეშვა. ის საბოლოოდ მერვეზე დარჩა.

ჩინელის საპირისპიროდ, სიდნეიში სალუქვაძემ სწორედ გამოცდილებისა და კლასის უპირატესობა გვაჩვენა. თან კიდევ ერთხელ გამოავლინა მტკიცე ნერვები, ძლიერი ხასიათი... შესარჩევში მან მეტ-ნაკლებად თანაბრად ისროლა, თუმცა შეჯიბრება ცოტა მძიმედ დაიწყო - პირველ სერიაში 95 ქულა დააგროვა. საბედნიეროდ, მერე მოუმატა — 97-97 და 96. ამ 40 გასროლაში მან ორჯერ, მეორე-მეოთხე სერიებში გაარტყა 8-იანს. ბოლო გასროლაზე 9-იანიც ჰქონდა და მოგვიანებით, ჩვენთან საუბარში ამ სამ ცდაზე გულისტკივილიც გამოთქვა - ეს რომ არა, ცოტა უკეთესი შედეგი მექნებოდაო. სამაგიეროდ, ჩინებულად ისროლა ფინალში - 100,4 გააკეთა და მდევრებს ორ ქულაზე მეტით გაუსწრო. 10 ფინალური გასროლიდან შვიდი 10-იანში მოარტყა, ორი - 9-იანში და მხოლოდ ერთი ჰქონდა უფრო დაბალი - 8,7. 10-იანებიდან პირველი ხუთი გასროლა 10,3 იყო, ბოლო ცდაზე კი ფინალის საუკეთესო შედეგი - 10,4 აჩვენა. საბოლოო ჯამში ჩვენებურს 485,4 ქულა ჰქონდა და 1,5-ით გაუსწრო უახლოეს მდევარს, ფინელ **მირა სუჰონენს**, რომელმაც 484,0 დააგროვა. ბრინჯაოს მედალი უკრაინელ მსოფლიოსა და ოლიმპიურ ჩემპიონ **ოლენა კოსტევიჩს** ერგო - 386+97,6 და ჯამში 483,6. ამ სამეულიდან სუჰონენმა ლიცენზია შარშან მოიპოვა მსოფლიოს ჩემპიონატზე. ამიტომ ახლა საგზური უკრაინელსა და მეოთხეზე დარჩენილ ტაივანელ **ჩია ჩენ ტინს გადაეცა**. ტაივანელები აქა-იქ, ძალზე იშვიათად ახერხებენ ფინალში შესვლას, ამჯერად კი ტინი ერთ-ერთი იყო ლიდერთა იმ კვარტეტიდან, რომელმაც შესარჩევი ეტაპი 386 ქულით დაამთავრა. მეხუთე ადგილზე ბელარუსიდან ავსტრალიაში გადასული **დინა ასპანდიაროვა** დარჩა - 480,8, მეექვსე-მეშვიდეზე ამავე დისტანციაზე ევროპის ჩემპიონები, შარშანდელი გამარჯვებული, სერბი **ბობანა ველიკოვიჩი** (479,9) და წლევანდელი ტრიუმფატორი, ფრანგი **სელინ გობერვილი** (479,7) გავიდნენ.

სიდნეური შეჯიბრების აშკარა თავისებურებად იქცა ჩინელების, რუსების, ბულგარელების, გერმანელების, ჩეხების, მონღოლების მარცხი. მათ გუნდში თითო-თითო მაინც ჰყავთ მსოფლიოსა და ოლიმპიადის ჩემპიონ-მედალოსნები, მაგრამ ჩინელთა გარდა, ფინალში ვერც ერთის წარმომადგენელი ვერ შევიდა. ჩინელთაგანაც ეს ზემოხსენებულმა ქიმ შეძლო, ოლიმპიური ჩემპიონი **ვენჯუნ გუო** კი ძალზე სუსტად გამოვიდა - 381 ქულა და მე-14 ადგილი. მასპინძლებსაც აშკარად გაუცრუა იმედები მეორე ბელარუსმა, ოლიმპიურმა პრიზიორმა **ლოლიტა იევლევსკაიამ**, რომელიც, ასპანდიაროვასგან განსხვავებით, გათხოვილია „მწვანე კონტინენტზე" - მხოლოდ 380 ქულა დააგროვა და ფინალში შესვლა კი არა, მე-16 ადგილზე დარჩა.

### ნინო სალუქვაძის კომენტარი

ტურნირის დამთავრების შემდეგ გუშინ დილითვე ავსტრალიაში სალუქვაძეს დავუკავშირდით და მცირე კომენტარი ჩამოვართვით. *„ახლა ვხუმრობ, ამხელა გზაზე ტყუილად ხომ არ ჩამოვიდოდი-მეთქი, მაგრამ სინამდვილეში, მართლა ძნელი ტურნირი იყო - ამ სიშორეზე გადმოფრენა, სიცხე, იქით ფინალში მეხუთე შედეგით შევედი... წარმატება კარგია, მაგრამ კიდევ ერთხელ უნდა ვთქვა, რომ საქართველოში არ გვაქვს სავარჯიშო პირობები. აქ რომ მოვუყვე უცხოელებს, როგორ პირობებში ვვარჯიშობთ, არ დამიჯერებენ. თუმცა მადლობა ღმერთს, ლიცენზია მოვიპოვე და ახლა შემიძლია, ლონდონის ოლიმპიადისთვის მშვიდად მოვემზადო.*

*ტურნირამდე 385 ქულაც კი მეეჭვებოდა, რადგან ვარჯიშებზე სროლები არ მიმდიოდა. აქაც უმეტესობა ახლო 9-იანი იყო, მაგრამ ორჯერ მქონდა 8-იანიც, სულ ბოლო გასროლაზე ცხრიანი გავარტყი... რომ არა, ცოტა მეტი ქულა მექნებოდა. ფინალში უფრო ზუსტად ვისროლე, თუმცა ფინელი მირა სუჰონენიც ფეხდაფეხ მომდევდა. ოღონდ მას უკვე ჰქონდა ლიცენზია. მთლიანობაში, შედეგით კმაყოფილი ვარ - ამ ეტაპზე მთავარი საზრუნავი ლიცენზია იყო"* - გვითხრა მან.

ეტყობა, სალუქვაძე თავის მოსამზადებელ პირობებზე უცხოელებთან მთლად დაკონკრეტებას მაინც მოერიდა და ამ მხრივ მდგომარეობა გამოსწორდაო, უთხრა. კაცმა რომ თქვას, მართლაც გამოსწორდა, მაგრამ სასურველისგან ჯერ კიდევ შორსაა. იმედია, მისი ახლანდელი წარმატება კიდევ უფრო მეტ ბიძგს მისცემს სპორტის ამ სახეობის განვითარებას და ის სახელმწიფოს ზრუნვის საგანიც გახდება, როგორც ქვეყნის თავდაცვისთვის სტრატეგიული. ვიმედოვნებთ, ბაზის მშენებლობასაც ერთხელ და სამუდამოდ დაადგება საშველი.

ბოლოს, შეგახსენებთ, რომ დღეს სიდნეიში პნევმატური პისტოლეტიდან ქადაგიძე ისვრის, 27-ში კი ეს დუეტი ერთად იასპარეზებს. ამჯერად - სპორტული პისტოლეტიდან სროლაში, მესტენდურები კი თვის ბოლო რიცხვებში გავლენ სასროლეთზე, სადაც ქვათაძე და პავლე ლაკია ისვრიან.

**ირაკლი თავაძე**




მირა სუჰონენი, ნინო სალუქვაძე და ოლენა კოსტევიჩი

ჩოგბურთი



# სონი ერიქსონზე ტატიშვილს გოვორცოვა ერგო

მაიამიში, 4,5-მილიონიანი „სონი ერიქსონ ოუფენზე" მოასპარეზე **ანა ტატიშვილმა** (125) ძირითად ბადეში გაღწევით 30 სარეიტინგო ქულა დაიბევა. 21 წლის ქართველს პირველ წრეში 22 წლის ბელარუსი **ოლგა გოვორცოვა** ერგო მეტოქედ. დღეისათვის გოვორცოვა მსოფლიოს 87-ე ჩოგანია (2008 წელს რეიტინგში 35-ეც კი იყო). ანა ერთადერთხელ შეხვდა ბელარუსს - შარშან პონტე ვედრა ბიჩზე მერვედფინალში 2:6, 2:6 წააგო. წუხელ მაიამიში ტატიშვილისა და გოვორცოვას შეხვედრა ჩვენთვის ძალიან გვიან დაიწყო და მის შედეგს ხვალ გაგაცნობთ.

ჩვენი მეორე ჩოგანი **ოქსანა კალაშნიკოვა** (196) გაცილებით მოკრძალებულ ტურნირში ასპარეზობს - ჩინურ კუნმინში, რომლის საპრიზო ფონდი 25 ათასი დოლარია. კალაშნიკოვამ კი მოიგო პირველ წრეში, მაგრამ საკმაოდ გაუჭირდა ჩინელი **სასაი ჟენის** (345) დამარცხება, რომელიც საკვალიფიკაციო ბადიდან მოხვდა ძირითადში - 7:5, 1:6, 6:3. მეორე წრეში მას მე-8 ნომრად განთესილი ჩინელი **ინ ინ ლუ** (195) ელის. ოქსანა უკრაინელ **იულია ბეიგელციმერთან** (191) ერთად წყვილთა ბადეშიც მონაწილეობდა (მე-3 ნომრად განთესეს), თუმცა შეჯიბრებას მეოთხედფინალში გამოეთიშა.

ფრანგულ გონესში 10-ათასიანი ტურნირის პირველი წრე დაძლია მე-2 ნომრად განთესილმა **სოფიო შაფათავამ** (284). მან საკვალიფიკაციო ბადის გამარჯვებული ფრანგი **ლეა ტოლეი** დაამარცხა - 6:4, 6:3. **სოფიო ქვაცაბაიამ** (415) მე-4 ნომრად განთესილ იტალიელ **ჯოია ბარბიერისთან** (388) წააგო - 1:6, 1:6. ჩვენებური ამ შეხვედრაში ტრავმირებული ფეხით გავიდა. შაფათავას მეტოქე მერვედფინალში ჰოლანდიელი **ევა ვოკანოა**. ანთალიაში (10 ათასი დოლარი) პირველივე წრეში წააგო **ეკა გორგოძემ** (552), მისი მეტოქე 17 წლის ურეიტინგო ბელარუსი **ილონა კრემენი** იყო - 1:6, 1:6. ეკა თურქეთში წყვილთა თანრიგში აგრძელებს ასპარეზობას.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

სამთო თხილამურობა

# გიგანტის მეწინავენი

მოთხილამურეთა საქართველოს თასის გათამაშებაზე ორგანიზატორებმა გიგანტურ სლალომში ოთხი ეტაპის შედეგები შეაჯამეს. გაგაცნობთ ასაკების მიხედვით გოგონათა და ვაჟთა შორის დაწინაურებულთა ვინაობას:

**1995 წელს და უფრო ადრე დაბადებულნი. გოგონები.** 1. სუსანა გავა (90 ქულა), 2. ნატაშა გავა (ორივე-ბაკურიანი, 70), 3. ელენე ჩხეიძე (თბილისი, 43). **ვაჟები.** 1. კოტე ვახტანგიშვილი (95), 2. დავით თედიაშვილი (61), 3. იასონ აბრამაშვილი (სამივე-ბაკურიანი, 45).

**1996-1997 წლებში დაბადებულნი. გოგონები.** 1. ნუცა ხურცილავა (თბილისი, 80), 2. ანასტასია კვირიკაძე (გუდაური, 75), 3. ნატა მგელაძე (თბილისი, 67). **ვაჟები.** 1. გიორგი კურტანიძე (60), 2. სოსლან ბაკაევი (57), 3. ნოდარ ჩუბკო (სამივე-ბაკურიანი, 50).

**1998-1999 წლებში დაბადებულნი. გოგონები.** 1. ანა გორდეზიანი (თბილისი, 85), 2. სალომე კვიციანი (მესტია, 55), 3 ქეთევან ჩოგაძე (აჭარა, 52). **ვაჟები.** 1. გიორგი კურტანიძე (ბაკურიანი, 71), 2. ნიკოლოზ ცაგარელი (70), 3. ვალიკო მარსაგიშვილი (ორივე-გუდაური, 57).

გუდაური 5-7 აპრილს სუხიას (სუპერგიგანტი), ვატო ფიფიას (სპეციალური სლალომი) და აბუს (გიგანტური სლალომი) სახელობის ტურნირებს უმასპინძლებს.

**ვაჟა დანელია**



სტუდენტური სპორტი

# ასპარეზობის ადგილი - მაღლივი კორპუსი

სტუდენტური სპორტი აქტიური ცხოვრების რიტმს იბრუნებს. ივ. ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტური თვითმმართველობა ამჟამადაც გამოირჩა და მაღლივი კორპუსის ტერიტორიაზე ქუჩის კალათბურთში გამართა შეჯიბრება 32 სტუდენტური გუნდის მონაწილეობით. საბოლოოდ პირველ ადგილზე გავიდა „მახინჯი მაიმუნები", მეორეზე - „ბენდელა". მათ ჯილდო შესაბამისად 500 და 250 ლარი გადაეცათ. საუკეთესო კალათბურთელად **ზურაბ მაისურაძე** დასახელდა, ყველაზე ტექნიკურად - **ლაშა ელბაქიძე,** სამქულიანების სროლაში **გიორგი პირველაშვილმა** იპირველა. ტურნირი სხვა სანახაობებითაც იყო გაჯერებული.

საინტერესო ღონისძიებას სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრის მოადგილეები **გიორგი ავალიანი** და **ირაკლი მეგრელიშვილი** ესწრებოდნენ.

- კალათბურთი მუდამ იყო პოპულარული ახალგაზრდებში და ტრადიცია გრძელდება. ამ სემესტრში სპორტის კიდევ 17 სახეობაში გვაქვს დაგეგმილი ტურნირი და მათში მონაწილეობის შესაძლებლობა თითქმის ყველა სტუდენტს მიეცემა - გვითხრა სტუდენტური თვითმმართველობის სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარე **თევდორე მაყაშვილმა.**

**ქეთი ჯავახიშვილი**

ქართველი NBA-ში

# მეჩვიდმეტე წუთზე ნაგებული...

სათაურში შეცდომა არ არის - „ატლანტა ჰოქსმა" „ჩიკაგოსთან" მატჩი მე-17 წუთზე წააგო. ამ დროისთვის „ხარები" 57:35-ს იგებდნენ, მატჩის სადავეებსაც აკონტროლებდნენ და „ქორებიც" ბედს შეგუებოდნენ. საბოლოოდ „ატლანტამ" საკუთარი გულშემატკივრის წინაშე 81:114 დათმო.

ცხადია, **დერეკ როუზის** და მისი მეგობრების შეჩერებას ვერც მარტო **ზაზა ფაჩულია** შეძლებდა, მაგრამ სანუგეშოდ ის გვრჩება, რომ როცა მეორე პერიოდში „ჩიკაგომ" 22-ქულიან უპირატესობას მიაღწია, ქართველი ცენტრი მოედანზე არ იყო.

საბოლოოდ ზაზამ 15 წუთში 5 ქულა და 2-2 მოხსნა-პასი მიითვალა. მის თანაგუნდელთაგან ყველაზე მეტი ახალგაზარდა **ჯეფ ტიგმა** ჩააგდო - 20 ქულა. 10-ით მეტი ქულით მატჩის ბომბარდირი ჩიკაგოელი როუზი გახდა. მას 27-ით შეეშველა დიდი ბრიტანეთის ნაკრების წევრი **ლუოლ დენგი**. სტუმართაგან დანარჩენები 10 ქულასაც ვერ ასცდნენ.

ამ მოგებით „ჩიკაგო ბულზმა" აღმოსავლეთის კონფერენციაში „ბოსტონი" ჩამოიტოვა და პირველ ადგილზე ავიდა. „ატლანტა" კი მეხუთეა (40 გამარჯვება, 31 მარცხი). ჯორჯიელებს რეგულარული ეტაპის დასრულებამდე 12 მატჩი დარჩათ და მდევრების შედეგების გათვალისწინებით, კონფერენციის საპლეიოფო რვაეულში ნამდვილად მოხვდებიან.

თუმცა, ასეთი არასტაბილური თამაშით პლეი ოფში რას მიაღწევენ, ძნელი სათქმელია. არადა, შარშანდელი სეზონის შემდეგ მთავარი მწვრთნელი **მაიკ ვუდსონი** იმიტომ გადააყენეს, რომ პლეი ოფის მეორე რაუნდში დამარცხდა, ხელმძღვანელობას მეტი სურდა...

„ჰოქსი" წუხელ, თბილისის დროით ღამის 4 საათისთვის „ფილადელფიას" დაუპირისპირდებოდა. ამერიკული საიტი „როტოვორლდი" წერდა, რომ სასტარტო ცენტრის **ელ ჰორფორდის** მუხლის ტრავმის გამო ფაჩულიას სათამაშო დრო გაეზრდებოდა. თუმცა, „ქორების" მთავარ მწვრთნელ **ლარი დრიუს** ეიმედებოდა, რომ ჰორფორდი „ფილადელფიასთან" თამაშს შეძლებდა.



**ატლანტა-ჩიკაგო 81:114**

**ზაზა ფაჩულია:** 15:03 წუთი, 5 ქულა (3-დან 0 ორქულიანი, 6-დან 5 საჯარიმო), 2 მოხსნა, 2 პასი, 4 ფოლი, 1 შეცდომა

**ქრონოლოგია**

**I პერიოდი**

| | |
|---|---|
| 04:40 | ზაზამ ჰორფორდი შეცვალა |
| 03:10 | მოხსნა: შეტ-1, დაც-0 |
| 03:10 | საჯარიმოები: 2/2 (2ქ, 19:20) |
| 02:37 | ფოლი: 1 |
| 02:14 | ორქულიანი: არაზუსტი |
| 01:57 | ფოლი: 2 |
| 01:57 | შეცდომა: 1 |
| 01:24 | პასი: 1 (ჰორფორდი 2ქ, 21:26) |

**II პერიოდი**

| | |
|---|---|
| 10:46 | საჯარიმოები: 2/2 (4ქ, 25:35) |
| 10:35 | კოლინზმა ზაზა შეცვალა |
| 03:02 | ზაზამ სმითი შეცვალა |

**III პერიოდი**

| | |
|---|---|
| 02:08 | ზაზამ ჰორფორდი შეცვალა |
| 01:13 | მოხსნა შეტ-1, დაც-1 |
| 00:25 | საჯარიმოები: 2/1 (5ქ, 60:96) |

**IV პერიოდი**

| | |
|---|---|
| 09:48 | ფოლი: 3 |
| 09:20 | პასი: 2 (ტიგი 2ქ, 64:107) |
| 08:58 | ფოლი: 4 |
| 08:42 | ორქულიანი: არაზუსტი |
| 08:13 | ორქულიანი: არაზუსტი |
| 08:12 | პაუელმა ზაზა შეცვალა |

**ვაჟა სიმონიშვილი**

ახალგაზრდობა




# ბურჯანაძის 23 ქულა 26 წუთში

ესპანეთის ება-ს ლიგაში მორიგი ეფექტური მატჩი ჩაატარა **ბექა ბურჯანაძემ.** იგი „ნოვასკოლთან" სტუმრად გამართულ შეხვედრაში „კახასოლის" კალათბურთელთა შორის საუკეთესო იყო: 23 ქულა, 7 მოხსნა, 1 პასი. ბექას მარგი ქმედების კოეფიციენტმა 23-ს უწია, რაზეც დიდი გავლენა სროლის სიზუსტემაც მოახდინა: 7-დან 4 ორქულიანი, 9-დან 4 სამქულიანი, 4-დან 3 საჯარიმო. ეს ყველაფერი ბურჯანაძემ 26 წუთში მოასწრო.

დასანანია, მაგრამ ბექამ მოედანი თავაწეულმა მაინც ვერ დატოვა - მისმა „კახასოლმა" „ნოვასკოლთან" 65:70 დათმო.

ება-ს ლიგაში უამრავი გუნდია და რეგიონალური პრინციპით ჯგუფებადაა განაწილებული. „კახასოლი" D ჯგუფშია. 17 ტურის შემდეგ სევილიელებს 7 მოგება აქვთ და სატურნირო ცხრილში მერვე ადგილზე არიან.

ამავე ლიგაში შარშან თამაშობდნენ **თორნიკე შენგელია, გიორგი შარაბიძე, კოკა ტომარაძე, მიხეილ ბერიშვილი, გრიგოლ შვანგირაძე**... წლეულს ება-ში ბურჯანაძის გარდა მხოლოდ შვანგირაძე ირჯება. მისი „სან ისიდორო" B ჯგუფის წარმომადგენელია, 4 მოგების წილ 21 წაგება აქვს და სატურნირო ცხრილში ბოლო, მე-16 ადგილზეა.

25-ე ტურში „სან ისიდორო" „ტორელოდონესთან" სტუმრად 71:93 დამარცხდა. გრიგოლ შვანგირაძემ 8 წუთში 6 ქულა და 1 მოხსნა მოაგროვა.

**ვაჟა სიმონიშვილი**

ცენტრების პრობლემები

# რიჩარდი ვარჯიშს შეუდგა



თსუ-ს ლიდერ **რიჩარდ მათიაშვილს** 19 თებერვლის მერე არ უთამაშია. მას ვირუსი ჰქონდა, რომელიც გაურთულდა და ექიმებმა დატვირთვები აუკრძალეს. მან ვარჯიში ორშაბათს განაახლა და შესაძლოა, შსს-ს წინააღმდეგ შაბათის მატჩშიც ვიხილოთ.

*- ვირუსი შემეყარა, რომელმაც ელენთასა და ღვიძლზე იმოქმედა და დატვირთვები არ შეიძლებოდა. სრული დატვირთვით ჯერაც ვერ ვვარჯიშობ, თუმცა თუ გუნდს დასჭირდა, შაბათს შესაძლოა, მოედანზე გამოვიდე,* - გვითხრა რიჩარდმა.

■ ■ ■

აქვე შსს-ს მეფარე **დავით იმნაძეზე** უნდა ვთქვათ. მას მუხლის ტრავმა აქვს, თუმცა გუნდის ხელმძღვანელობამ სამკურნალოდ საჭირო ყველა პირობა შეუქმნა და უახლოეს მატჩებში მოედანზე მასაც ვიხილავთ.

**ვაჟა სიმონიშვილი**

საქართველოს 16-წლამდელთა ჩემპიონატი

# ფავორიტები სტატუსს ამართლებენ

**ორბი-აკადემია 59:88**

**20:21, 20:25, 10:19, 9:23**

**ორბი:** ბობილევი (11ქ, 18მ, 3დ), ვაჩნაძე, ვეკუა, გუგეშაშვილი (10ქ, 8მ, 6პ), ნემსიწვერიძე, გეგუჩაძე (4ქ), გურაბანიძე, ვაჭარაძე (10ქ), ელისაშვილი, ზაქარაძე (24ქ, 13მ, 6პ, 4ჩ).

**აკადემია:** ლილუაშვილი (10ქ, 5პ, 6ჩ), ლურწკაია, ამირხანაშვილი (30ქ, 8მ), ჯაყელი (4ქ, 5ჩ), ცქიტიშვილი (15ქ, 10მ), ქობალავა (2ქ, 4პ, 6მ), ქართველიშვილი (2ქ), ბარაბაძე, ფაჩუაშვილი (2ქ), ხელაია, ბ. დარახველიძე (21ქ, 7მ, 4პ), ლ. დარახველიძე (2ქ).

**მსაჯები:** დ. ბერეკაშვილი, დ. სადღობელაშვილი.

**თელავი-ზაზა 46:55**

**9:9, 14:9, 12:19, 11:18**

**თელავი:** ხოსიტაშვილი (4ქ), ამონაშვილი (2ქ, 16მ), გურაშვილი (5ქ, 11მ), ხაჩიძე (16ქ, 11მ), იანტბელიძე (1ქ), ბარდანაშვილი, სეთური, ყვარელაშვილი (9ქ, 8მ), ლომიაშვილი (9ქ), აბაშიძე, სოზიაშვილი.

**ზაზა:** კრაველიშვილი, გაგელიძე, კიკნაველიძე, გორდულაძე (13ქ, 9პ, 5ჩ), კაჯაევი (4ქ), პულუზაშვილი (10ქ, 13მ, 8დ), მჭედლიძე (6ქ, 9მ), ცხვარიაშვილი (2ქ), შეყილაძე (4ქ), კენჭიაშვილი (16ქ, 8მ), მარკოზაშვილი, მაისურაძე.

**მსაჯები:** ზ. მაჩალაძე, მ. კუპატაძე.

**ავერსი-ბათუმი 42:76**

**12:21, 14:10, 3:25, 13:20**

**ავერსი:** გოგნაძე (2ქ), ელიზბარაშვილი (8ქ), კაკაბაძე (6ქ), გულდედავა, ტრაპაიძე (4ქ), ბაქრაძე (7ქ, 8მ), ოსკოპელი (7ქ, 8მ, 6ჩ), ფოჩხუა, ჭონიაშვილი, ბალანჩივაძე (8ქ).

**ბათუმი:** პატარაია, ბერიძე (4ქ), ვარშანიძე, ჭეიშვილი (6ქ, 4პ, 10მ), დიასამიძე, მელუა (8ქ, 8მ, 8პ), ემირიძე (22ქ), ბაკურიძე (13ქ, 9მ), კოკობინაძე (23ქ, 22მ).

**მსაჯები:** ზ. მაჩალაძე, მ. კუპატაძე.

**ნიკეა-ფოთი 51:44**

**16:10, 16:14, 11:10, 8:10**

**ნიკეა:** გაგუა, მირზაშვილი (25ქ), ჭოხონელიძე, გაგნიძე (14ქ), კობალავა, გეგეჭკორი, მაჩაიძე (3ქ, 10მ, 4ჩ), ქუნთელია (5ქ, 7მ), კუპრაშვილი (7მ, 9პ), ბულიგინი (4ქ, 4დ, 16მ).

**ფოთი:** სალაყაია (2ქ, 9მ), დარსალია (5ქ, 13მ), მამფორია (11მ), ბერაია (6ქ, 10მ), დარჯანია (8ქ), გარუჩავა, ჯღარკავა (7ქ, 4ჩ), ფაცია (16ქ, 7მ).

**მსაჯები:** მ, კუპატაძე, კ. კუპატაძე.

**დინამო-რუსთავი 2 63:89**

**18:16, 20:18, 17:18, 8:37**

**დინამო:** პატარაია (8ქ), საგიანი (1ქ), გუჯაბიძე, მ. ბულაშვილი (5მ), ბოჭორიშვილი, მაჭარაძე (13ქ, 11მ), ლ. ბულაშვილი, ხუციშვილი (22ქ, 10მ, 5პ, 4ჩ), ისიანი (10ქ, 11მ), სიმონიშვილი, სიფრაშვილი, როსტიაშვილი (9ქ).

**რუსთავი-2:** ბაქრაძე (9ქ, 4ჩ), მეტრეველი (7ქ, 4ჩ), ღვალაძე (1ქ, 8მ), ჩიჩუა (21ქ, 7მ, 6ჩ), გიგაური (12ქ), ჟორდანია (6ქ), ტაბალუა (18ქ), ქობალავა, კორინთელი, თურმანიძე, ბარამიძე (15ქ, 14მ), გოგობერიშვილი.

**მსაჯები:** დ. ბერეკაშვილი, დ. სადღობელაშვილი.

**აგრარული-აკადემია 2 48:39**

**10:8, 7:12, 18:9, 13:10**

**აგრარული:** ჭყონია, სისაური (13ქ, 7მ, 4პ, 4ჩ), ძიძიგური, ანთაძე (20ქ, 7მ), დოლიძე (6მ), ჩხატარაშვლი, ჭაბაშვილი (4ქ, 8მ), წილოსანი (9ქ, 12მ), ლაჩოშვილი (2ქ, 9მ).

**აკადემია 2:** პეტრიაშვილი (6მ), მგალობლიშვილი (1ქ), გოგოლაძე, ცინცაძე (1ქ, 4პ, 8მ, 5ჩ), ედიშერაშვილი (4ქ), მაჭავარიანი (11ქ, 11მ), მასხულია (15ქ), ნონიკაშვილი (2ქ), კობახიძე (5ქ).

**მსაჯები:** დ. ბერეკაშვილი, დ. სადღობელაშვილი.

**A ჯგუფი**

| გუნდი | თ | მ | წ | სხ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| 1. რუსთავი | 8 | 8 | 0 | 735/440 | 16 |
| 2. აგრარული | 8 | 6 | 2 | 541/387 | 14 |
| 3. ქუთაისი | 7 | 6 | 1 | 475/375 | 13 |
| 4. ჰიუნდაი | 7 | 5 | 2 | 514/451 | 12 |
| 5. ნიკეა | 8 | 3 | 5 | 438/536 | 11 |
| 6. ფოთი | 8 | 3 | 5 | 391/441 | 11 |
| 7. სამედიცინო | 8 | 2 | 6 | 417/509 | 10 |
| 8. აკადემია-2 | 8 | 1 | 7 | 327/594 | 9 |
| 9. საბურთალო-161 | 8 | 1 | 7 | 403/508 | 9 |

**B ჯგუფი**

| გუნდი | თ | მ | წ | სხ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| 1. ზაზა | 8 | 6 | 2 | 542/420 | 14 |
| 2. ბათუმი | 7 | 7 | 0 | 562/441 | 14 |
| 3. აკადემია | 6 | 6 | 0 | 479/269 | 12 |
| 4. ავერსი | 8 | 4 | 4 | 435/449 | 12 |
| 5. რუსთავი-2 | 8 | 3 | 5 | 524/561 | 11 |
| 6. თელავი | 7 | 4 | 3 | 394/369 | 11 |
| 7. ორბი | 8 | 3 | 5 | 502/553 | 11 |
| 8. დინამო | 8 | 1 | 7 | 399/612 | 9 |
| 9. მარნეული | 8 | 0 | 8 | 339/502 | 8 |

საინტერესოდ მიმდინარეობს საქართველოს 16-წლამდელთა ჩემპიონატი. ამ სეზონში გუნდების სარეკორდო რაოდენობა შეიკრიბა და ჩემპიონატის ორგანიზატორებმა მათი ორ ჯგუფად გაყოფა გადაწყვიტეს. ორივე ჯგუფი მეტ-ნაკლებად თანაბრადაა დაკომპლექტებული, რაც სატურნირო ცხრილზე აისახება. ორივეგან არიან ფავორიტები, საშუალო გუნდები და აუტსაიდერები.

B ჯგუფის ლიდერებმა „ბათუმმა", „ზაზამ" და „აკადემიამ" ბოლო ტურში, 20 მარტს შესაბამისად „ავერსს", „თელავს" და „ორბს" სძლიეს, რითაც ფავორიტის სტატუსი გაამართლეს.

A ჯგუფს სათავეში უდგანან „აგრარული", „რუსთავი", „ქუთაისი" და „ჰიუნდაი". პლეი ოფში მოხვედრის მთავარი პრეტენდენტებიც ესენი არიან.

ბოლო ტურში არაერთმა კალათბურთელმა გამოიჩინა თავი, თუმცა მეტად ეფექტური სტატისტიკა ბათუმელ **ნიკოლოზ კოკობინაძეს** ჰქონდა: 23 ქულა, 22 მოხსნა, 2 პასი, 2 დაფარება, 1 ჩაჭრა. თვალშისაცემი იყო კადეტთა ნაკრების წინახაზელის **არჩილ პულუზაშვილის** („ზაზა") სტატისტიკა: 10 ქულა, 13 მოხსნა, 8 დაფარება - სამმაგ დუბლამდე ორი დაფარება დააკლდა...

8 ტურის შემდეგ მექულეთა დავაში „ჰიუნდაის" კალათბურთელი **სანდრო ბოლქვაძე** ლიდერობს: საშუალოდ 28 ქულას აგროვებს. მოხსნების საშუალო მაჩვენებლით კი საუკეთესო „ორბის" წევრი **თემურ ზაქარაძეა** - 19.2 მოხსნა. თემური არც მექულეებშია აუტსაიდერი - მხოლოდ ბოლქვაძეს ჩამორჩება: 24.1 ქულა.

**ვაჟა სიმონიშვილი**



ლეგიონი

# სამი 27

„ტარტუ როკი" ბალტიის ლიგას მეოთხედფინალიდან გამოეთიშა და მთელი ყურადღება ესტონეთის პირველობაზე გადაიტანა. „როკერებმა" გუშინ საღამოს სტუმრად ტტუ-სთან ითამაშეს და პირველ პერიოდშივე 10 ქულით დაწინაურდნენ - 27:17. მას მერე ტარტუელებს ინიციატივა ხელიდან არ გაუშვიათ და შეხვედრა მშვიდად მიიყვანეს გამარჯვებამდე - 80:69.

**გიორგი ცინცაძემ** 27 წუთი ითამაშა, 6 ქულა (4-დან 3 ორქულიანი), 5 პასი და 2 მოხსნა ჩაიწერა. 16 ქულით სტუმართაგან **მარეკ დორონინი** გამოირჩა.

კიდევ ერთხელ უნდა დავწეროთ რიცხვი 27: „ტარტუ როკს" ესტონეთის ჩემპიონატში 27-ე გამარჯვება მოუგროვდა (3 წაგების წილ). იგი სატურნირო ცხრილში მეორე ადგილზეა, თუმცა 28 მოგების მქონე „კალევს" ერთით მეტი მატჩი აქვს ჩატარებული.

26 მარტს ცინცაძის გუნდი „რაკვერეს" უმასპინძლებს.

**ვაჟა სიმონიშვილი**

## „სოხუმი" უქომაგებს საქართველოს საფეხბურთო ნაკრებს

საკალათბურთო კლუბი „სოხუმი" მთლიანი შემადგენლობით 26 მარტს დაესწრება საქართველოსა და ხორვატიის საფეხბურთო ნაკრებების თამაშს და უქომაგებს ქართველ ფეხბურთელებს. ამის შესახებ „ლელოს" აუწყა კლუბ „სოხუმის" პრესსამსახურის უფროსმა **თენგიზ პაჭკორიამ.**

- საქართველოს ნაკრებს უქომაგებენ სოხუმის კალათბურთელები, მწვრთნელები, სამედიცინო პერსონალი და ადმინისტრაციის წევრები. გულშემატკივართა შორის იქნებიან ამერიკელი ლეგიონერები **იუჯინ ჰარისი,** ძმები **რიჩარდ** და **კარლ დამუსები.** „სოხუმის" და ლატვიის საკალათბურთო ნაკრების მთავარი მწვრთნელი **აინარს ბაგატსკისი** თვლის, რომ საქართველოს ნაკრები ხორვატიასთან აჩვენებს ლამაზ და შინაარსიან თამაშს და მიაღწევს სასურველ შედეგს - თქვა თენგიზ პაჭკორიამ.





ლელო წარმოგიდგენთ
ქართული სპორტული ქრონიკები

ეროვნული ბიბლიოთეკა

## სპორტის ხალხური სახეობები

# ლახტი



რევაზ თარხან-მოურავი. „ლახტი". 1960 წ.



ლადო ბუხაიძე. „ლახტის მოთამაშე". 1979 წ.

საქართველოს სხვადასხვა კუთხეში გავრცელებული ხალხური თამაში. მოთამაშენი ორ გუნდად იყოფიან. თითოეულ გუნდში 5-5 ან 6-6 მოთამაშეა. შემოხაზავენ 6-8 ნაბიჯის სიგანის წრეს, კენჭს იყრიან და, რომელსაც შეხვდება, ის გუნდი წრეში ჩადგება. თამაშისთვის საჭიროა იმდენი ქამარი, რამდენი წყვილი მონაწილეცაა. დამცველები წრეში, ერთმანეთისგან თანაბარი მანძილის დაშორებით დაალაგებენ ქამრებს ისე, რომ ბალთა ხაზს ეხებოდეს, წვერი კი ცენტრისკენ იყოს მიქცეული და წრეში ჩადგებიან. მათ ქამარზე ფეხის დადგმის უფლება არა აქვთ. თავდამსხმელები გარშემო უვლიან და წრიდან ლახტის გამოტაცებას ცდილობენ. თუ ერთი ქამრის ხელში ჩაგდება მაინც მოახერხეს, დანარჩენებს უკვე ადვილად გაიტაცებენ, რადგან შეუძლიათ, გატაცებული ქამრით დამცველებს წვივებში სცემონ და წრიდან სხვა ქამრებიც გამოიტანონ. შეუძლიათ წრიდან დამცველის გამოთრევა და ამით მისი თამაშიდან გამოთიშვაც. როდესაც ყველა ქამარს მოიტაცებენ, თავდამსხმელები იწყებენ მოწინააღმდეგეთა „ახურებას" - ქამრებით მუხლს ქვემოთ ცემას. დამცველს შეუძლია მეტოქისთვის ქამრის წართმევა (უკან დაბრუნებულ ქამარს დააგორგლებენ და დადებენ წრის შუაგულში), მოიერიშის წრეში შეთრევა და ამით მისი თამაშიდან გამოთიშვა ან მოწინააღმდეგის „ჩაჭრა" - მუხლქვევით ტერფის მორტყმა, რაც მოგების ტოლფასია. ამის შემდეგ როლები იცვლება და თამაში თავიდან იწყება.

## სპორტსმენები საკუთარ თავზე...

„მიუხედავად იმისა, რომ კილაძე საოცარი მსროლელი გახლდათ, ტექნიკური და არასპორტული შენიშვნებით მოპოვებული საჯარიმოების სროლას მწვრთნელები მაინც მე მავალებდნენ. მაშინ, სავალდებული არ იყო არასპორტული ჯარიმა დაზარალებულს შეესრულებინა. მეც ნერვებს კარგად ვთოკავდი და არ ყოფილა შემთხვევა ასეთი ჯარიმა ამეცილებინოს. ალბათ იმიტომაც, რომ ბურთს თან მივყვებოდი, წაგებას ძალიან განვიცდიდი".

**გურამ მინაშვილი**



გურამ მინაშვილი (N 6)

## თარიღი 24-30 მარტი

24. 1931 წ. დაიბადა **ზაურ კალოევი**-ფეხბურთი. გარდაიცვალა 1997 წელს
24. 1929 წ. დაიბადა **პეტრე მშვენიერაძე**-წყალბურთი. გარდაიცვალა 2003 წელს
24. 1953 წ. დაიბადა **ოთარ გაბელია**-ფეხბურთი
24. 1974 წ. დაიბადა **იოსებ ახალბედაშვილი**-სამბო
25. 1949 წ. დაიბადა **მანუჩარ მაჩაიძე**-ფეხბურთი
25. 1962 წ. დაიბადა **ემზარ გელაშვილი**-ველოსპორტი
26. 1934 წ. დაიბადა **ანზორ კიკნაძე**-ძიუდო. გარდაიცვალა 1976 წელს
26. 1938 წ. დაიბადა **ანატოლი მილჩენკო**-ფეხბურთი (მსაჯი)
28. 1976 წ. დაიბადა **ტარიელ მელელაშვილი**-ბ/რ ჭიდაობა
28. 1981 წ. დაიბადა **სოფიკო ახმეტელი**-სამთო თხილამურები
28. 1934 წ. დაიბადა **რევაზ ცირეკიძე**-ფარიკაობა. გარდაიცვალა 2007 წელს
28. 1937 წ. დაიბადა **დავით გვანცელაძე**-ბ/რ ჭიდაობა. გარდაიცვალა 1984 წელს
29. 1929 წ. დაიბადა **გივი კარტოზია**-ბ/რ ჭიდაობა. გარდაიცვალა 1998 წელს
29. 1925 წ. დაიბადა **დავით ციმაკურიძე**-თავ. ჭიდაობა. გარდაიცვალა 2005 წელს
30. 1930 წ. დაიბადა **ანატოლი ნორაკიძე**-ფეხბურთი. გარდაიცვალა 1995 წელს.



თავით ურტყამს ზაურ კალოევი

## პირველი, პირველმა, პირველად

**პირველი** გახმაურებული სოლიდური მატჩი ჭადრაკში თბილისში გაიმართა 1878 წელს. პეტერბურგიდან ჩამოსული რუსეთის ლეიბგვარდიის ოფიცერი **ანდრია დადიანი** (სამეგრელოს უკანასკნელი მთავრისა და ეკატერინე ჭავჭავაძის შვილი) შეხვდა თბილისის სასამართლოს პალატის წევრ **ალექსანდრე სმიტენს**. ქართველმა თავადმა 14 პარტიიდან 7 მოიგო, 6 წააგო და ერთი ყაიმით დასრულა.

**პირველმა** მხატვრული ტანვარჯიშის ქართველი ოსტატებიდან პირად პირველობაში მსოფლიოს ჩემპიონის (1979 წ) ტიტული მოიპოვა **ირინე გაბაშვილმა** (ბურთით ვარჯიში), მრავალჭიდში კი ბრინჯაოს მედალი ხვდა.

**პირველად** საქართველოდან სპორტულ თემაზე გადაღებული დოკუმენტური ფილმი სპორტული ფილმების საერთაშორისო ფესტივალში მონაწილეობდა 1947 წელს ვენეციაში. ეს იყო **ვლადიმერ ვალიშვილის** ნამუშევარი, რომელიც გამოჩენილ მთამსვლელს **ალიოშა ჯაფარიძეს** მიეძღვნა.

## ეს საინტერესოა...

ერთ დროს ქართული ჭიდაობის რიტუალში შედიოდა ცეკვა. უნდა ეცეკვა გამარჯვებულს და დამარცხებულსაც. ამიტომაც არის ქართული ხალხური ცეკვების მარაქაში ცეკვა „ჭიდაობა".

## თქვენთვის, ერუდიტებო! ვიქტორინა

**1. სად გვხვდება სიტყვები: „სხვათა მძლეველი თვით უძლეველი, მძლედ მორკინალი"...**

ა — „ვეფხისტყაოსანში"
ბ — „ქართლის ცხოვრებაში"
გ — „ამირანდარეჯანიანში"

**2. რამდენჯერ გახდა მსოფლიოს ჩემპიონი ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში როსტომ აბაშიძე?**

ა — ორჯერ
ბ — სამჯერ
გ — ოთხჯერ

**3. სპორტის რომელი სახეობით დაიწყო სპორტულ სარბიელზე გამოსვლა ოთარ ქორქიამ?**

ა — მძლეოსნობით
ბ — ფრენბურთით
გ — კალათბურთით

**4. დამოუკიდებელი საქართველოს სახელით მოჭადრაკე ქალთა ნაკრებმა პირველად რომელ წელს მოიპოვა საჭადრაკო ოლიმპიადაზე მსოფლიოში უძლიერესის სახელი?**

ა — 1991 წელს
ბ — 1992 წელს
გ — 1994 წელს

**5. ოლიმპიური თამაშების რომელი ხარისხის მედლის მფლობელია მძლეოსანი (სპრინტი) მაია აზარაშვილი?**

ა — ოქროსი
ბ — ვერცხლის
გ — ბრინჯაოსი

პასუხები: 1-გ, 2-ბ, 3-ა, 4-ბ, 5-გ

## იყო ასეთი შემთხვევა...

„გავიხსენებ „დათა თუთაშხიაზე" მუშაობის დროს მომხდარ ერთ ამბავს, როცა სპორტთან, კერძოდ კი ცურვასთან ძველმა მეგობრობამ გადამარჩინა. ვიღებდით ეპიზოდს, სადაც ფილმის ერთ-ერთი პერსონაჟი, რომელსაც ნოდარ მგალობლიშვილი განასახიერებდა, ტივით მტკვარზე უნდა გადაგვეყვანა. არ ვიცი, მეტისმეტად შეიჭრა როლში, არ ვიცი, რაიმე სხვა მიზეზით, ნოდარი მართლაც ავად გახდა და მისი წყალში შესვლა არ იყო მიზანშეწონილი. მაგრამ ვინაიდან ოპერატორი შორი ხედით გვიღებდა, მსახიობის შეცვლა დიდ სირთულეს არ წარმოადგენდა. დუბლიორის როლი იკისრა გადამღები ჯგუფის მუშამ, რომელიც სათანადოდ „მოკაზმეს" და ტივზე — სამ ერთმანეთზე მიჭედებულ მორზე — დააწვინეს. წყალში შევცურეთ, გადაღება დაიწყო. მტკვარი ადიდებული იყო და დინებაც საკმაოდ სწრაფი გახლდათ. შუა მდინარეში ვიყავით, როცა ნაპირიდან დაგვიძახეს, გადაღებულია, შეგიძლიათ უკან დაბრუნდეთო. თანაც გაგვაფრთხილეს, ტივს უკან ველარ წამოათრევთ და ისე გამოცურეთო. ის-ის იყო, წყალში მყოფთ ხელი უნდა გაგვეშვა ტივისთვის, რომ ამ თავგამოდებულმა დუბლიორმა ათრთოლებული ხმით გაგვანდო, ცურვა არ ვიციო. არადა, იმ ადგილას მდინარე მკვეთრად, თითქმის ოთხმოცდაათი გრადუსით იცვლიდა მიმართულებას და დინებას რომ წავყოლოდით, პირდაპირ კლდეს შევასკდებოდით. რის ვაი-ვაგლახით მოვახერხეთ ტივის შედარებით მდორე დინებაში შეცურება. დღესაც არ ვიცი, როგორ გადავრჩით, ის კი მახსოვს, ნაპირზე გამოსულებმა კარგა ხანს სული რომ ვერ მოვითქვით".

**ოთარ მელვინეთუხუცესი**

# კროსვორდი



**თარაზულად:** 1. ქალაქი, სადაც ზამთრის მომავალი ოლიმპიური თამაშები უნდა გაიმართოს; 3. საჩხერის საფეხბურთო გუნდი; 9. საჭადრაკო რეიტინგების ავტორი; 10. მოჭიდავეთა მწვრთნელი, მარლენ...; 11. ინგლისელი მოგზაური, რომელმაც არგონავტების მარშრუტი გაიმეორა; 12. დიდი ბრიტანეთის ნაწილი, მორაგბეებით განთქმული; 13. შეჯიბრება ავტომობილებით რბოლაში; 15. სამთო-სათხილამურო კომპლექსი საქართველოში; 18. შეჯიბრებაში დაწინაურებული; 20. ლუკა კურტანიძის აღმზრდელი მწვრთნელი; 21. ბერძნულ-რომაული სტილის ვეტერანი ქართველი მოჭიდავე, ომარ...; 24. ზამთრის XI ოლიმპიადის მასპინძელი ქალაქი; 25. ავტოსპორტის საერთაშორისო ფედერაცია (აბრევიატურა); 26. ბერძნულ მითოლოგიაში გამარჯვების ქალღმერთი; 27. კარატეს ერთ-ერთი ფუძემდებელი საქართველოში; 28. ქართველი ოლიმპიური ჩემპიონი, ფრენბურთელი; 29. ტრადიციული დოლი სამწლიანი წმინდა სისხლის ფაშატებით, დაწესებული ლორდ დერბის მიერ; 30. ფალავანთა აღმზრდელი ცნობილი ქართველი მწვრთნელი, ვასილ...

**შვეულად:** 1. ორგანიზაცია ან ფიზიკური პირი, რომელიც აფინანსებს სპორტულ ღონისძიებებს; 2. თსუ-ს კალათბურთის გუნდის მთავარი მწვრთნელი; 4. ლეგენდარული მეკარე, ლევ...; 5. რუსეთის "კრასნოდარის" ქართველი კაპიტანი; 6. რუსთავის ყოფილი საფეხბურთო კლუბი; 7. თბილისის ყოფილი საფეხბურთო კლუბი; 13. ლანჩხუთის საფეხბურთო კლუბი; 16. საქართველოში ფარიკაობის ერთ-ერთი ფუძემდებელი; 17. ვეტერანი ქართველი ფეხბურთელი, მეკარე; 19. ქობულეთის „შუქურაში" ფეხადგმული ცნობილი ვეტერანი ფეხბურთელი; 22. სპორტული ნაწარმის ფირმა; 23. წნორის ყოფილი საფეხბურთო გუნდი; 24. აკრობატული ნახტომის სახეობა.

## ფოტომატიანე

ეს სურათი 1983 წელსაა გადაღებული იუნიორთა შორის საბჭოთა კავშირის პირველობაზე ძიუდოში ქ. ბრიანსკში. საქართველოდან სამმა ახალგაზრდა ფალავანმა იზეიმა გამარჯვება და სამივე საქართველოში და გორში ძიუდოს ერთ-ერთი ფუძემდებლის **გურამ პაპიტაშვილის** შეგირდი იყო— **ანზორ თენაძე, ენგურ გოგიჩაიშვილი და კობა კურტანიძე.** მე ვთხოვე და ამას წინათ, ეს და სხვა ისტორიული ფოტოები გურამ პაპიტაშვილმა გამომიგზავნა ჩემი მომავალი წიგნისთვის. წიგნის გამოსვლამდე რამდენიმე ფოტო მინდა „ლელოს" მკითხველმა იხილოს „ქართული ქრონიკების" გამოშვებებში რუბრიკით „ფოტომატიანე".

**გურამ სალარაძე**



მარცხნიდან: ანზორ თენაძე, ენგურ გოგიჩაიშვილი და კობა კურტანიძე

გვერდი მომზადებულია თენგიზ თომაშვილის პროექტით

ძიუდო. ჭაბუკთა ნაკრები

# ვაზაგაშვილი კმაყოფილია

ძიუდოს აკადემიის დარბაზში გუშინ ღია ვარჯიში გამართა ჭაბუკთა ნაკრებმა, რომელმაც ამ უქმეებზე დიდი წარმატებით იჭიდავა ანთალიაში ჩატარებულ ევროპის თასზე. **გიორგი ვაზაგაშვილის** შეგირდებმა იქ 14 მედალი მოიპოვეს. აქედან 5-5 ოქრო-ბრინჯაოა, 4 – ვერცხლი. ტურნირის ჩემპიონები **თამაზ კირაკოზაშვილი** (60), **ლევან გუგავა** (73), **ბექა ღვინიაშვილი** (81), **შალვა ჩოჩელი** (90) და **გიორგი ლაზუაშვილი** (+90) გახდნენ. **აპოლონ ზურაბიანი** (66), **ბექა დონლვანი** (73), **ადამ ვარაზაშვილი** (81) და **გიორგი გელაშვილი** (+90) მეორეზე გავიდნენ, **გოდერძი ფეტვიაშვილი** (55), **დავით ჭიკაიძე** (66), **ჯაბა მუმლაძე** (81), **ჯაბა კაპანაძე** (90) და **ზაზა ხუბულური** (+90) კი ბრინჯაოს დაეუფლნენ. აქვე დავამატებთ, რომ ანთალიაში მედლები ქართველმა გოგოებმაც მოიპოვეს – **მარიამ ჯანაშვილი** (57) ჩემპიონი გახდა, **მარიამ ციხელაშვილი** კი ამავე წონაში მესამე იყო.

ვაზაგაშვილმა ანთალიაში გაფართოებული შემადგენლობა წაიყვანა – რაკილა მწვრთნელის რანგში ეს მისთვის პირველი უცხოური ტურნირი იყო, ხოლო შეგირდების შესამოწმებლად ბევრი შეჯიბრება არც საშინაო ასპარეზზე ჰქონია, გადაწყვიტა, თურქეთში ქვეყნის ყველა მედალოსანი გამოეცადა. იმ 32 კაცს ნ საკუთარი ხარჯითაც დაემატა, რომელთაგანაც ერთი ბრინჯაოს პრიზიორი ფეტვიაშვილია. საინტერესოა, რომ მან საქართველოს ჩემპიონატზე 60-ში იჭიდავა და მეხუთეზე გავიდა, ანთალიაში კი ვაზაგაშვილმა ქვედა წონაში ასპარეზობა მოსთხოვა. მისმა მოთხოვნამ გაამართლა კიდეც. მწვრთნელი ივნისის ბოლოს მალტურ კოტონერაში გასამართ ევროპის ჩემპიონატზე წასაყვან შემადგენლობას არჩევს. ამ თვალსაზრისით, მისთვის უთუოდ ნიშანდობლივია კირაკოზაშვილის, ღვინიაშვილის, ჩოჩელისა და ლაზუაშვილის ოქროები – მათ საქართველოს ჩემპიონატიც მოიგეს. მას ფრიად გაუცრუეს იმედები 50-ის და 55-ის ფალავნებმა – საქართველოს ვერც ერთი მედალოსანი სამეულში ვერ მოხვდა, ხოლო ფეტვიაშვილი როგორ ალმოჩნდა 55-ში, უკვე გითხარით. 60-66-ის წარმომადგენლებმა მეტ-ნაკლებად დამაიმედებლად იჭიდავეს, თუმცა ვაზაგაშვილს იმედები ყველაზე მეტად ზედა ოთხი წონის ფალავნებმა გაუმართლეს, სადაც კვარცხლბეკზე ჩვენებურები ჭარბობდნენ. ამათგან 90-ის გარდა, დანარჩენ სამში ქართული ფინალი გაიმართა, 73-ში კი ნახევარფინალში ოთხივე ქართველი ჭიდაობდა.

აქედან გამომდინარე, მწვრთნელის კმაყოფილება გასაკვირიც არაა, თუმცა არც ის დაუმალავს, ამის გამო ეიფორიას არ უნდა მივეცეთ, რადგან ევროპის პირველობა სულ სხვა, ბევრად რთული შეჯიბრებააო. ვარჯიშის დასრულების შემდეგ კომენტარი ვთხოვეთ.

*„შედეგებით კმაყოფილი ვარ, ბიჭებმა მაქსიმუმი გამოავლინეს. ზოგიერთი უცხოეთში პირველად ჭიდაობდა, ამას კი ყოველთვის ახლავს თავისებური დაძაბულობა. ამ ასაკის მოზარდებს ხშირად თუ მიეცემათ ასეთი დონის ტურნირებში გამოსვლის შესაძლებლობა, შედეგი ნამდვილად იქნება. გაიმარჯვეს იმათ, ვისგანაც ველოდით კიდეც წარმატებას. ოთხი მათგანი, პარალელურად, საქართველოს ჩემპიონიცაა ანუ დაამტკიცეს, რომ ქვეყნის პირველობა შემთხვევით არ მოუგიათ, თუმცა ამჯერად ვინმეს გამოყოფისგან თავს შევიკავებ.*

*ანთალიაში 14 ნაკრები გამოდიოდა და რუსების გარდა, ყველა უძლიერესი შემადგენლობით ჭიდაობდა. თუმცა სამომავლო გეგმებს მთლად ამ შედეგ ზეც ნუ ავაგებთ – წინ კიევის ევროპის თასია, მერე – ადგილობრივი შეჯიბრებები გორსა და ბორჯომში. ვნახოთ, როგორ გამოვლენ ბიჭები. კიევში დაახლოებით 12-13 კაცით წავალთ. მათ შორის აუცილებლად იქნებიან ანთალიაში გაჩემპიონებული ბიჭები, მაგრამ საბოლოო შემადგენლობა ჯერ არაა ცნობილი. რადგან ნაკრების კანდიდატთა უმეტესობა მოსწავლეა, ჯერჯერობით მათი ერთად შეკრება არ ხერხდება, მაგრამ 25 აპრილიდან ბაკურიანში წავალთ საერთო ფიზმომზადებისთვის განკუთვნილ შეკრებაზე. საბედნიეროდ, ამ მხრივ გვეხმარებიან და ევროპის პირველობამდე კიდევ მოვაწყობთ შეკრებას“* - გვითხრა ვაზაგაშვილმა.



**ირაკლი თავაძე**

მშვილდოსნობა

# წარმატება და დანაკლისი



ესპანურ კამბრილსში დაწყებულ მშვილდოსანთა ევროპის ზამთრის პირველობაზე ჩვენებურთაგან ყველაზე უკეთ **ხათუნა ნარიმანიძე** გაისარჯა. გუშინ გამართულ საკვალიფიკაციო ეტაპზე მას მეხუთე შედეგი აღმოაჩნდა – 577 ქულა. ამდენივე დააგროვა რუსმა **ნატალია ერდენიევამაც**, მაგრამ ჩვენებურმა გადასროლაში აჯობა. 563 ქულა გააკეთა **ქრისტინე ესებუამ**, რაც მე-18 მაჩვენებელი გამოდგა. მას ორი ქულით და ერთი საფეხურით ჩამორჩა **ასმათ დიასამიძე**. გუნდურ ჩათვლაში ჩვენი ნაკრები 1701 ქულით მეოთხეზე გავიდა.

ტურნირში 24 მონაწილეა, რის გამოც პირად პირველობაში პლეი ოფი მეთექვსმეტედფინალიდან დაიწყო, ოღონდ რვა საუკეთესო მსროლელი პირველი ეტაპისგან თავისუფალი იყო. მათ შორის – ნარიმანიძეც, ესებუამ და დიასამიძემ კი, დანარჩენების მსგავსად, პირველ წრეში გუშინვე ისროლეს. სამწუხაროდ, ეს ბარიერი მხოლოდ ესებუამ გადალახა – იტალიელ **ელენა ტონეტას** სეტებში 6:2 მოუგო. დიასამიძე იმავე ანგარიშით პოლონელ **ნატალია ლესნიაკთან** დამარცხდა.

პლეი ოფის დანარჩენი შეხვედრები დღეს გაიმართება. ნარიმანიძე დანიელ **ლოუის ლაურსენს** გაეჯიბრება, ესებუას კი კიდევ ერთი იტალიელი ხვდება, ოღონდ პირველზე ბევრად მრისხანე – მოლდოვიდან გათხოვილი მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი **ნატალია ვალეევა**. გუნდურ პირველობაში პლეი ოფები ხვალ ჩატარდება, ჩვენები კი პირველ წრეში მეხუთეადგილოსან პოლონელებს ხვდებიან.

**ირაკლი თავაძე**

ჭადრაკი

# ნულებიც გამოგვერია

ფრანგულ ექს-ლე-ბენში მოჭადრაკე ვაჟთა ევროპის ჩემპიონატის პირველმა ტურმა დაგვარწმუნა, რომ ფავორიტებს იოლი გასეირნების იმედი არ უნდა ჰქონდეთ. დასტურად **ტერიე-ჯობავას, სვიდლერ-ზისკას, ნავარა-კოლინის, პოტაპოვ-ვიტიუგოვის, იაკოვენკო-სმირნოვის, ვოიტაჩეკ-როსეს** პარტიებიც გამოდგება. იმის მიუხედავად, რომ 2700-იანთა კლუბის წევრები რეიტინგში თითქმის სამასი პუნქტით უსწრებდნენ მეტოქეებს, ექვსიდან ხუთი ორთაბრძოლა ყაიმით დამთავრდა, იაკოვენკო კი სულაც დამარცხდა.

ელიტის წარმომადგენლები, ალბათ, პირველი ტურის შედეგებს გაითვალისწინებენ და მომდევნო შეხვედრებში უფრო აგრესიულად ითამაშებენ. რაც შეეხებათ ჩვენებურებს, პირველი ბარიერი მათ წარმატებით გადალახეს: 6 მოგება და 2 ყაიმი ურიგო შედეგი არ არის, თუმცა უნდა გავითვალისწინოთ ისიც, რომ ქართველთა უმეტესობას პირველ ტურში სუსტი მეტოქეები ჰყავდა. ცალკე უნდა გამოიყოს საქართველოს წლევანდელი ჩემპიონის **დავით ზარქუას** (2397) შავი ფიგურებით კარგი თამაში **ვლადიმირ აკოფიანის** (2675) წინააღმდეგ. გამოცდილი სომეხი დიდოსტატი, მიუხედავად რეიტინგში დიდი სხვაობისა, ვერაფერს გახდა ქართველ ოსტატთან და ყაიმს დასჯერდა.

გუშინ მე-2 ტურის პარტიები გვიან ღამით დამთავრდა. გაუწყებთ ქართველთა შედეგებს: მიხეილ ქობალია (რუსეთი, 2673)-**თორნიკე სანიკიძე** (2542) 1:0, **დავით ლობჟანიძე** (2489)-სერგეი ვოლკოვი (რუსეთი, 2621) 1:0, **ლუკა პაიჭაძე** (2487)-ბორის სავჩენკო (რუსეთი, 2616) 0:1, **სალომე მელია** (2462)-ემილიან პარლიგრასი (რუმინეთი, 2598) 0:1, **ლევან ფანცულაია** (2595)-რობინ ვანი (ჰოლანდია, 2456) 1:0, **ლელა ჯავახიშვილი** (2437)-ნიჯათ მამედოვი (აზერბაიჯანი, 2583) 1:0, **ბაადურ ჯობავა** (2707)-ალექსანდრ პოტაპოვი (რუსეთი, 2425) 0.5:0.5, **დავით ზარქუა** (2397)-ტომი ნიბაკი (ფინეთი, 2656) 0:1. როგორც ხედავთ, ჩვენებმა სამი პარტია კი მოიგეს, მაგრამ მეორე ტურში 4 მარცხი სახარბიელო სულაც არ არის.

**ვაჟა დანელია**

# და კვარტეტს შეუერთდა

ტაშკენტში უზბეკეთის პირველი დიდოსტატის — **გიორგი აგზამოვის** მე-5 საერთაშორისო მემორიალის მე-6 ტურში ერთპიროვნული ლიდერი **მიხეილ მჭედლიშვილი** შავი ფიგურებით რუს **ევგენი ალექსეევს** დაუზავდა. ჩვენებურის ამ შეფერხებით ისარგებლეს მისმა უახლოესმა მდევრებმა და მჭედლიშვილს ოთხი კონკურენტი წამოეწია: სომეხმა **ტიგრან პეტროსიანმა** შავებით ინდონეზიელ **ირინე კარიშმა სუკანდარს** მოუგო, **მურთაზ კაჟგალიევმა** (ყაზახეთი) **ალექსეი ბარსოვი** (უზბეკეთი) დაამარცხა, **იური კუზუბოვმა** (უკრაინა)-**ალსან აიტბაიევი** (ყაზახეთი), **მაქსიმ ტუროვმა** (რუსეთი)-**სუსანტო მეგარანტო** (ინდონეზია). ოთხქულიანებიდან მხოლოდ **ანტონ ფილიპოვი** (უზბეკეთი) და **მიხაელ როისი** (ისრაელი) შეთანხმდნენ ყაიმზე.

ამდენად, 5-5 ქულით მჭედლიშვილთან ერთად პირველ-მეხუთე ადგილებს პეტროსიანი, ტუროვი, კუზუბოვი და კაჟგალიევი იყოფენ. 9 მოჭადრაკეს 4,5-4,5 ქულა აქვს. ლიდერთაგან დღეს მე-7 ტურში ითამაშებენ: პეტროსიანი-ტუროვი, მჭედლიშვილი-კუზუბოვი, მიროშნიჩენკო (4,5)-კაჟგალიევი, ხოროშევი (4,5)-ფილიპოვი (4,5), როისი (4,5)-ეგინი (4,5), ხოლმირზაევი (4,5)-ჯუმაბაიევი (4,5)...

**ვაჟა დანელია**

# წარმოგიდგენთ!

ვაგრძელებთ რაგბიში წლევანდელ ეროვნულ ჩემპიონატში უმაღლესი ლიგის გუნდების განაცხადების გამოქვეყნებას. დღეს „არმაზს“ და „არმიას“ წარმოგიდგენთ.

**არმაზი**

| გვარი | სახელი | დაბ. წელი | ... თარიღი | სიმაღლე | წონა | ამპლუა |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | | ბეკები | | | |
| კოტორაშვილი | გიორგი | 1991 | 30/09 | 175 | 75 | ფულბეკი |
| ჩხაიძე | ვაჟა | 1986 | 19/10 | 178 | 84 | გარემარბი |
| ბილანიშვილი | ოთარ | 1988 | 05/11 | 177 | 70 | გარემარბი |
| ხუციშვილი | ალეკო | 1992 | 02/09 | 188 | 87 | გარემარბი |
| სირაძე | ლაშა | 1992 | 04/12 | 170 | 82 | გარემარბი |
| მოდებაძე | მიხეილ | 1992 | 06/01 | 165 | 75 | გარემარბი |
| კაიფაჯიანი | ვილიამ | 1986 | 01/05 | 180 | 100 | შუამარბი |
| გაბროშვილი | ვანო | 1991 | 18/08 | 188 | 90 | შუამარბი |
| კიკნაძე | დავით | 1979 | 05/10 | 178 | 84 | მგეზავი |
| ელერდაშვილი | ბექა | 1989 | 24/08 | 182 | 82 | მგეზავი |
| მჟავანაძე | გიორგი | 1985 | 11/06 | 177 | 80 | ჰავბეკი |
| მისრიაშვილი | გიორგი | 1992 | 20/02 | 170 | 93 | ჰავბეკი |
| | | | ფორვარდები | | | |
| ბუკია | ირაკლი | 1985 | 10/01 | 176 | 110 | ბურჯი |
| სოსელია | გიორგი | 1986 | 15/05 | 182 | 115 | კვაჭი |
| ესართია | ზვიად | 1990 | 15/11 | 187 | 110 | ბურჯი |
| ბეჟიტაშვილი | როინ | 1991 | 03/04 | 177 | 103 | ბურჯი |
| რობაქიძე | თორნიკე | 1992 | 12/08 | 187 | 108 | ბურჯი |
| პაპუაშვილი | რობიკო | 1992 | 11/08 | 181 | 101 | ბურჯი |
| ჭელიძე | გიორგი | 1979 | 21/06 | 190 | 100 | მხტომელი |
| ჯიშკარიანი | ბექა | 1987 | 09/07 | 188 | 108 | მხტომელი |
| ბაბალაშვილი | ნიკა | 1992 | 06/12 | 192 | 110 | მხტომელი |
| კანდელაკი | შოთა | 1985 | 07/08 | 190 | 100 | ფრთა |
| მინაშვილი | ოთარ | 1985 | 21/02 | 189 | 100 | ფრთა |
| ლეკბორაშვილი | მიხეილ | 1988 | 26/03 | 178 | 85 | ფრთა |
| თიგიშვილი | ვალიკო | 1990 | 23/04 | 186 | 103 | შემკვრელი |
| ჯიშკარიანი | ჯაბა | 1991 | 30/04 | 191 | 115 | ფრთა |
| ჟღენტი | რევაზ | 1991 | 09/02 | 190 | 116 | შემკვრელი |
| ჩომახაშვილი | ირაკლი | 1991 | 11/07 | 182 | 103 | ფრთა |
| თაგაური | ვაჟა | 1992 | 25/07 | 178 | 95 | ფრთა |
| | | | ფუნქციონერები | | | |
| სოსელია | გია | | | პრეზიდენტი | | 871 41 41 03 |
| პინაიშვილი | ზურაბ | | | მენეჯერი | | |
| ვართანიანი | დავით | | | მწვრთნელი | | |
| კიკნაძე | დავით | | | მწვრთნელი | | |

**არმია**

| გვარი | სახელი | დაბ. წელი | ... თარიღი | სიმაღლე | წონა | ამპლუა |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | | ბეკები | | | |
| ფერაძე | ირაკლი | 1985 | 04/01 | 182 | 85 | ფულბეკი |
| კობახიძე | გახვა | 1992 | 09/05 | 195 | 88 | ფულბეკი |
| ქავთარაშვილი | არჩილ | 1973 | 16/03 | 180 | 91 | გარემარბი |
| ელიზბარაშვილი | გიორგი | 1984 | 22/01 | 187 | 80 | გარემარბი |
| კიკვიძე | ჯაბა | 1988 | 28/07 | 190 | 110 | გარემარბი |
| ხარაზიშვილი | რამაზ | 1988 | 10/09 | 177 | 74 | გარემარბი |
| ნუცუბიძე | რატი | 1988 | 30/08 | 184 | 83 | შუამარბი |
| მჭედლიძე | თამაზ | 1993 | 17/03 | 195 | 95 | შუამარბი |
| ბაირამაშვილი | ლაშა | 1985 | 24/07 | 181 | 92 | მგეზავი |
| ნინიძე | მამუკა | 1987 | 23/08 | 180 | 75 | მგეზავი |
| ნადარეიშვილი | გიორგი | 1987 | 01/07 | 172 | 70 | მგეზავი |
| ნადარეიშვილი | გივი | 1989 | 29/03 | 177 | 90 | მგეზავი |
| სამხარაძე | ბიძინა | 1983 | 02/10 | 177 | 80 | ჰავბეკი |
| ზაბახიძე | ალეკო | 1987 | 02/03 | 179 | 82 | ჰავბეკი |
| ჯინაშვილი | რამაზ | 1991 | 29/09 | 172 | 77 | ჰავბეკი |
| | | | ფორვარდები | | | |
| ცაბაძე | ლევან | 1973 | 08/01 | 168 | 139 | ბურჯი |
| ჭავჭავაძე | ნიკო | 1975 | 10/12 | 180 | 126 | კვაჭი |
| ქორიძე | ირაკლი | 1984 | 15/12 | 182 | 110 | ბურჯი |
| ნატრიაშვილი | ირაკლი | 1984 | 25/01 | 189 | 107 | კვაჭი |
| კაკოვინი | გიორგი | 1985 | 05/02 | 178 | 105 | ბურჯი |
| ბრეგვაძე | ჯაბა | 1987 | 23/04 | 184 | 103 | კვაჭი |
| შენგელია | ლევან | 1991 | 01/08 | 184 | 115 | ბურჯი |
| მამრიკიშვილი | ბექა | 1992 | 10/03 | 180 | 78 | კვაჭი |
| ხიდეშელი | დავით | 1993 | 23/04 | 172 | 100 | კვაჭი |
| ცხადაძე | მამუკა | 1981 | 17/03 | 190 | 110 | მხტომელი |
| ჩოჩიშვილი | ლადო | 1988 | 09/03 | 199 | 105 | მხტომელი |
| ჟღენტი | გიორგი | 1991 | 01/05 | 189 | 90 | მხტომელი |
| ბიწაძე | ბექა | 1991 | 24/03 | 188 | 100 | მხტომელი |
| ნავროზაშვილი | ზაზა | 1992 | 27/07 | 184 | 95 | მხტომელი |
| კობახიძე | კახა | 1970 | 10/10 | 193 | 105 | შემკვრელი |
| კილასონია | ლადო | 1985 | 18/03 | 176 | 87 | ფრთა |
| დარასელია | ლევან | 1986 | 06/01 | 187 | 90 | ფრთა |
| კალმახელიძე | გიორგი | 1988 | 16/11 | 189 | 92 | ფრთა |
| სურგულაძე | გიორგი | 1988 | 23/02 | 184 | 105 | შემკვრელი |
| მორჩაძე | ჯემალ | 1991 | 03/07 | 184 | 87 | ფრთა |
| | | | ფუნქციონერები | | | |
| ჭავჭავაძე | ნიკო | | | მთავარი მწვრთნელი | | 895 22 72 42 |
| ბოხუა | ბადრი | | | მწვრთნელი | | 895 35 49 49 |
| ცაბაძე | ლევან | | | მწვრთნელი | | 899 20 00 03 |
| კობახიძე | კახა | | | მწვრთნელი | | 877 48 84 84 |
| ლორთქიფანიძე | მინდია | | | დირექტორი | | 877 54 05 40 |
| ხუციშვილი | გიორგი | | | პრეზიდენტი | | 877 55 33 03 |
| გაბრიჩიძე | იოსებ | | | ვიცე პრეზიდენტი | | 877 77 73 77 |

msy.gov.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

## უცხოური სპორტი

● ჩოგბურთი. მაიამის წინ

# მაიამი საჩოგბურთო დედაქალაქია

**ინდიან უელსის სუპერტურნირის დასრულებიდან რამდენიმე დღის შემდეგ სეზონის მეორე მასტერსი დაიწყო, რომელშიც კვლავაც პარალელურად ითამაშებენ საუკეთესო მამაკაცი და ქალი ჩოგბურთელები. მასპინძელი ისევ ამერიკის შეერთებული შტატებია, ოღონდ უკვე არა აღმოსავლეთი, არამედ დასავლეთი სანაპირო.**

**ATP**
**Sony Ericsson Open**
მაიამი (აშშ). ჰარდი
**საპრიზო ფონდი**: 3 645 000 დოლარი

***მონაწილეთა შემადგენლობა***: რაფაელ ნადალი, ნოვაკ ჯოკოვიჩი, როჯერ ფედერერი, რობინ სიოდერლინგი, ენდი მიურეი, დავიდ ფერერი, ტომაშ ბერდიხი, ენდი როდიკი, ფერნანდო ვერდასკო...

მაიამის შემადგენლობა თითქმის არ განსხვავდება ინდიან უელსის მასტერსისგან, რომელიც ცოტა ხნის წინ დასრულდა კალიფორნიაში. მხოლოდ რეიტინგის ზედა ნაწილში მოხდა ერთი ცვლილება, რომელზეც ღირს უფრო დაწვრილებით ლაპარაკი.

**ნოვაკ ჯოკოვიჩმა** გაუსწრო **როჯერ ფედერერს** და მეორე ადგილზე გადავიდა. შეგახსენებთ, რომ სერბმა ჩოგბურთელმა ნახევარფინალში მოუგო ფედერერს და ფინალში - რაფაელ ნადალს. ნოვაკი სერიოზულად არის განწყობილი და აპირებს რეიტინგში პირველობისთვის ბრძოლას. ასე რომ, განტვირთვისთვისა და მოდუნებისთვის მას არ სცალია. „ჯოკერმა" უკვე დაამტკიცა თავისი სერიოზული განწყობა, რადგან წელს ჯერჯერობით არც ერთი მატჩი არ წაუგია. ამიტომაც ფლორიდაში მთავარ ფავორიტად სწორედ ის სახელდება. ხოლო რეიტინგში ცვლილებამ ის გამოიწვია, რომ მაიმიში ფედერერთან ნახევარფინალში თამაში არა ჯოკოვიჩს, არამედ რაფაელ ნადალს მოუწევს.

შარშან ეს ტურნირი ენდი როდიკმა მოიგო, რომელმაც ფინალში **ტომაშ ბერდიხი** დაამარცხა. 2001-2003 წლებში **ანდრე აგასის** ტრიუმფის შემდეგ აქ გაიმარჯვეს: ფედერერმა (ორჯერ), როდიკმა (ორჯერ), ჯოკოვიჩმა, **ნიკოლაი დავიდენკომ** და **ენდი მიურეიმ**.

ასევე ყურადღება უნდა მივაქციოთ ამ ტურნირის უმაღლეს კლასს. სწორედ მაიამის მასტერსი დასახელდა ექვსჯერ ATP-ის წლის საუკეთესო შეჯიბრებად (2002-06, 2008).

**WTA**
**Sony Ericsson Open**
მაიამი (აშშ). ჰარდი
**საპრიზო ფონდი**: 4 500 000 დოლარი

***მონაწილეთა შემადგენლობა***: კაროლინ ვოზნიაცკი, კიმ კლაისტერსი, ვერა ზვონარევა, სამანტა სტოსური, ფრანჩესკა სკიავონე, ელენა იანკოვიჩი, ნა ლი, ვიქტორია აზარენკა, აგნიეშკა რადვანსკა, შაარ პეერი...

WTA-ის რეიტინგის საუკეთესო ორმოცდაათეულის 46 ჩოგბურთელი აპირებს პირველობისთვის ბრძოლას მაიამიში. ეს პრაქტიკულად „დიდი სლემის" ტურნირების დონეა. სხვათა შორის, მეორედ 1996 წლის შემდეგ ამ ტურნირში მონაწილეობას არ მიიღებენ დები **უილიამსები - სერენა** და **ვენუსი** კვლავაც ტრავმების გამო ვერ ახერხებენ კორტზე დაბრუნებას. ეს კი მაიამის ტურნირისთვის სერიოზული დანაკლისია, რადგან ვენუსს აქ სამჯერ გაუმარჯვია, სერენას - ხუთჯერ.

1995 წლიდან მოყოლებული მხოლოდ ორჯერ ვერ ვიხილეთ ფინალში ამერიკელი ჩოგბურთელი. როგორც ჩანს, წელს ეს მესამედ მოხდება, რადგან უილიამსების არყოფნაში მასპინძლებიდან გადამწყვეტ მატჩში მოხვედრის შანსი პრაქტიკულად არავის აქვს.

ინდიან უელსი **კაროლინ ვოზნიაცკიმ** მოიგო. თუ „დიდი სლემის" ჩემპიონატების რვა კვირას ამოვაგდებთ სათვალავიდან, მსოფლიოს საუკეთესო ჩოგბურთელად სწორედ დანიელი უნდა მივიჩნიოთ. ამჯერად ყველა ელოდება მის დაპირისპირებას **კიმ კლაისტერსთან**, რომელსაც ტრავმამ შეუშალა ხელი ინდიან უელსში თავის გამოჩენაში. ბელგიელი მესამედ ეცდება მაიამიში გამარჯვებას.

შეძლებს თუ არა რომელიმე სხვა ჩოგბურთელი ამ ორი ლიდერის ბრძოლაში ჩარევას - ეს დიდი კითხვის ნიშანია. მაგრამ ქალების ჩოგბურთი უფრო მეტად არაპროგნოზირებადია, ვიდრე კაცების, ამიტომაც შეიძლება აქ სენსაციებს ველოდოთ.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**


მაიამიში ჩოგბურთისთვის მოიცალეს

## მაიამი. კაცების ბადე

| 1/64 | 1/32 |
|---|---|
| ნადალი (ესპ, 1) | ნადალი (ესპ, 1) |
| შარდი (საფ) | |
| ნიშიკორი (იაპ) | |
| ფ ლოპესი (ესპ) | |
| ბერანკისი (ლიტ) | |
| ჩელა (არგ, 26) | ჩელა (არგ, 26) |
| დოლგოპოლოვი (უკრ, 21) | დოლგოპოლოვი (უკრ, 21) |
| სეპი (იტა) | |
| ზვერევი (გერ) | |
| გაბაშვილი (რუს) | |
| ბრანდსი (გერ) | |
| ცონგა (საფ, 15) | ცონგა (საფ, 15) |
| ალმაგრო (ესპ, 11) | ალმაგრო (ესპ, 11) |
| ჟილი (პორ) | |
| კაპდევილე (ჩილ) | |
| ფ. მაიერი (გერ) | |
| კარლოვიჩი (ხორ) | |
| მონტანიესი (ესპ, 20) | მონტანიესი (ესპ, 20) |
| გულბისი (ლატ, 28) | გულბისი (ლატ, 28) |
| ბერლოკი (არგ) | |
| სოკი (აშშ) | |
| მანარინო (საფ) | |
| რამირეს იდალგო (ესპ) | |
| ბერდიხი (ჩეხ, 7) | ბერდიხი (ჩეხ, 7) |
| ფედერერი (შვეიც, 3) | ფედერერი (შვეიც, 3) |
| ფონინი (იტა) | |
| შტეპანეკი (ჩეხ) | |
| სტახოვსკი უკრ) | |
| დიმიტროვი (ბულ) | |
| მონაკო (არგ, 32) | მონაკო (არგ, 32) |
| ბალდატისი (კვიპ, 22) | ბალდატისი (კვიპ, 22) |
| კავჩიჩი (ხორ) | |
| ო. როხუსი (ბელ) | |
| რიბა (ესპ) | |
| ლუ (ტაივ) | |
| იუჟნი (ესპ, 13) | იუჟნი (ესპ, 13) |
| მელცერი (ავსტრია, 10) | მელცერი (ავსტრია, 10) |
| პეტცშნერი (გერ) | |
| სერა (საფ) | |
| ტიპსარევიჩი (სერ) | |
| ჰაასე (ჰოლ) | |
| ჩილიჩი (ხორ, 18) | ჩილიჩი (ხორ, 18) |
| სიმონი (საფ, 25) | სიმონი (საფ, 25 |
| ჰარისონი (აშშ) | |
| შუტლერი (გერ) | |
| კუევასი (ურუ) | |
| ბერერი (გერ) | |
| როდიკი (აშშ, 8) | როდიკი (აშშ, 8) |

| 1/32 | 1/64 |
|---|---|
| ფერერი (ესპ, 6) | ფერერი (ესპ, 6) |
| | კენდრიკი (აშშ) |
| | კუნიცინი (რუს) |
| | დევარმანი (ინდ) |
| | სტარაჩე (იტა) |
| რაონიჩი (კან, 31) | რაონიჩი (კან, 31) |
| ლოდრა (საფ, 23) | ლოდრა (საფ, 23) |
| | მალისე (ბელ) |
| | სვიტინგი (აშშ) |
| | ბეკერი (გერ) |
| | გრანოლერსი (ესპ) |
| ვავრინკა (შვეიც, 12) | ვავრინკა (შვეიც, 12) |
| ფიში (აშშ, 14) | ფიში (აშშ, 14) |
| | ბენეტო (საფ) |
| | ხიმენო ტრავერო (ესპ) |
| | ლუბიჩიჩი (ხორ) |
| | ლორენცი (იტა) |
| გასკე (საფ, 17) | გასკე (საფ, 17) |
| კოლშრაიბერი (გერ, 29) | კოლშრაიბერი (გერ, 29) |
| | დელ პოტრო (არგ) |
| | მელო (ბრა) |
| | დოდიგი (ხორ) |
| | გოლუბევი (ყაზ) |
| სიოდერლინგი (შვე, 4) | სიოდერლინგი (შვე, 4) |
| მიურეი (ბრიტ, 5) | მიურეი (ბრიტ, 5) |
| | ჰანესკუ (რუმ) |
| | ბოგომოლოვი (აშშ) |
| | ხირალდო (კოლ) |
| | ანდრეევი (რუს) |
| ისნერი (აშშ, 30) | ისნერი (აშშ, 30) |
| გარსია ლოპესი (ესპ, 24) | გარსია ლოპესი (ესპ, 24) |
| | დავიდენკო (რუს) |
| | ანდერსონი (ს. აფრ) |
| | ტომიჩი (ავსტრა) |
| | ანდუხარი (ესპ) |
| ვერდასკო (ესპ, 9) | ვერდასკო (ესპ, 9) |
| ტროიცკი (სერ, 16) | ტროიცკი (სერ, 16) |
| | კამკე (გერ) |
| | ილჰანი (თურ) |
| | ნიემინენი (ფინ) |
| | კუკუშკინი (ყაზ) |
| კუერი (აშშ, 19) | კუერი (აშშ, 19) |
| ბელუჩი (ბრა, 27) | ბელუჩი (ბრა, 27) |
| | რასელი (აშშ) |
| | ბლეიკი (აშშ) |
| | იანგი (აშშ) |
| | ისტომინი (უზბ) |
| ჯოკოვიჩი (სერ, 2) | ჯოკოვიჩი (სერ, 2) |

უცხოური სპორტი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ევროლიგა. 1/4 ფინალი

# იტალიური ანტირეკორდები

საკალათბურთო ევროლიგაზე მეოთხედფინალური ეტაპი დაიწყო. ისევე როგორც შარშან, ამჯერადაც მეოთხედფინალური სერია სამ მოგებამდე გაგრძელდება. პირველ მატჩებში ოთხივე მასპინძელმა გაიმარჯვა და საკუთარი მოედნის უპირატესობა შეინარჩუნა.

**ოლიმპიაკოსი-მონტეპასკი 89:41**

**24:4, 23:5, 14:13, 28:19**

**ო:** მავროკეფალიდისი (15+7 მოხსნა), ბურუსისი (14+12 მოხსნა+3 დაფარება), სპანულისი (11+5 პასი), ერცეგი (10+6 მოხსნა), ნესტეროვიჩი (9+7 მოხსნა).
**მ:** ლავრინოვიჩი (12), ჰეირსტონი (10).

**სერია: 1-0**

დაუჯერებლად მოჩანს თითქმის თანაბარი ძალის გუნდებს შორის ქულათა ასეთი სხვაობა, მაგრამ ფაქტი ფაქტად რჩება - „ოლიმპიაკოსმა" 48 ქულით (!) დაამარცხა იტალიური კალათბურთის საუკეთესო წარმომადგენელი. პირველი ტაიმის შემდეგ ტაბლოზე ასეთი ანგარიში იყო - 53:9 (!).

**დუშან ივკოვიჩის** შეგირდებმა 55 მოხსნით ევროლიგის პლეი ოფის რეკორდი დაამყარეს. თამაში მაშინ დასრულდა, როცა შეხვედრის სტარტზე „ოლიმპიაკოსმა" 19 უპასუხო ქულა დააგროვა. ცნობისთვის, პირველი ტაიმში 9 ქულისა და სამ მეოთხედში 22 ქულის მოპოვებით „მონტეპასკიმ" ევროლიგის ახალი ანტირეკორდი დაამყარა.

სხვაობა უფრო დიდი იქნებოდა, „ოლიმპიაკოსს" უკეთ რომ ესროლა სამქულიანები და ნაკლები შეცდომა დაეშვა: ბერძნებმა 19-დან მხოლოდ ხუთი შორეული ტყორცნა ჩააგდეს და 17-ჯერ დაკარგეს ბურთი.

„ოლიმპიაკოსმა" 48 ქულით გაიმარჯვა და ესეც პლეი ოფის რეკორდია.

**კ.ლაბორალი-მაკაბი 76:70**

**26:14, 20:18, 15:23, 15:15**

**კ-ლ:** ბარაცი (17+6 მოხსნა), ლოგანი (14+5 პასი), სან ემეტერიო (13), ტელეტოვიჩი (12+11 მოხსნა), უერტასი (8+5 პასი).
**მ:** ჰენდრიქსი (16+16 მოხსნა+4 დაფარება), ელიაჰუ (12+6 მოხსნა), ეიდსონი (11), პერკინსი (10+9 მოხსნა).

**სერია: 1-0**

„კახა ლაბორალმა" პირველი მეოთხედი 17:5 გაქცევით დაასრულა, რომლის დროსაც ბრწყინავდნენ **ტელეტოვიჩი, სან ემეტერიო, ბარაცი** და ლოგანი. ამ უკანასკნელმა მეორე 10-წუთეულის სტარტზე სამქულიანიც დაუმატა და ბასკები 15 ქულით გავიდნენ წინ. სწორედ ამ მომენტიდან დაიწყო „მაკაბის" გამოდევნება, რომელმაც შედეგი არ მოიტანა. მაქსიმუმი, რაც ისრაელის ჩემპიონმა შეძლო, სხვაობის 4 ქულამდე შემცირება იყო (მეოთხე მეოთხედში - 57:61), მაგრამ მეტისთვის ძალა არ აღმოაჩნდა.

მასპინძლებმა 13 სამქულიანი ჩააგდეს და ამისთვის 26 ცდა დასჭირდათ, სტუმრებმა კი 17-დან მხოლოდ სამი შორეული ტყორცნა მოათავსეს კალათში. გამოდის, რომ მარტო სამქულიანებით სხვაობა 30 ქულა იყო. ამიტომაც გასაკვირია, რომ „კახა ლაბორალმა" ორნიშნა სხვაობით ვერ შეძლო ამ მატჩის მოგება.

**რეალი-ვალენსია 71:65**

**20:18, 13:14, 19:21, 19:12**

**რ:** ტომიჩი (14), მიროტიჩი (11), ლიული (11), რეიესი (10+9 მოხსნა), სუარესი (9+5 მოხსნა).
**ვ:** დე კოლო (15), მარტინესი (13), იავტოკასი (11+6 მოხსნა), ლიშჩუკი (10).

**სერია: 1-0**

ეს იყო თითქმის თანაბარი თამაში, რომლის ბედი ბოლო წამებზე გადაწყდა. თუმცა „რეალს" შეეძლო ყველაფერი მესამე მეოთხედში მოემთავრებინა, როცა 10:4 გაიქცა და 43:36 დაწინაურდა, მაგრამ „ვალენსიამ" ზედიზედ შვიდი ქულით უპასუხა და ანგარიში გაათანაბრა. ამის შემდეგ საფინალო სირენამდე ქულა ქულაში თამაში მიდიოდა.

სათამაშო რჩებოდა წუთზე ოდნავ მეტი, როცა **ნანდო დე კოლომ** ზედიზედ ორჯერ ჩააგდო და „ვალენსია" წინ გავიდა - 65:64. მაგრამ დარჩენილ დროში სტუმრებმა ქულაც ველარ აიღეს, დაცვაში კი ვერაფერი მოუხერხეს „რეალის" ჩერნოგორიელ ლეგიონერ **ნიკოლა მიროტიჩს**. თავიდან მან წინ გაიყვანა „სამეფო კლუბი", საფინალო სირენამდე 18 წამით ადრე კი **პრიჯიონის** პასის შემდეგ სამქულიანი ჩააგდო - 69:65. „ვალენსიას" გადარჩენისთვის შანსი აღარ დარჩა.

**ბარსელონა-პანათინაიკოსი 83:82**

**14:14, 23:21, 20:25, 26:22**

**ბ:** ნავარო (13), ლაკოვიჩი (12), ლორბეკი (12), ანდერსონი (10), ნდონგი (8).
**პ:** დიამანტიდისი (26), ნიკოლასი (16), ბატისტი (15+6 მოხსნა).

**სერია: 1-0**

ეს იყო ცენტრალური შეხვედრა, რომლის ბოლო მეოთხედის სტარტზე ბერძნები 4 ქულით გავიდნენ წინ (64:59). საპასუხოდ „ბარსამ" კარგად ისარგებლა **ობრადოვიჩის** შეგირდების შეცდომებით და 11:0 გაქცევა მოაწყო.

ბოლოსთვის მოქმედი ჩემპიონი 82:77-ს იგებდა და თითქოს მის უპირატესობას არაფერი ემუქრებოდა, მაგრამ ჯერ **დიამანტიდისმა** სამქულიანი ჩააგდო, შემდეგ **ნავარომ** მოულოდნელად ორიდან ერთი საჯარიმო ააცილა, რასაც **ვიქტორ სადას** უხეში შეცდომა მოჰყვა და კინაღამ დააკარგვინა კატალონიელებს გამარჯვება. ესპანელმა გამთამაშებელმა საფინალო სირენამდე 1.7 წამი ადრე (მისი გუნდი 3 ქულით იგებდა) უხეშად ითამაშა დიამანტიდისის წინააღმდეგ, რისთვისაც ტექნიკური ჯარიმა მიიღო. ბერძნებმა ორივე საჯარიმო ჩააგდეს და ბოლო შეტევის უფლებაც მიიღეს, მაგრამ დიამანტიდის მოუმზადებელი შორეული ტყორცნა არა ზუსტი აღმოჩნდა.

სერიების მეორე მატჩები დღეს გაიმართება.



ბარსამ გაჭირვებით მოიგო

გვერდი მოამზადა
გია **თვალაბეიშვილმა**

ამბები

**დოპინგი**

## B სინჯი გაუქმდება

მსოფლიოს ანტისადოპინგო სააგენტო (WADA) დოპინგკონტროლის პროცედურისას B სინჯის გაუქმების ვარიანტს განიხილავს.

სააგენტოს დირექტორის, **დევიდ ჰოუმენის** აზრით, ეს ნაბიჯი აამაღლებს დოპინგის წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტურობას.

დღეისთვის მოქმედებს წესი, რომლის მიხედვითაც A სინჯის დადებითი შედეგის შემთხვევაში სპორტსმენს შეუძლია მოითხოვოს მეორე სინჯის შემოწმება.

**ჩოგბურთი**

## კიმს რადიაციის ეშინია

მსოფლიოს მეორე ჩოგანი, ბელგიელი ჩოგბურთელი **კიმ კლაისტერსი** არ აპირებს წელს აზიურ ტურნირებზე თამაშს. უარის მიზეზი რადიაციული გამოსხივებაა, რომელიც იაპონიაში ატომური ელექტროსადგურის ავარიამ გამოიწვია.

*„წელს იაპონიაში არ ჩავალ. არც ჩინეთში ვაპირებ გამოსვლას"*, - ამბობს კლაისტერსი.

ბელგიელს მხედველობაში აქვს ორი ტურნირი, რომელიც შემოდგომაზე გაიმართება. 25 სექტემბერს დაიწყება Toray Pan Pacific, რომლის საპრიზო ფონდი ორი მილიონი დოლარია, პეკინში კი პირველ ოქტომბერს სტარტს აიღებს ჩინეთის ღია პირველობა საპრიზო ფონდით - 4.5 მილიონი დოლარი.

## ჰიუიტი საოპერაციოა

ავსტრალიელმა **ლეიტონ ჰიუიტმა** ტრავმირებულ ფეხზე ოპერაცია გადაიტანა და მაიამის მასტერსიდან გამოიტანა განაცხადი. ჯერჯერობით უცნობია რამდენ ხანს გაგრძელდება სარეაბილიტაციო პერიოდი, თუმცა ჩოგბურთელი როლან გაროსსა და უიმბლდონზე გამოსვლას გეგმავს.

*„ფეხი დიდი ხანი მაწუხებდა და ოპერაცია იყო საჭირო. მხოლოდ ასე შევხვდები „დიდი სლემის" მომდევნო ორ ტურნირს ოპტიმალურ კონდიციებში"*, - ამბობს ავსტრალიელი.

**ოლიმპიზმი**

## მაროკო ოლიმპიადისთვის ემზადება

მაროკოს მთავრობამ მომავალი წლისთვის დედაქალაქ კასაბლანკაში ახალი არენის მშენებლობაზე თანხმობა განაცხადა. სტადიონი 80 ათას მაყურებელს დაიტევს. მისი მშენებლობა ერთ-ერთი პუნქტია იმ გეგმისა, რომლის მიხედვითაც მაროკომ 2024 ან 2028 წლის ზაფხულის ოლიმპიადის მასპინძლობა უნდა მოიპოვოს.

ამ პროექტში მაროკოელებს სათადარიგო ვარიანტიც ჰქონდათ ქალაქ მარაკეშის სახით.

**ფორმულა 1**

## ესპანელები სტარტზე ვერ გავლენ?

ესპანური საჯინიბო HRT სერიოზულ ფინანსურ პრობლემებს განიცდის. იტყობინებიან, რომ გუნდის პერსონალს უკვე ორი თვეა ხელფასი არ მიუღია.

როგორც ირკვევა, სწორედ ფინანსური სირთულეები გახდა ახალი ბოლიდის - F111-ის წინასასეზონო ტესტების გაუქმების მიზეზი. ადრე გუნდის ხელმძღვანელობამ ეს საბაჟოსთან პრობლემებს დააბრალა.

ცხელი ხაზი

| | |
|---|---|
| **ფეხბურთი** | |
| **ამხანაგური მატჩები** | |
| **UNDER 20** | |
| პერუ-საფრანგეთი | 0:3 |
| **UNDER 19** | |
| საფრანგეთი-შვეიცარია | 0:1 |
| **ევრო 2001** | |
| **UNDER 17** | |
| საბერძნეთი-ლატვია | 2:0 |
| დანია-ირლანდია | 2:2 |
| **გერმანია** | |
| **რეგიონალლიგა (ჩრ)** | |
| ლუბეკი-მოისელვიტცი | 2:0 |
| **ბელგია** | |
| შარლერუა-სერკლი | 0:3 |
| **შოტლანდია** | |
| **II დივიზიონი** | |
| ეირი-ფორფარი | 0:1 |
| **ფინეთი** | |
| **ლიგის თასი** | |
| ჰონკა-იუვიასკიულა | 2:1 |
| **ბრაზილია** | |
| **პაულისტა** | |
| სან კაეტანო-ბრაგანტინო | 2:0 |
| მირასოლი-ამერიკანა | 2:0 |
| **კალათბურთი** | |
| **ევროთასი** | |
| **1/4 ფინალი. I მატჩები** | |
| ცედევიტა-ესტუდიანტესი | 90:81 |
| გოტინგენი-ბენეტონი | 66:66 |
| კაზერტა-უნიქსი | 84:90 |
| სევილია-ბუდიველნიკი | 67:49 |
| **ჰოკეი** | |
| **კჰლ** | |
| ლოკომოტივი-ატლანტი | 1:6 |
| **გერმანია** | |
| აისბერენი-ინგოლშტადტი | 5:3 |
| ვოლფსბურგი-კიოლნი | 4:1 |
| დიუსელდორფი-მანჰაიმი | 2:7 |
| კრეფელდი-ჰანოვერი | 6:4 |
| **ფინეთი** | |
| ბლუზი-ესეტი | 1:5 |
| ილვესი-იუვიასკიულა | 2:4 |
| იოკერიტი-ჰიფკ | 2:3 (ო) |
| კალპა-ლუკო | 2:5 |
| **ჩეხეთი** | |
| პარდუბიცე-ვიტკოვიცე | 0:3 |
| **ჩოგბურთი** | |
| **ATP. მაიამი** | |
| გოლუბევი-**დოდიგი** | 7:6, 4:6, 0:6 |
| ნიემინენი-**კუკუშკინი** | 6:3, 3:6, 2:6 |
| ტომიჩი-**ანდუხარი** | 4:6, 6:3, 5:7 |
| **ბენეტო**-ხიმენო ტრავერო | 6:4, 6:3 |
| დავიდენკო-**ანდერსონი** | 4:6, 3:6 |
| ბეკერი-**გრანოლერსი** | 4:6, 7:6, 4:6 |
| **მალისე**-სვიტინგი | 7:6, 6:4 |
| ჰანესკუ-**ბოგომოლოვი** | 3:6, 6:4, 5:7 |
| ლუბიჩიჩი-**ლორენცი** | 6:7, 1:6 |
| **დევარმანი**-სტარაჩე | 6:2, 6:4 |
| კამკე-**ილჰანი** | 2:6, 1:6 |
| **ანდრეევი**-ხირალდო | 6:1, 2:6, 6:1 |
| **დელ პოტრო**-მელო | 6:4, 6:4 |
| **ისტომინი**-იანგი | 6:4, 6:3 |
| **WTA. მაიამი** | |
| ჰერცოგი-**სხეპერსი** | 7:5, 5:7, 2:6 |
| **მატეკი**-არვიდსონი | 6:1, 6:4 |
| **პენგი**-არნი | 6:1, 6:2 |
| ერანი-**შვედოვა** | 3:6, 7:5, 6:7 |
| **ჰემპტონი**-ტომლიანოვიჩი | 3:6, 7:5, 6:0 |
| ვანდევეგე-**ლეპჩენკო** | 2:6, 3:6 |
| **მედინა გარიგესი**-პერვაკი | 6:1, 6:2 |
| დულკო-**ვესნინა** | 1:6, 3:6 |
| ჟანგი-**შავაი** | 6:2, 3:6, 2:6 |
| **დატე**-ონდრაშკოვა | 6:4, 6:3 |
| **მირზა**-პარა სანტონხა | 6:2, 6:4 |

TV პროგრამა

**24 მარტი. ოთხშაბათი**

**GMG-ფეხბურთი**

**10:00** გერმანიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
**11:00** საფრანგეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
**12:00** იტალიის ჩემპიონატი. პალერმო-მილანი.
**14:00** ინგლისის ჩემპიონატი. ჩელსი-სიტი.
**16:00** არგენტინის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
**17:00** საფრანგეთის ჩემპიონატი. მონაკო-ნანსი.
**19:00** ინგლისის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
**20:00** საფრანგეთის ჩემპიონატი. მარსელი-პსჟ.
**22:00** ჰოლანდიის ჩემპიონატი. დენ ჰააგი-აიაქსი.
**00:00** ესპანეთის ჩემპიონატი. ბარსელონა-ხეტაფე.

**GMG-სპორტი**

**10:00** ფეხბურთი. საფრანგეთის ჩემპიონატი. მარსელი-ლილი.
**12:00** კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. ნიუ იორკი-ორლანდო.
**13:45** რაგბი. ექვსი ერის თასი. შოტლანდია-იტალია.
**15:30** კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. ნიუ ჯერსი-ჩიკაგო.
**17:00** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. 1/2 ფინალი. ინდიან უელსი. აშშ.
**19:00** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. 1/2 ფინალი. ინდიან უელსი. აშშ.
**21:30** კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. ნიუ იორკი-ორლანდო.
**23:20** კალათბურთი. ევროლიგის მიმოხილვა.
**23:45** კალათბურთი. ევროლიგა. 1/4 ფინალი. ოლიმპიაკოსი-მონტეპასკი. მეორე მატჩი (LIVE).
**01:30** კალათბურთი. ევროლიგა. 1/4 ფინალი. ბარსელონა-პანათინაიკოსი. მეორე მატჩი.

**НТВ-პლუსი (სპორტი)**

**23:40** კალათბურთი. ევროლიგა. 1/4 ფინალი. რეალი-ვალენსია. მეორე მატჩი (LIVE).
**03:00** ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. ფილადელფია-პიტსბურგი (LIVE).

**НТВ-პლუსი (ონლაინი)**

**23:40** კალათბურთი. ევროლიგა. 1/4 ფინალი. ოლიმპიაკოსი-მონტეპასკი. მეორე მატჩი (LIVE).

**НТВ-პლუსი (კალათბურთი)**

**23:25** კალათბურთი. ევროლიგა. 1/4 ფინალი. კახა ლაბორალი-მაკაბი. მეორე მატჩი (LIVE).
**04:30** NBA. რეგულარული ჩემპიონატი. დალასი-მინესოტა (LIVE).

**SPORT+**

**00:10** კალათბურთი. ევროლიგა. 1/4 ფინალი. ბარსელონა-პანათინაიკოსი. მეორე მატჩი (LIVE).
**03:00** ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. ფილადელფია-პიტსბურგი (LIVE).

**EUROSPORT**

**12:00** ქიორლინგი. მსოფლიოს ჩემპიონატი. ქალები. ჩინეთი-რუსეთი. დანია (LIVE).
**17:00** ქიორლინგი. მსოფლიოს ჩემპიონატი. ქალები. კანადა-გერმანია. დანია (LIVE).
**22:30** ველოსპორტი. მსოფლიოს ჩემპიონატი (ტრეკი). II დღე. ჰოლანდია (LIVE).

**EUROSPORT-2**

**02:00** ფეხბურთი. სამხრეთ ამერიკის თასი (იუნიორები). ურუგვაი-პერუ. ეკვადორი (LIVE).

ჰოკეი. NHL რეგულარული ჩემპიონატი

**ბოსტონი-ნიუ ჯერსი 4:1**

**1:1, 1:0, 2:0**

**გოლები:** 0:1 კოვალჩუკი-27 (ტედენბი-13, ჯოზეფსონი-5), 1:1 შ.ტორნტონი-9 (საიდენბერგი-22, ტ.კაბერლე-39), 2:1 ხარა-13 (ლუჩიჩი-25, ტ. კაბერლე-40), 3:1 ლუჩიჩი-30 (პ. ბერჟერონი-30, ხარა-25), 4:1 რეკი-13 (პ. ბერჟერონი-31, ხარა-26)

**რეინჯერსი-ფლორიდა 1:0**

**0:0, 0:0, 1:0**

**გოლი:** 1:0 დუბინსკი-22 (კელეჰანი-24, ანისიმოვი-24).

**ტამპა ბეი-აილენდერსი 2:5**

**1:1, 0:2, 1:2**

**გოლები:** 1:0 ტომპსონი-9 (პურსელი-31, ლეკავალიე-23), 1:1 ბეილი-11 (იურჩინა-12), 1:2 ოკსოპო-5 (იურჩინა-13, გრაბნერი-17), 1:3 მ.მარტინი-5 (პილენი-16, კონოპკა-7), 1:4 ნილსენი-11, 2:4 მური-14 (ბერგენჰაიმი-15, ტომპსონი-14), 2:5 გრაბნერი-31.

**მინესოტა-ტორონტო 0:3**

**0:1, 0:1, 0:1**

**გოლები:** 0:1 ლუპული-10 (ბოჟაკი-16, კესელი-27), 0:2 გრაბოვსკი-28 (მაკარტური-34, კულემინი-25), 0:3 გუნარსონი-4 (გრაბოვსკი-27, კულემინი-26).

**ნეშვილი-ედმონტონი 3:1**

**2:0, 1:1, 0:0**

**გოლები:** 1:0 ერატი-15 (ჯ.-უორდი-18, ლეგვანდი-24), 2:0 ჰორნკვისტი-19 (ს.კოსტიცინი-23, რ.სატერი-32), 3:0 ლეგვანდი-14 (რ.სატერი-33, შ.უებერი-29), 3:1 ებერლე-17 (კოლიანო-20, ვანდერმეერი-11).

**კოლორადო-კოლამბუსი 5:4 (ბ)**

**1:1, 0:1, 3:2, 0:0**

**გოლები:** 0:1 ნეში-32 (ბრასარი-28, რასელი-18), 1:1 რ.ო'რაილი-9 (პორტერი-9, ჰანვიკი-10), 1:2 მაკენზი-9 (დორსეტი-12), 1:3 უმბერგერი-22 (ჰეიდა-14, მაკენზი-12), 2:3 დუშენი-24 (ოლვერი-4, ვინიკი-12), 3:3 დუშენი-25 (ჰანვიკი-11, ოლვერი-5), 3:4 უმბერგერი-23 (აპშოლი-12, ჰეიდა-15), 4:4 ვინიკი-10 (ჯონსონი-18, შჩასტნი-34).

**ბულიტები გაიტანეს:** ჰეიდუკი (კოლორადო).

**მონრეალი-ბაფალო 0:2**

**0:0, 0:1, 0:1**

**გოლები:** 0:1 გერბე-12 (მიერსი-25, სეკერა-24), 0:2 გერბე-13.

**ფილადელფია-ვაშინგტონი 4:5 (ბ)**

**0:2, 2:1, 2:1, 0:0**

**გოლები:** 0:1 ბექსტრიომი-18 (ლეიჩი-25), 0:2 ნუბლი-20 (ჩიმერა-15, მ.იოჰანსონი-14), 0:3 ვიდემანი-10 (ბექსტრიომი-39, ნუბლი-15), 1:3 ვერსტეეგი-19 (მ.კარლი-34, მეზაროში-19), 2:3 კ.ჟირუ-24 (ნოდლი-11, ქობურნი-13), 3:3 ნოდლი-11 (კ.ჟირუ-44), 4:3 ბრიერი-32 (ტიმონენი-28, ლეინო-32), 4:4 მ.იოჰანსონი-12 (ნუბლი-16, ჰენანი-10).

**ბულიტები გაიტანეს:** ლეინო (ფილადელფია), ჰენდრიქსი (ვაშინგტონი), ბექსტრიომი (ვაშინგტონი), ბრიერი (ფილადელფია), სიომინი (ვაშინგტონი).

**კაროლინა-ოტავა 4:3**

**2:2, 1:0, 1:1**

**გოლები:** 0:1 გრინინგი-3 (სპეცა-27, ბატლერი-5), 0:2 სვატოსი-2 (კონდრა-4, ჰეილი-2), 1:2 ტ.რუუტუ-18 (ი.იოკინენი-32, სკინერი-28), 2:2 ლაროუზი-14 (პიტკანენი-28), 3:2 ლაროუზი-15 (ბ.სუტერი-14, გლისონი-13), 4:2 სტილმანი-10 (ე.სტაალი-36, კოული-25), 4:3 ე.კარლსონი-13 (სპეცა-28, ფოლინო-19)

**ფინიქსი-სტ. ლუისი 2:1**

**0:1, 2:0, 0:0**

**გოლები:** 0:1 შატენკირკი-8 (კ.სტიუარტი-21, კოული-3), 1:1 რეი უიტნი-15 (კორპიკოსკი-20, ვრბატა-27). 2:1 კორპიკოსკი-18 (შლემკო-9, ვრბატა-28).

ეროვნული ბიბლიოთეკა

● კალათბურთი. NBA რეგულარული ჩემპიონატი

# დიდი შოუ კალიფორნიაში


კობიმ 42 ქულა დააგროვა

გუშინდელ სათამაშო დღეს მხოლოდ სამი მატჩი გაიმართა, რომელთაგანაც ორში ფავორიტმა აუტსაიდერი გაანადგურა, მესამეში კი ისეთი ბრძოლა გაიმართა, რომ ეს შეხვედრა არა მარტო დღის, არამედ მთელი სეზონის ერთ-ერთი საუკეთესო თამაში გამოვიდა. მოქმედ ჩემპიონს „ლეიკერსს“ სამი ოვერტაიმი დასჭირდა შინ „ფინიქსის“ დასამარცხებლად.

არადა, მატჩის მსვლელობა ასეთ დაძაბულ ბრძოლას არ მოასწავებდა. მესამე მეოთხედში კალიფორნიელებმა 21-ქულიან უპირატესობას მიაღწიეს და წესით დღის მესამე მატჩშიც ერთი გუნდის განადგურება უნდა დაფიქსირებულიყო. მაგრამ ასე არ მოხდა. „სანზმა“ პირველი სასწაული მოახდინა და საფინალო სირენამდე 7 წუთით ადრე **პიეტრუსმა** სამი ზუსტი საჯარიმოთი ანგარიში გაათანაბრა - 101:101. „ლეიკერსი“ მალე მოვიდა გონს და 9:0 გაიქცა. მაგრამ არც ეს ყოფილა დასასრული. წუთითა და 17 წამით ადრე ჩემპიონის უპირატესობა ექვს ქულას შეადგენდა. **ჩენინგ ფრაიმ** შორიდან ჩააგდო, საპასუხო შეტევაში **ფიშერმა** ააცილა და ძალიან მალე უკვე **გრან ჰილმა** ისროლა ზუსტი სამქულიანი - 112:112. **კობი ბრაიანტმა** 10 წამით ადრე ააცილა, ბოლო წამზე კი ვერც **ვინს კარტერმა** ივარგა. ოვერტაიმი.

პირველი დამატებითი დროის გმირიც ფრაი აღმოჩნდა. ოვერტაიმის დასრულებამდე რვა წამით ადრე „ლეიკერსი“ სამ ქულას იგებდა და ჩენინგმა სამქულიანი ისროლა, მაგრამ ააცილა. მოხსნა სტუმრებმა მოიგეს, **ნეშმა** ისევ ფრაის მიაწოდა და შორეული ტყორცნის დროს მასზე **ოდომი** დაჯარიმდა. ბოლო წამზე „სანზის“ ცენტრმა სამივე საჯარიმო ჩააგდო.

მეორე ოვერტაიმში თამაშის გადარჩენა უკვე „ლეიკერსს“ დასჭირდა. ფრაიმ 54 წამით ადრე მორიგი სამქულიანი ჩააგდო და „ფინიქსი“ 130:128 დაწინაურდა. ბრაიანტმა კინაღამ დაღუპა თავისი გუნდი, როცა ავანტიურული გარღვევისას ვერ ჩააგდო. მისდა საბედნიეროდ, „ლეიკერსმა“ მეტოქის საპასუხო შეტევა მოიგერია და 2.5 წამით ადრე კობიმ სამწამიანში **გასოლი** მონახა. მასზე სტუმრები დაჯარიმდნენ და ესპანელმა ორივე თავისუფალი ჩააგდო. მესამე ოვერტაიმის ჯერი დადგა.

მოედანზე 30 წელს გადაცილებული ვეტერანები იბრძოდნენ, მაგრამ არც ერთს დაღლა არ ეტყობოდა. ამ მხრივ აღსანიშნავია 39 წლის ჰილის თამაში, რომელიც კობის მეურვეობდა. მან მოედანზე 44 წუთი დაყო და მესამე ოვერტაიმის დასრულებიდან ორი წუთით ადრე ექვსი პერსონალურით გამო დატოვა მოედანი. მისი გასვლა და ბრაიანტის სამქულიანი ერთი იყო - 133:132. ამის შემდეგ **ფილ ჯექსონის** გუნდს ლიდერობა აღარ გაუშვია ხელიდან. არტესტმა ორი ლამაზი ბურთი ჩააგდო, შეუჩერებელმა ფრაიმ მორიგი სამქულიანი მოათავსა კალათში... თამაშის დასრულებამდე 22 წამი რჩებოდა, როცა კობიმ ოთხ ქულამდე გაზარდა თავისი გუნდის უპირატესობა. ერთადერთი, რაც „ფინიქსმა“ შეძლო, კარტერის ორქულიანი იყო - 139:137. ოფიციალური მონაცემით, ეს მატჩი 3 საათი და 9 წუთი გაგრძელდა.

ჩენინგ ფრაიმ მოედანზე ყველაზე მეტი - 57 წუთი (!) დაყო და ტრავმირებული მხარით შედეგიანობის პირადი რეკორდი დაამყარა - 32 ქულა, რასაც 14 მოხსნა დაუმატა. 49 წუთი ითამაშა სტივ ნეშმა. კანადელი 19 ქულით დაკმაყოფილდა, სამაგიეროდ შვიდიდან ხუთი სამქულიანი ჩააგდო და პარტნიორებს 20 შედეგიანი პასი ჩამოურიგა. მატჩის გმირი კი კობი ბრაიანტი იყო. მას ერთი შედეგიანი პასი დააკლდა სამმაგი დუბლის შესასრულებლად - 42 ქულა, 12 მოხსნა და 9 პასი.

**ატლანტა–ჩიკაგო 81:114**

**21:31, 22:41, 17:26, 21:16**

**ა:** ტიგი (20), სმიტი (14), ჰორფორდი (14), ჯონსონი (13+5 მოხსნა).
**ჩ:** როუზი (30+10 პასი), დენგი (27).

**პორტლენდი–ვაშინგტონი 111:76**

**35:29, 27:16, 29:14, 17:20**

**პ:** უოლასი (28+8 მოხსნა), ბატუმი (22+12 მოხსნა), ოლდრიჯი (22+6 მოხსნა), მეტიუზი (15), ფერნანდესი (10), მილერი (4+11 პასი+5 მოხსნა).
**ვ:** კროუფორდი (12), სერაფინი (10).

**ლეიკერსი–ფინიქსი 139:137 (3ო)**

**31:27, 39:29, 29:26, 17:26, 9:9, 9:9, 9:7**

**ლ:** ბრაიანტი (42+12 მოხსნა+9 პასი), ოდომი (29+16 მოხსნა+5 პასი), გასოლი (24+13 მოხსნა), არტესტი (18+5 მოხსნა), ბარნსი (13+5 მოხსნა).
**ფ:** ფრაი (32+14 მოხსნა), გორტატი (24+16 მოხსნა), ნეში (19+20 პასი+5 მოხსნა), კარტერი (17+5 პასი), ბრუქსი (15), ჰილი (11+10 მოხსნა), პიეტრუსი (11).

# ბოლო კვირა საკრამენტოში


კინგზს ესლა აკლდა

*„ეს არის „კინგ ზის“ ბოლო კვირა ამ ქალაქში“*, - ასეთი განცხადება შეიძლება წაიკითხოთ ქალაქ საკრამენტოს მერის ვებგვერდზე.

აქვე წაიკითხავთ იმის შესახებ, რომ „კინგ ზის“ ახალმა მფლობელმა გუნდის ანაჰაიმში გადაყვანა გადაწყვიტა.

*„მთელი ქალაქისთვის ეს ნელი სიკვდილივითაა“*, - წერს მერი.

საკრამენტოს მერი NBA-ის ყოფილი ვარსკვლავი **კევინ ჯონსონი** გახლავთ. ის იმედს არ კარგავს და კონკრეტულ ნაბიჯებს სთავაზობს თანაქალაქელებს იმისთვის, რომ საკრამენტოში ახალი პროფესიული სპორტული კლუბი მიიზიდონ.

*„ბოლოს და ბოლოს, უნდა დავიწყოთ თანამედროვე არენის მშენებლობა, მიუხედავად იმისა, რომ ქალაქში აღარ გვყავს პროფესიული კლუბი. და რაც ადრე გავაკეთებთ ამას, მით უფრო იოლი იქნება საკრამენტოში ახალი კლუბის გადმოყვანა. არ არის აუცილებელი ეს საკალათბურთო გუნდი იყოს“*, - ამბობს კევინ ჯონსონი.

● ამბები

**ტანვარჯიში**

## რუსებმა ჩემპიონი დაკარგეს

რუსეთში ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა XX საუკუნის ერთ-ერთი საუკეთესო სპორტსმენი, სპორტული ტანმოვარჯიშე **ნიკოლაი ანდრიანოვი**. ის 58 წლის იყო.

ანდრიანოვი მსოფლიოსა და ევროპის მრავალგზის ჩემპიონი იყო. მთელი კარიერის განმავლობაში მან 15 ოლიმპიური მედალი მოიპოვა, რომელთაგანაც 7 ოქროსი იყო. 2008 წლამდე სწორედ მას ეკუთვნოდა რეკორდი ოლიმპიური მედლების რაოდენობით, მაგრამ ამერიკელმა მოცურავემ **მაიკლ ფელპსმა** გაასწრო.

აქტიური კარიერის დასრულების შემდეგ ანდრიანოვი სამწვრთნელო მოღვაწეობით იყო დაკავებული.

**კალათბურთი**

## გეიმ სეზონი დაასრულა

„მემფის გრიზლისის“ ლიდერი **რუდი გეი** სეზონის ბოლომდე ვერ შეძლებს თამაშს. კალათბურთელს ოპერაცია სჭირდება, რომელიც უახლოეს დღეებში უნდა ჩატარდეს. გეის აღდგენითი კურსი სამიდან ექვს თვემდე გაგრძელდება.

გეი „მემფისის“ ერთ-ერთი საუკეთესო ბომბარდირია: წელს მის ანგარიშზე 19.8 ქულა იყო.

● ჩოგბურთი

# ნადალი: ჯოკოვიჩი გამასწრებს

ესპანელმა **რაფაელ ნადალმა** აღნიშნა, რომ სეზონის ლიდერ **ნოვაკ ჯოკოვიჩს** ყველა შანსი აქვს იმისთვის, რომ 2011 წლის ბოლოს მსოფლიო კლასიფიკაციაში პირველობა მოიპოვოს. გასულ უქმეებზე ჯოკოვიჩმა ინდიან უელსის ტურნირის ფინალში დაამარცხა მსოფლიოს ამჟამინდელი პირველი ნომერი - 4:6, 6:3, 6:2, რის შემდეგაც რეიტინგში მეორე ადგილზე გადაინაცვლა.

*„გრუნტის სეზონის წინ ნოვაკს დიდი უპირატესობა ექნება, რადგან ამ პერიოდში მე დაახლოებით 3500 სარეიტინგო ქულა უნდა დავიცვა. ანუ წარმატების შემთხვევაში ჩემი მარაგი არ გამდიდრდება, წაგება კი ქულებს ჩამომაკლებს. ასე რომ, ამ მხრივ ჯოკოვიჩი კარგ მდგომარეობაშია, მით უმეტეს, რომ მას ნებისმიერ საფარზე ეხერხება თამაში.*

*თუ ავიღებთ უშუალოდ ამ წლის შედეგებზე დაფუძნებულ რეიტინგს, ინდიან უელსის მასტერსი მე-17 ნომრად დავიწყე და მეექვსე ნომრად დავასრულე, რაც აშკარად წინ გადადგმული ნაბიჯია. ასე რომ, სეზონის ლიდერებთან ახლოს ვარ. როჯერმაც ნახევარფინალში კარგად ითამაშა. ჯოკოვიჩის მსგავსად ისიც მზად არის ნებისმიერ საფარზე აჩვენოს მაღალი კლასი.*

*როცა ვლაპარაკობ მსოფლიოს რეიტინგის ლიდერობაზე, ვგულისხმობ პირველობას სწორედ წლის შედეგების მიხედვით და არა საშუალედო შედეგებს სეზონის მსვლელობისას. რა თქმა უნდა, ესეც მნიშვნელოვანი მომენტია, მაგრამ ჩემთვის არ არის პრიორიტეტული. მთავარია წელი პირველ ნომრად დავასრულო.*

*როლან გაროსის შემდეგ უფრო ზუსტად გეტყვით, ვინ მიიჩნევა მსოფლიოს ლიდერობისთვის ბრძოლაში ფავორიტად. ჯერჯერობით მხოლოდ ერთი რამის თქმა შემიძლია - ჯოკოვიჩი ძალიან ხელსაყრელ სიტუაციაში იმყოფება. დღეს ის თავის საყვარელ საფარზე - ჰარდზე თამაშობს და თან ღია კორტი ყველაზე კარგად შეესაბამება მის სტილს. გარდა ამისა, ის დარწმუნებულია თავის ძალებში და ყოველი ახალი გამარჯვების შემდეგ სულ უფრო ძლიერი ხდება. ვნახოთ, როგორ განვითარდება მოვლენები გრუნტის სეზონში“*, - ამბობს ნადალი ATP-ის ოფიციალურ ვებგვერდზე.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**





რადიო პალიტრა და ლუდი ჰეინეკენი
წარმოგიდგენთ
საფეხბურთო ვიქტორინას

გადაცემა „შუადღე“

გაეცით ვიქტორინის კითხვებს სწორი პასუხი
და მოიგეთ 1 შეკვრა ლუდი ჰაინეკენი
და შანსი გაემგზავროთ უეფას ჩემპიონთა
ლიგის ნახევარფინალზე, ფეხბურთში.

UEFA
CHAMPIONS
LEAGUE

ყოველ შაბათს
12 სთ-დან 16-მდე.



FM 103.9
რადიო პალიტრა

რადიო პალიტრის ეთერში

www.palitratv.ge

PALITRA
TV-RADIO